# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

15 აგვისტო შაბათი 2009

№ 191 (12870) ფასი 60 თეთრი




PREMIER LEAGUE

## დღეს პრემიერლიგის პრემიერაა

» წინასასეზონო ანალიზი, განაცხადები და ზაფხულის ყველა ტრანსფერი 7-9

# გადამწყვეტი მატჩები

## საქართველო ლუქსემბურგით იწყებს



» ეროვნული ნაკრების წარდგენა და წინასამატჩო პრესკონფერენცია — 12,13

საქართველოს ჩემპიონატი. III ტური

## პირველი სრული ტური ორი მთავარი მატჩით

» გვერდი 2

# ერთ კვირაში...

?

კუპერს უთქვამს, წავედიო...



დიმიტრი რამიშვილი:
**სასწრაფოდ ზომებია მისაღები**

უჩა უგულავა:
**ჩვენ ნაკრები არ გვყავს!**

ვნებათაღელვა კუპერისა და ნაკრების გამო

» გვერდი 3,4

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის

## განცხადება

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი თავის მოვალეობად თვლის, განაცხადოს, რომ გმობს ყოველგვარ ზეწოლას ჟურნალისტებზე, ვისი მხრიდანაც და რა ფორმითაც უნდა ხორციელდებოდეს ეს. ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებთ ყველა სპორტულ ჟურნალისტს, ვინც ობიექტურად, საქმის ღრმა ცოდნით, პროფესიული პასუხისმგებლობითა და მდგომარეობის გამოსწორების მიზნით გამოაქვეყნებს კრიტიკულ მასალას.

იმედს გამოვთქვამთ, რომ „ლელოში" დაბეჭდილ ირაკლი თავაძის მწვავე სტატიებს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია ყოველმხრივ შეისწავლის და მიიღებს ობიექტურ გადაწყვეტილებას.

საქართველოს ჩემპიონატი

III ტურის წინათქმა

**ოლიმპი-სამტრედია**

15.08.09. ზესტაფონი. ცენტრალური

17:00

Live. I არხი

დისკვალიფიკაცია: არავინ

**ვიტ ჯორჯია-სიონი**

15.08.09. გორი. თ. ბურჯანაძე

17:30

დისკვალიფიკაცია: არავინ

**ზესტაფონი-გაგრა**

16.08.09. თბილისი. ეროვნული

17:30

დისკვალიფიკაცია: მ. კობერიძე (გაგრა)

**ბაია-ლოკომოტივი**

16.08.09. ზუგდიდი. ცენტრალური

17:30

დისკვალიფიკაცია: ლ. ჩაგელიშვილი, გუშარაშვილი (ლოკომოტივი)

**დინამო-სპარტაკი**

16.08.09. თბილისი. მ. მესხი

19:00

დისკვალიფიკაცია: გ. კაშია (დინამო)

# სრულყოფილი ტური

გველირსა - წინა ორისგან განსხვავებით, მესამე ტური სრულად უნდა ჩატარდეს! ანუ, დღეს ან ხვალ, კალენდრით გათვალისწინებული ხუთივე შეხვედრა გაიმართება და ამ ხუთიდან, ორი ისეთი მატჩიც გველოდება, განსაკუთრებულ ინტერესს რომ იწვევს. ეგ კი არა, ორივე ეს მატჩი ტურის ცენტრალურ შეხვედრადაც უნდა მივიჩნიოთ: „დინამო"-"სპარტაკიც" სერიოზულ ინტრიგას გვპირდება და „ვიტ ჯორჯია"-„სიონიც". თუმცა, ტური ხომ ორ დღედ არის გაყოფილი და სჯობია, ყველაფერს თანმიმდევრულად მივყვეთ.



2009 წლის 17 მაისი. სიონი-ვიტ ჯორჯიას სკანდალური მატჩი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## ოლიმპი-სამტრედია

ამ წყვილში ფავორიტის გამოცნობას ბევრი ფიქრი არ სჭირდება: მასპინძლები უდანაკაროდ მიიწევენ წინ და დღესაც „დაგეგმილი" სამი ქულის მოპოვებას შეეცდებიან. მით უმეტეს, რომ სტუმრად ზედიზედ ორი გამარჯვების შემდეგ ამ სეზონში პირველად უნდა წარდგნენ საკუთარი ქომაგების წინაშე. „ოლიმპის" დიდ ამბიციებზე უკვე არაერთხელ ვისაუბრეთ - კლუბის ხელმძღვანელთა აზრით, გუნდს რეალურად შეუძლია ჩემპიონობისთვის ბრძოლა. თუმცა, მეორე მხრივ, წინა ორ ტურში ნაჩვენები თამაშის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ძნელია იმის თქმა, რომ „ოლიმპი" მართლაც საჩემპიონო ფეხბურთს უჩვენებს. მაგრამ, ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ ჯერ სეზონის დასაწყისია და მოთამაშეებსაც ერთმანეთთან შესათამაშებლად დრო სჭირდებათ. „ოლიმპის" მთავარი მწვრთნელის, **ოთარ კორღალიძის** საზრუნავიც, აი, ეს არის - ძირითადი შემადგენლობის ლამის 80 პროცენტი ხომ ახალწვეულია; არადა, გუნდს უდიდესი პოტენციალი გააჩნია და ბრაზილიელების ჩამოყვანაც აშკარად გამართლებული ნაბიჯი გამოდგა. **აკინოს, ფრაგასა** და **ჟერონიმოს** დონის ლეგიონერები რაც მეტნი იქნებიან, ჩვენს ჩემპიონატსაც წაადგება და ვინ იცის, იქნებ გულშემატკივარმაც პირი იბრუნოს სტადიონებისკენ...

უმაღლეს ლიგაში რვაწლიანი განშორების შემდეგ დაბრუნებული „სამტრედია" კვლავაც პირველი ქულის მოლოდინშია. მართალია, ამ გუნდმა ორივე სასტარტო შეხვედრა წააგო, მაგრამ მონდომებას ვერც ერთ შეხვედრაში ვერ დავუკარგავდით. ისე, კალენდარმაც „გაწირა" დებიუტანტი გუნდი - ჯერ „ვიტ ჯორჯიას" შეხვდა (თან, თამაში ჯერ გადაიდო, მერე კი, სამტრედიელთათვის მოულოდნელად, მეორე დღეს ჩატარდა), შემდეგ „ზესტაფონს", ახლა კი ჩემპიონატის კიდევ ერთი ფავორიტი ელოდება...

## ბაია-ლოკომოტივი

უნდა ვაღიაროთ: სხვების რა მოგახსენოთ და ჩვენ კი ნამდვილად არ გვეგონა, ზუგდიდურ კლუბს ორი ტურის მერე... ნული ქულა რომ ექნებოდა. ჰო, სეზონის წინ, თითოეული გუნდის შანსებს რომ ვაფასებდით, „ბაიას" აუტსაიდერობას ვერაფრით წარმოვიდგენდით. თუმცა, ჯერ ხომ ორი ტურია გასული და გვჯერა, რომ **ბესიკ შეროზიას** ერთობ საინტერესო გუნდი სატურნირო მდგომარეობას გამოასწორებს. სხვათა შორის, „ოლიმპის" ბრაზილიელების მსგავსად, „ბაიასაც" აშკარად მოუხდა უცხოელი ფეხბურთელის დამატება: ზამბიელმა **ჩისამბა ლუნგუამ** წინა ორ შეხვედრაში მართლაც ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა! აი, „ბაიას" მეტოქე კი ზუგდიდში სერიოზული საკადრო პრობლემებით ჩადის - ისედაც გამოუცდელი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ გუნდს დისკვალიფიკაციის გამო ორი წამყვანი მცველი (**ნიკა გუშარაშვილი, ლევან ჩაგელიშვილი**) არ ეყოლება. თუმცა ყველასაგან გამოკვეთილ აუტსაიდერად მიჩნეულმა „ლოკომოტივმა" ჩემპიონატის სტარტზე ორივე შეხვედრაში არცთუ ურიგო შთაბეჭდილება დატოვა. ეგ კი არა, პირველის მსგავსად, მეორე ტურშიც ძალიან ახლოს იყო სენსაციური ქულის მოპოვებასთან, მაგრამ ამისათვის წამებიც დააკლდა და არბიტრის შეცდომებმაც გარკვეული როლი შეასრულა. მოკლედ, ფაქტია, რომ ახალგაზრდა მწვრთნელის, **გელა სანაიას** გუნდი უბრძოლველად არაფერს დათმობს. თუმცა, ისიც უნდა ვახსენოთ, რომ „ლოკომოტივს" ზუგდიდურ გუნდთან მაშინაც კი უჭირდა თამაში, სოლიდური შემადგენლობითა და მაღალი ამბიციით რომ იწონებდა თავს. ანუ, გასული ორი სეზონის სტატისტიკას თუ გადავხედავთ, ზუგდიდურ გუნდს დღევანდელ მატჩში აშკარა ფავორიტის სტატუსი ექნება...

## ზესტაფონი-გაგრა

ხვალინდელი ეს მატჩიც არანაკლებ ინტერესს იწვევს - „გაგრამ" წინა ტურში ხომ მართლაც სასიამოვნოდ გაგვაოცა, როცა, ყველასათვის მოულოდნელად, დიდი ანგარიშით დაამარცხა მოქმედი ჩემპიონი. თუმცა, ალბათ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ **ვიქტორ კაშჩეის** ახალგაზრდულმა გუნდმა ზედიზედ მეორე სენსაცია შემოგვთავაზოს.

ამის მიზეზი კი მეტოქის სიძლიერე და ამბიციაა - XXI ჩემპიონატის ერთ-ერთი გამოკვეთილი ფავორიტი „ზესტაფონი" ყველა ღონეს იხმარს, რომ პირველი საშინაო გამარჯვება მოიპოვოს. შეგახსენებთ, რომ **გია გეგუჩაძის** გუნდმა პირველ ტურში საკუთარ მოედანზე „ლოკომოტივის" დამარცხება ვერ შეძლო. „ზესტაფონს" ამ მატჩის მოგება სხვა მხრივაც „სჭირდება" - მომდევნო სამი შეხვედრა ხომ ერთობ რთულ მეტოქეებთან ელოდება. სხვათა შორის, დიდი შანსია, რომ „ზესტაფონის" ახალწვეულმა **გიორგი ცხადაიამ** ყოფილი თანაკლუბელების წინააღმდეგ იასპარეზოს. ამას გარდა, „ზესტაფონის" მთავარ მწვრთნელს გია გეგუჩაძესაც არანაკლები ამაგი აქვს განეული ხვალინდელი მეტოქის მიმართ. წინა სეზონში „ზესტაფონმა" სამივე შეხვედრა მოუგო (3:0, 3:1, 6:0) „გაგრას"; განსაკუთრებით მესამე წრის მატჩი უნდა აღვნიშნოთ, როცა „ზესტაფონმა" სამართლიანი თამაშის პრინციპები ბოლომდე დაიცვა და მძიმე სატურნირო მდგომარეობაში მეტოქეს დიდი ანგარიშით მოუგო.

## დინამო-სპარტაკი

აი, ტურის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩიც: საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი გუნდი... ერთპიროვნული ლიდერის წინააღმდეგ! ჰო, „სპარტაკს" რომ ორი ტურის მერე ქულათა მაქსიმუმი ექნებოდა, ამას, მართლაც, ბევრი ვერ წარმოიდგენდა. თუმცა, ფაქტი ჯიუტია: **ვლადიმერ ხაჩიძის** გუნდს ამ სეზონში სერიოზული ამბიცია აქვს და კლუბის ხელმძღვანელთა ვარაუდით, „სპარტაკმა" ჩემპიონატი პირველ ხუთეულში უნდა დაასრულოს. ეგ კი არა, ევროტურნირების საგზურისთვისაც აპირებენ ბრძოლას და თუ ამ გუნდის შემადგენლობას გადავხედავთ, ამაში მოულოდნელი არაფერი უნდა იყოს. აი, „დინამოს" კი, მოგეხსენებათ, მარადიული ფავორიტის სტატუსი აქვს და **კახა კაჭარავას** გუნდსაც ყოველი სეზონის დაწყების წინ მხოლოდ ერთი მიზანი აქვს - ჩემპიონობა! რა თქმა უნდა, ჯერ ნამდვილად ადრეა იმაზე საუბარი, თუ რამდენად არის საჩემპიონოდ მზად „დინამო"; მით უფრო, რომ გუნდისთვის სეზონი... ხვალ იწყება; ანუ, „დინამომ" წინა ორი ტურის თამაშები გამოტოვა და ხვალიდან უნდა ჩაერთოს ჩემპიონატში. ოღონდ, სიახლეა ის ფაქტი, რომ „დინამო" თავის მეტოქეებს ამიერიდან ვაკეში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე უმასპინძლებს.

...წინა ჩემპიონატის პირველ და მეორე წრეში „დინამომ" უპრობლემოდ შეძლო „სპარტაკის" დამარცხება (4:1, 3:0); აი, მესამე წრის მატჩი კი მოულოდნელი შედეგითა და, საერთოდ, კურიოზებით დაგვამახსოვრდა. სხვათა შორის, წინა სეზონი ისე დასრულდა, რომ „დინამო" ერთხელაც ვერ მოექცა ცხრილის სათავეში. და აი, ასეთი შანსი მიეცა 15 მარტს - საკმარისი იყო მხოლოდ „სპარტაკის" დამარცხება და სულ მცირე, ერთი კვირით ერთპიროვნული ლიდერიც გახდებოდა. თუმცა, იმ შეხვედრაში მოვლენები ისე განვითარდა, უეჭველ ფავორიტად მიჩნეული მასპინძლები უკვე ქულაზეც თანახმა იყვნენ! „სპარტაკის" ცენტრფორვარდის, **ირაკლი სირბილაძის** „დუბლს" **შოთა ლომიასა** და **მათე ვაწაძის** საპასუხო გოლები მოჰყვა და მატჩიც ფრედ (2:2) დასრულდა. თუმცა, ყველაზე დასამახსოვრებელი იმ მატჩიდან მაინც „დინამოს" ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის, **მილოშ კრშკოს** გაძევება იყო - სლოვაკმა ლეგიონერმა მეტოქესთან შეჯახებისას ტრავმა მიიღო და საკაცეზე დაწვენილს სასწრაფო დახმარების მანქანისკენ მიაქანებდნენ, არბიტრმა რომ წითელი ბარათი... გზაში დააწია!

## ვიტ ჯორჯია-სიონი

ტურის კიდევ ერთი საინტერესო დაპირისპირება, სადაც უფრო დიდი მნიშვნელობა მწვრთნელების ფაქტორსაც ექნება - **რამაზ მუმლაძეც** და თემურ მახარაძეც ხომ ჩვენს ჩემპიონატში კვალიფიციურ და ავტორიტეტულ სპეციალისტებად მიიჩნევიან. თუმცა, ამ სეზონში ხვალინდელ კონკურენტებს განსხვავებული მიზნები აქვთ: „ვიტ ჯორჯია" ტიტულის შენარჩუნებისათვის იბრძოლებს, „სიონს" კი ბევრად მოკრძალებული ამოცანების გადაჭრა მოუწევს. ამას გარდა, ორივე გუნდმა წინა შეხვედრებში მეტისმეტად მტკივნეული მარცხი იწვნია და ერთგული ქომაგების წინ რეაბილიტაცია სჭირდება. ოღონდ, „ვეტერინარებისგან" განსხვავებით, „სიონს" ხვალინდელ მატჩამდე თითქმის ორკვირიანი დასვენება ჰქონდა. ჰოდა, თემურ მახარაძისთვის, მართლაც, მისწრება იქნებოდა ამხელა პაუზა - ჩემპიონატის სტარტამდე რამდენიმე დღით ადრე დანიშნულ მწვრთნელს საკუთარი იდეების დამკვიდრებისთვის ხომ დროც სჭირდებოდა.

...როცა „ვიტ ჯორჯია"-„სიონის" დაპირისპირებაზე ვლაპარაკობდით, პირველ ყოვლისა, 2004 წლის „ოქროს მატჩი" გვახსენდებოდა ხოლმე. ჰო, ასე იყო მანამდე, ვიდრე ამა წლის 17 მაისის ტრაგიკომედიას არ ვიხილავდით! ტრაგიკომედია, ფარსი, გულშემატკივრების შეურაცხყოფა, - ზუსტი ფორმულირების მიცემაც გვიჭირს, იმდენად ამაზრზენი „სანახაობა" იყო „სიონისა" და „ვიტ ჯორჯიას" ის შეხვედრა. შეგახსენებთ, რომ მატჩის 50-ე წუთისათვის ბოლნისელები 3:1-ს უგებდნენ ჩემპიონობისთვის მებრძოლ მეტოქეს, მაგრამ, მერე, სტუმრებმა ძალ-ღონე მოიკრიბეს და დაახლოებით 15-წუთიან ინტერვალში... სამი გოლი გაუტანეს მასპინძლებს! თან, ნუ დაგვავიწყდება, რომ იმ დღეს „ვიტ ჯორჯიას" ერთდროულად სამი წამყვანი ფეხბურთელი (**ლუკა რაზმაძე, ალექსანდრე კვახაძე, ირაკლი კლიმიაშვილი**) აკლდა...

...იმ შეხვედრის მოგებით „ვიტ ჯორჯია" ჩემპიონი გახდა, თუმცა, ალბათ, დიდი ხანი უნდა გავიდეს, 2008 წლის 17 მაისის საფეხბურთო შოუ რომ ვინმეს დაავიწყდეს...

**გია ტუხაშვილი**

| | სულ | | | | | | შინ | | | | | სტუმრად | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| 1. სპარტაკი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 | 1 | 0 | 0 | 4-1 | 3 |
| 2. ოლიმპი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-2 | 6 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 | 2 | 0 | 0 | 4-2 | 6 |
| 3. ზესტაფონი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-0 | 4 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 4. გაგრა | 1 | 1 | 0 | 0 | 4-0 | 3 | 1 | 0 | 0 | 4-0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 2 | 1 | 0 | 1 | 2-5 | 3 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 | 0 | 0 | 1 | 0-4 | 0 |
| 6. ლოკომოტივი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 7. დინამო | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| 8. სამტრედია | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 9. ბაია | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |
| 10. სიონი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-4 | 0 | 0 | 0 | 1 | 1-4 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 | 0 |

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპი

# ორი წლის შემდეგ ევროპაშიც...

## რუსთავში ახალწვეულები წარადგინეს

„ატლეტიკო პარანაენსედან" ჩამოსული ფეხბურთელები კლუბში ერთი თვის წინ ჩაირიცხნენ, მაგრამ ევროთასებისთვის და საქართველოს ჩემპიონატისთვის სამზადისის პერიოდში მედიასთან მშვიდად შეხვედრისა და დალაპარაკების დრო არ მოიძებნა. ამჯერად, მედიის წინაშე კლუბის ხელმძღვანელები და ახალწვეულები წარდგნენ...

„ოლიმპის" პრესატაშე **მიხეილ ჯორბენაძის** თქმით, კლუბს სურვილი აქვს, რომ ნებისმიერი მოვლენა ცივილიზებულად აღნიშნოს: *„ბოლო პერიოდში 5 ბრაზილიელი დავიმატეთ - ჩოკო, ფრაგა, აკინო, ჯონატასი და ჯერონიმო, აგრეთვე, კიევის „დინამოს" ყოფილი მოთამაშე დავით იმედაშვილი. ვფიქრობ, ისინი „ოლიმპს" მნიშვნელოვნად გააძლიერებენ და ჩემპიონის ტიტულსაც შევეჭიდებით".*

**ვილი ველიჯანაშვილი,** სააქციო საზოგადოება „რუსთავის ფოლადის" გენერალური დირექტორი: *„ჩვენ ვცდილობთ, ქარხანა განვავითაროთ და პარალელურად, ქალაქის სოციალურ პრობლემებსაც გავწვდეთ. სწორედ ამ პროგრამის ერთ-ერთი ნაწილია საფეხბურთო კლუბის დაფინანსება. მიხარია, რომ ახალი სეზონისთვის ექვსი ძალიან ძლიერი მოთამაშე დავიმატეთ და იმედია, ოქროს მედლებისთვის ვიბრძოლებთ".*

**დავით კირკიტაძე,** ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი: *„მსურს, ხაზგასმით ვისაუბრო ბატონი ვილის თანადგომაზე. იმ დროს, როცა ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისია, ქარხნების ნაწილი გაკოტრების პირას არის მისული. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელობამ ქართულ ფეხბურთს და კონკრეტულად რუსთავის „ოლიმპს" ძალიან დიდი დახმარება გაუწია. ეს არის სოციალური პროექტი და ნებისმიერი სხვა საწარმოსთვის მისაბაძი მაგალითი. მეტალურგიულ წარმოებას ყველგან გაუჭირდა. მაგალითად, უკრაინაში მათ მიერ დაფინანსებული ბევრი კლუბი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა და ასეთ ფონზე რუსთავის „ოლიმპი" კიდევ უფრო გაძლიერდა. ეს არის ქართული საფეხბურთო ტრადიციების აღორძინებისკენ მიმართული ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რისთვისაც ბატონ ვილის გულწრფელ მადლობას ვეუბნები. არ გვაქვს ილუზია, რომ დღესვე ევროპული დონის კლუბად ჩამოვყალიბდებით, მაგრამ არსებობს გეგმა, რომლის მიხედვითაც ორი წლის შემდეგ „ოლიმპი" არამარტო საქართველოს ჩემპიონატში უნდა იყოს გამორჩეული გუნდი, არამედ, ევროპაშიც თავისის იტყვა უნდა თქვას".*

**ზურაბ ჯაფარიძე,** რუსთავის „ოლიმპის" ვიცე-პრეზიდენტი: *„ყველასთვის ცნობილია, რომ კლუბი დღემდე „ფოლადის" თანადგომით არსებობდა. ამას გარდა, კლუბისთვის ძალიან დიდ საქმეს აკეთებს ქვემო ქართლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დავით კირკიტაძე. სწორედ მისი უშუალო მონაწილეობით მოხერხდა ბრაზილიიდან მოთამაშეების ჩამოყვანა. ამ ორი სერიოზული თანამდგომის წყალობით „ოლიმპს" ახალ რელსებზე გადასვლა შეუძლია".*

**ოთარ კორღალიძე,** „ოლიმპის" მთავარი მწვრთნელი: *„უპირველესად, მსურს მადლობა გადავუხადო კლუბისა და რეგიონის ხელმძღვანელობას, რომლებმაც ასეთი საპასუხისმგებლო პოსტი ჩამაბარეს. რთულია, იყო მწვრთნელი გუნდისა, რომელიც ჩემპიონობისთვის ბრძოლას აპირებს, მაგრამ მე ამ გამოწვევის არ მეშინია. სატრანსფერო პერიოდში რუსთავის „ოლიმპმა" მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. სულ 11 ახალი მოთამაშე დავიმატეთ და ბუნებრივია, შეთამაშებისა და გუნდად ჩამოყალიბების პროცესი ძალიან რთულია. აქვე გეტყვით, რომ გადაწყვეტილი გვაქვს - იანვრიდან კლუბში ჩარიცხულ ნებისმიერ მოთამაშესთან ორწლიან კონტრაქტი გავაფორმოთ. პირველ რიგში, ეს საჭიროა იმისთვის, რომ კლუბის სახე ჩამოყალიბდეს, რომ სტაბილური შემადგენლობა გვყავდეს, რაც თავისთავად არის პროგრესისა და წინსვლის საფუძველი. სტაბილური შემადგენლობა და წარმატებები კი ხალხს სტადიონზე დააბრუნებს. მიხარია, რომ ჩამოვიყვანეთ საკმაოდ მაღალი კლასის 5 ბრაზილიელი, აქ არის დათო იმედაშვილიც, რომელიც ერთ დროს წარმატებით თამაშობდა ჩემთან, 19-წლამდელთა ნაკრებში. ჯერჯერობით, უკრაინიდან იმედაშვილის სატრანსფერო ფურცელი არ ჩამოსულა, მაგრამ იმედია, ეს პრობლემა უსწრაფესად მოგვარდება და დათო უკვე „სამტრედიასთან" მატჩში დაგვეხმარება. რაც შეეხება კლუბის სამომავლო გეგმებს, ძალიან დიდი შრომა დაგვჭირდება იმისთვის, რომ ევროპული დონის კლუბად ჩამოვყალიბდეთ".*

### აკინო: საქართველოს ნაკრები? რატომაც არა?

ამის შემდეგ კლუბის ხელმძღვანელებმა ახალწვეულებს მუდმივნომრიანი მაისურები გადასცეს: **ფრაგა 3 ნომერი იქნება, ჩოკო 11, ჯერონიმო 6, ჯონატასი 9, აკინოს 10, ხოლო იმედაშვილი - 22.**

მერე ბრაზილიელებმა რამდენიმე კითხვაზე გვიპასუხეს.

**- რა სტიმულია თქვენთვის ბრაზილიიდან საქართველოში ჩამოსვლა?**

ფრაგა: - სტიმული არის ევროპა და „ოლიმპთან" ერთად ჩემპიონობისთვის ბრძოლის პერსპექტივა. თავისთავად, ეს საინტერესო უნდა იყოს.

**- რას იტყვით საქართველოს ჩემპიონატის დონეზე?**

აკინო: - საკმაოდ კარგი ფეხბურთელები არიან, თუმცა ბრაზილიაში სულ სხვა ფეხბურთია, ბევრად მაღალი დონის...

...აქ საუბარში კირკიტაძე ჩაერთო: - განსაკუთრებით, „ლოკომოტივის" სავსე ტრიბუნები მოეწონათ (იცინის). ხუმრობა იქით იყოს და, ჩვენ საკმაოდ საფუძვლიანი იმედი გვაქვს, რომ ბრაზილიელი მოთამაშეების მაღალი კლასი მაყურებლის მოზიდვაში დაგვეხმარება. ასევე შემიძლია ვთქვა დავით იმედაშვილზეც. კიევის „დინამოში" ფეხბურთელი შემთხვევით ვერ მოხვდება. ასეთი ფეხბურთელები როდესაც ერთ კლუბში იკრიბებიან, ეჭვი არ მეპარება, ეს მაყურებლისთვის საინტერესო უნდა გახდეს.

**- საკითხი რეალურად რომ დაისვას და საქართველოს ნაკრებში თამაში შემოგთავაზონ, დათანხმდებით?**

აკინო: - რატომაც არა?! სიამოვნებით დავთანხმდებოდი.

**- საქართველოს სტადიონებზე გულშემატკივრები თითქმის არ დადიან. ეს დისკომფორტს არ გიქმნით? ბრაზილიაში ხომ სავსე ტრიბუნებს ხართ შეჩვეული?**

ჩოკო: - რა თქმა უნდა, ეს პრობლემაა, მაგრამ მას ყურადღებას არ ვაქცევ. ჩემი მიზანია, კლუბს დავეხმარო...

ოთარ კორღალიძე: - მთლად ასეც არ არის საქმე. ხალხი თბილისში არ დადის, თორემ რაიონებში საკმაოდ ბევრი მაყურებელია. ზუგდიდში, ზესტაფონში, სამტრედიაში, ბოლნისში... მაყურებლის პრობლემა ნამდვილად არ არის.

კითხვა დავით იმედაშვილს:

**- კიევის „დინამო" სულ სხვა რანგის კლუბია და საქართველოში დაბრუნების შემდეგ შეგრჩება საფეხბურთო ენთუზიაზმი?**

- „ოლიმპი" ჩემი ქალაქის გუნდია და მისი დახმარება ჩემთვის ყველანაირად სასურველია. როცა ამ კლუბში თამაშს დავთანხმდი, კარგად გავიაზრე, სად და რატომ მოვდიოდი. ასე რომ, „ოლიმპში" სათამაშოდ ფსიქოლოგიურად მზად ვარ.

**მერაბ მამულაშვილი**




მალტური ფიასკოს შემდეგ





## დიმიტრი რამიშვილი:

# ვითარება კატასტროფულია!

**მალტის ნაკრებთან საქართველოს ეროვნული გუნდის წაგებამ ყველას მოთმინების ფიალა აავსო. გულშემატკივრები, სპეციალისტები, ჩინოსნები... აბსოლუტურად ყველა თანხმდება ერთ რამეში, რომ საქართველოს სამარცხვინო ნაკრები ჰყავს. ყოველ შემთხვევაში, ძნელია, ნაკრები ეწოდოს გუნდს, რომელიც ქვეყნის ღირსებას და ხალხის გრძნობას ფეხქვეშ თელავს.**

**როგორც ჩანს, ამ ყველაფერმა ფეხბურთის ფედერაციის უფროსობაც ალაშფოთა.**

დიმიტრი რამიშვილი,
**ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი**

- რა შეფასება უნდა მივცე ამ ნაკრებს?! საშინელი შედეგია და ძალიან განვიცდი. ამაზე ფიქრიც მზარავს.

**- ვის უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება - მთავარ მწვრთნელს თუ ფეხბურთელებს?**

- გუნდი ერთიანი ორგანიზმია და ყველას ერთ კონტექსტში განვიხილავ. არ შეიძლება, ნაკრების ცუდი მდგომარეობა მხოლოდ მთავარ მწვრთნელს ან მხოლოდ ფეხბურთელებს დავაბრალოთ. მათი დაყოფა ამ შემთხვევაში გაუმართლებელი იქნება. ფაქტია, რომ ბოლო დროს ნაკრები ძალიან ცუდად გამოიყურება. ამის თაობაზე ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს კონსულტაციები გვაქვს და ვფიქრობთ, სასწრაფოდ ზომებია მისაღები.

**- და რა უნდა იყოს ეს „სასწრაფო ზომები"?**

- ჯერ მიმდინარე პროცესები უნდა გავაანალიზოთ, თუ რა ხდება ნაკრებში. პროგრესზე ლაპარაკიც აღარ არის, სულ უკან-უკან მივდივართ. ამ ყველაფერზე ისედაც ბევრს ვფიქრობდით, მაგრამ როგორც ჩანს, უფრო რთული პროცესებია დაწყებული.

**- უნდა იმუშაოს თუ არა ნაკრებში ჰექტორ კუპერმა? ან იქნებ, მწვრთნელის ბრალი არ არის, რაც გუნდში ხდება? ბოლო წლებში გუნდმა ბევრი მაღალი კლასის მწვრთნელი შეიცვალა, სიტუაცია კი არა და არ იცვლება.**

- არა მგონია, კრიზისი მხოლოდ კუპერის ბრალი იყოს. წარსული სწორედ ამას გვიჩვენებს. ვითარება გლობალურად უნდა გამოსწორდეს. მე თუ მკითხავთ, ნაკრების გაძლიერება ჩემპიონატის მოლონიერებით უნდა დავიწყოთ. სხვა გამოსავალი არ არსებობს.

**- დიდი ხანია, არსებობს მოსაზრება, რომ ფეხბურთელების ნაწილი სანაკრებო მატჩებს ზერელედ ეკიდება...**

- მე ყოფილი სპორტსმენი ვარ და ასე თუ ისე, ვხვდები, გუნდში რა შეიძლება ხდებოდეს. ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი მოთამაშეების ფსიქოლოგიური მომზადება და ის ატმოსფეროა, რაც გუნდში არსებობს. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში მწვრთნელებმა, ფეხბურთელებმა... ყველამ, საქმეს რაღაც დავაკელით. კარგი მწვრთნელები ჩამოვიყვანეთ, მაგრამ შედეგი არ ჩანს. ამიტომ, მეტი დაფიქრებაა საჭირო, თუ რა ხდება ნაკრებში. მხოლოდ მალტაში წაგებას არ ვგულისხმობ - ზოგადად, ქართულ ფეხბურთში არსებული მდგომარეობაა გასაანალიზებელი. პირადად ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, მე მომხრე ვარ, მთელი აქცენტი საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატზე გაკეთდეს. რაც შეიძლება მეტი და მასშტაბური ინვესტიცია უნდა მოვიზიდოთ და ნაკრების განვითარება აქედან დავიწყოთ. საქართველოს დღევანდელ ჩემპიონატში ლეგიონერების სრულფასოვან შემცვლელთა მოძებნა ძალიან ძნელია. როცა საქართველოს ჩემპიონატი ფეხზე დადგება, მაშინ ეს პრობლემა არ შეგვაწუხებს და ნაკრებში კონკურენცია იქნება, რაც წინსვლისა და პროგრესის გარანტი უნდა გახდეს.

### უჩა უგულავა: ჩვენ ეროვნული ნაკრები არ გვყავს!

ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **უჩა უგულავა** მიიჩნევს, რომ ფეხბურთელები საქმეს გულით არ ეკიდებიან და წარუმატებლობაში მწვრთნელზე მეტი ბრალი მიუძღვით.

**- ბატონო უჩა, მართალია, რომ სანაკრებო კრიზისის გამო, ფედერაციის ხელმძღვანელებს შეხვედრა გაქვთ დაგეგმილი?**

- ჩვეულებრივად შევხვდით ერთმანეთს, მაგრამ ნაკრების თემაზე საგანგებოდ არ გვილაპარაკია. კუპერი ერთი კვირით არგენტინაში გაემგზავრა და მისი ჩამოსვლის შემდეგ ნამდვილად მოგვიწევს სერიოზული დისკუსია.

**- თქვენ როგორ შეაფასებთ საქართველოს ნაკრებში შექმნილ ვითარებას?**

- რომელ ნაკრებზე მელაპარაკებით? - გუნდზე, რომელიც არ გვყავს? ძალიან ცუდი ვითარებაა თვითონ ნაკრებში. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ფეხბურთელებს თამაში არ სურთ.

**- და რამ მიიყვანა ფეხბურთელები ასეთ აპათიამდე?**

- წარმოდგენა არ მაქვს. მხოლოდ ის ვიცი, რომ ჩვენ ეროვნული ნაკრები არ გვყავს. ნებისმიერ შემთხვევაში, მალტასთან 2:0 უმწვრთნელოდაც არ უნდა წაგვაგოთ. ამის შემდეგ ფეხბურთელებს თავის მართლების უფლება არ აქვთ.

**- გასაგებია, რომ ფეხბურთელებით უკმაყოფილო ბრძანდებით. როგორია თქვენი დამოკიდებულება კუპერისადმი?**

- მე უფრო ფეხბურთელებით ვარ უკმაყოფილო, რადგან ჩემი აზრით, მალტასთან წაგება არის კატასტროფა.

**- ეს იმას ნიშნავს, რომ ფეხბურთელებს კუპერთან მუშაობა არ სურთ?**

- არ ვიცი, კუპერთან მუშაობა სურთ თუ სხვასთან, მაგრამ მგონია, რომ მათ ცხოვრებაში არაფერიც არ სურთ.

**- რა რეაგირებას უნდა ველოდეთ ფეხბურთის ფედერაციისგან?**

- სხვა გზა არ არის, ბავშვების გაზრდას უნდა დაველოდოთ.

**- მართალია, რომ კუპერი წასვლას აპირებს? თქვენ ხომ არ აპირებთ მის გაშვებას?**

- კუპერს დეკემბრამდე აქვს კონტრაქტი და იმუშავებს.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჭორი თუ მართალი?

# კუპერს თარჯიმნისთვის უთქვამს, წავედიო...

ვინ იცის, სად არის ჭორი და სად - მართალი? მალტური კრახის შემდეგ გავრცელდა ხმები (როგორც ასეთ დროს ამბობენ, კარგად ინფორმირებულ წყაროზე დაყრდნობით), თითქოს საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ექტორ კუპერი** პოსტიდან გადადგა და ეს ამბავი ერთ კვირაში გახმაურდება, როცა არგენტინელი სამშობლოდან დაბრუნდება და ფედერაციის მაღალჩინოსნებს შეხვდება. რაც შეეხება ინფორმირებულ წყაროს - კუპერს თარჯიმანთან უთქვამს, ჩემი ნებით მივდივარო.

ამასთან დაკავშირებით, გუშინ კიდევ ერთხელ დავუკავშირდით ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ **უჩა უგულავას**, რომელმაც კუპერის გადადგომა კატეგორიულად უარყო - მსგავსი არაფერი უთქვამს, თორემ აუცილებლად მეცოდინებოდაო. შემდეგ კუპერის თარჯიმან **ნიკა სახვაძეს** დავუკავშირდით:

- მე ვარ კუპერის თარჯიმანი, ვესწრები მის ყველა მნიშვნელოვან თუ უმნიშვნელო საუბარს და კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ეს არის ტყუილი ინფორმაციაა! დაახლოებით ვხვდები, ვის მიერ და რატომ გავრცელდა ეს ჭორი!

**- და გამორიცხავთ მის წასვლას?**

- საკუთარი ინიციატივით კონტრაქტის გაწყვეტას არ აპირებს.

**- უცნობია, რა კომენტარი გააკეთა კუპერმა მალტის შეხვედრის შემდეგ.**

- კომენტარი არ გაუკეთებია, რადგან პრესკონფერენცია არ გამართულა.

**- ნაკრები სამარცხვინოდ დამარცხდა. რადიკალური ცვლილებები ხომ არ არის მოსალოდენელია?**

- არ არის გამორიცხული. კუპერმა თითქმის ყველა ფეხბურთელს მისცა თავის გამოჩენის შანსი და ვინც იმედი არ გაამართლა, მათ აღარ მიიწვევს. ამას გარდა, მალე კალაძე და მჭედლიძე დაგვემატებიან...

**- ამბობენ, კუპერთან ერთად ისიც დამნაშავეა, ვინც მას ინფორმაციას აწვდისო...**

- კატეგორიულად ვამბობ, რომ კუპერის საქმიანობაში ვერავინ ერევა და სიასაც არავინ აწვდის! ფეხბურთელებზე ცნობებს თავად აგროვებს, ამიტომ ცხოვრობს საქართველოში, ეროვნულ ჩემპიონატის შეხვედრებს ესწრება და ლეგიონერებზეც ინფორმაციას აგროვებს. არ ვიცი, როგორ დაგაჯეროთ. ეს ნამდვილად ასეა. სხვათა შორის, თამაშამდე საინტერესო ამბავი მოხდა - ბიჭებს მიმართა, საქართველოს დროშა ჩემში თქვენზე ნაკლებ გულისცემას არ იწვევსო. ზოგჯერ ისიც კი მგონია, რომ ჩავარდნასა და ნაგებას სხვებზე მეტად განიცდის. მატჩის შემდეგ მხოლოდ სამი ფეხბურთელი


ექტორ კუპერი და მისი თარჯიმანი ნიკა სახვაძე

გამოარჩია - ლევან ყენიას ფიზიკური, ტაქტიკური მომზადებითა და თამაშით ძალიან კმაყოფილი დარჩა. ბოლომდე გულიანი ბრძოლისთვის მადლობა გადაუხადა ლევან ცქიტიშვილსა და ლევან ხმალაძეს. აი, ეს სამი ფეხბურთელი გამოარჩია...

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# ჭანტურია: ერთწლიანი არენდით ბარსელონაში

**გიორგი ჭანტურია** მომავალ სეზონსაც „ბარსელონაში" ჩაატარებს, თუმცა, უკვე ოფიციალურად, კლუბის ფეხბურთელის სტატუსით. საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებისა და „საბურთალოს" 16 წლის თავდამსხმელი კატალონიური გრანდის ასაკობრივ გუნდში ერთი წლის განმავლობაში ვარჯიშობდა, მაგრამ კლუბში მისი ჩარიცხვა იურიდიულად ვერა და ვერ ხერხდებოდა. პრობლემა ნაცნობია: საქართველოს მოქალაქეებს ევროკავშირის ქვეყნების კლუბებში ბარიერები ელობებათ.

საბედნიეროდ, ამ შემთხვევაში პრობლემა მოგვარდა. ჭანტურიაზე ერთწლიანი დაკვირების შემდეგ, „ბარსელონას" ხელმძღვანელობამ „საბურთალოს" კონტრაქტი შესთავაზა. კომენტარისთვის „საბურთალოს" გენერალურ დირექტორ **კახა ჭუმბურიძეს** მივაკითხეთ:

*„საბოლოოდ, ჭანტურიას ერთწლიან უფასო არენდაზე შევთანხმდით. თავად გიორგიმ ერთწლიანი პირადი კონტრაქტი გააფორმა. ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ კი თავიდან დავილაპარაკებთ. კონტრაქტის გაფორმებას კატალონიელთა სპორტული ხელმძღვანელობა დაესწრო. ფეხბურთელის მხრიდან კი ხელი მოაწერა ესპანეთში საქართველოს ელჩმა ზურაბ პოლოლიკაშვილმა, რომელმაც ჭანტურიაზე შეფობა აიღო. „ბარსელონაში" შემთხვევით არავის აიყვანენ. საინტერესოა, რომ ჭანტურია ორი წლით უფროსებში თამაშობს და სულ შემადგენლობაშია. ეს ძალიან ბევრს ნიშნავს და საქართველოშიც ძნელია, არათუ ევროპულ გრანდში. კატალონიელები ამან დაარწმუნა, რომ არჩევანში არ შემცდარან. გუშინ „ბარსელონა" ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირში ჩაერთო და იქ გიორგიც გაემგზავრა. ის გუნდის ბაზაზე ცხოვრობს და „ხუნიორს B-ში" თამაშობს. მთავარ გუნდამდე კიდევ ორი საფეხურის გავლა დასჭირდება - „ხუნიორს A„ და „ბარსელონა B„. ამის შემდეგ უკვე მთავარი გუნდია.*

*იმედია, მხოლოდ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებში კარგ თამაშს არ დასჯერდება, „ბარსელონას" მთავარ გუნდამდე დაწინაურდება და ქართულ ფეხბურთს ასახელებს".*

**მერაბ მამულაშვილი**

კოლეგები

# ქართული სპორტული ტელეარხი


პრესკონფერენციაზე. მარცხნიდან დავით ნამგალაური, ნიკოლოზ რურუა და ლაშა დვალიშვილი

სპორტის ქართველ ქომაგებს მშვენიერი სიახლე ელოდებათ - დღეიდან, ტელეკომპანია „მზე" სრულად დააკმაყოფილებს სპორტის მოყვარულთა ინტერესს. უფრო ზუსტად, ყოველ შაბათსა და კვირას, ტელეკომპანია „მზე" სპორტულ არხად გადაიქცევა! ანუ, ბოლოს და ბოლოს, საქართველოში გაჩნდება „ევროსპორტისა" თუ „НТВ-სპორტის" მსგავსი არხი. ამ, მართლაც, ჩინებული საქმის სულისჩამდგმელი და განმხორციელებელი, ჩვენი კოლეგა, ცნობილი სპორტული ჟურნალისტი **ლაშა დვალიშვილია.** ნიჭიერი კაცი საკუთარ შესაძლებლობებს ყველგან გამოავლენს და ეს, სწორედ, ლაშა დვალიშვილზე ითქმის - წლების განმავლობაში, არაერთი საავტორო გადაცემით თუ დოკუმენტური ფილმით ქართულ ტელესივრცეს ხიბლს და ლაზათს რომ მატებდა. ბოლოს, საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე საფეხბურთო გადაცემა „გოლი" მიჰყავდა, დღეიდან კი უკვე „მზის" ეთერში ვიხილავთ.

სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა კიდეც გუშინდელი პრესკონფერენცია, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში რომ ჩატარდა. სხვათა შორის, წინდაწინვე უნდა აღვნიშნოთ: რომ არა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის **ნიკოლოზ რურუას** და საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის **დავით ნამგალაურის** ამ თემისადმი დაინტერესება და ყურადღება, ქართული სპორტული ტელეარხი... ისევ საინტერესო იდეის დონეზე დარჩებოდა! სხვათა შორის, პრესკონფერენციას სხვადასხვა ფედერაციის ხელმძღვანელებიც ესწრებოდნენ და ზოგმა მათგანმა იქვე, დარბაზშივე გამოთქვა სურვილი და მზადყოფნა აქტიურად ეთანამშრომლა სპორტულ ტელეარხთან. მანამდე კი ჟურნალისტებმა ამომწურავი ინფორმაცია მივიღეთ.

**ნიკოლოზ რურუა:** *„მიმაჩნია, რომ ქართულ ტელესივრცეში უმნიშვნელოვანესი მოვლენა მოხდა. ამიერიდან ჩვენთანაც იქნება ქართული სპორტული ტელეარხი. სასიამოვნოა, რომ რაგბის, კალათბურთისა და ფეხბურთის ფედერაციები მაშინვე გამოეხმაურენ ამ ჩინებულ წამოწყებას და ქართულ სპორტულ ტელეარხთან აქტიური თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს. იმედი მაქვს, რომ მათ მაგალითს სხვა ფედერაციებიც მიბაძავენ. რაც მთავარია, სპორტული ტელეარხი ქართული სპორტის პოპულარიზაციას ხელს შეუწყობს".*

**ლაშა დვალიშვილი:** *„საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო და საქართველოს სპორტის დეპარტამენტი გვერდში რომ არ დამდგომოდნენ, ეს პროექტი ვერ განხორციელდებოდა. შაბათსა და კვირას, ფაქტობრივად, მთელი დღე „მზეზე" სპორტული გადაცემები გავა: დავიწყებთ 12 საათზე და ღამის სამ საათზე დავასრულებთ. იქნება საავტორო გადაცემები, ხშირად ვუჩვენებთ ქართული სპორტის ისტორიაში ღირსშესანიშნავი მოვლენების ამსახველ კადრებს. იანვრიდან ვაპირებთ შემეცნებითი გადაცემების გაშვებას, გარკვეული დრო დაეთმობა ტელევიქტორინებს; აქცენტი, რაღა თქმა უნდა, ქართული სპორტის პოპულარიზაციაზე გვექნება. თუმცა, ამას გარდა, გულს არც უცხოური სპორტის მოყვარულებს დავწყვეტთ. შაბათ-კვირას პირდაპირ ეთერში იხილავთ ინგლისური პრემიერლიგისა და ესპანური პრიმერადივიზიონის სამ-სამ შეხვედრას! თანაც, მოგეხსენებათ, რომ 2010 წელს ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატი უნდა ჩატარდეს და ბევრ წამყვან ჩემპიონატში კალენდარული მატჩები შუა კვირაშიც გაიმართება. ანუ, ინგლისისა და ესპანეთის ჩემპიონატების მატჩებს სამშათობითა და ოთხშაბათობითაც პირდაპირ ეთერში შემოგთავაზებთ".*

ჩვენც ისღა დაგვრჩენია, კოლეგას ეს საინტერესო და, რაც მთავარია, ჩინებული ჩანაფიქრი მოვუწონოთ და მივულოცოთ. დაბოლოს, იმასაც გეტყვით, რომ უკვე დღეს, 12 საათზე „მზის" ეთერში ლაშა დვალიშვილის საავტორო გადაცემა „105 წუთი" გავა; 14 საათზე ფეხბურთის მოყვარულებს სიურპრიზი ელოდებათ: 1987 წლის უეფას თასის მატჩი - „დინამო"-"ვერდერი"; დიდი შანსია, რომ უკვე დღესვე ვიხილოთ 1979 წლის „დინამო"-"ლივერპულის" ზღაპრული მატჩის მეორე ტაიმი და ასე შემდეგ. რაც შეეხება ინგლისურ პრემიერლიგას, დღეს „ჩელსი"-"ჰალის" პირდაპირი რეპორტაჟი იქნება (15 საათსა და 45 წუთზე), ხვალ კი ერთდროულად ორი მატჩი გველოდება: „მანჩესტერ იუნაიტედი"-"ბირმინგემი" (16 საათსა და 30 წუთზე) და „ტოტენჰემი"-"ლივერპული" (19 საათზე). 30 აგვისტოდან კი ესპანეთის ჩემპიონატიც დაიწყება და აი, მერე იქნება, რაც იქნება...

**გია ტუხაშვილი**

ფელეტონი

# შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ

აი, თუ ვერ მივხვდი! მივხვდი და ძალიან კარგადაც მივხვდი, რატომ მოგვიგეს მალტელებმა. იმიტომ, რომ მალტელები მასონები არიან, მასონებს კი ვერ აჯობებ. ეს ჯერ კიდევ 15 წლის წინათ გავიგე მიტინგზე. მოკლედ, ჩაწყობილი იყო, თორემ, მალტა ჩვენებს ფეხბურთს როგორ მოუგებდა?

ნუ, ჩაწყობილი ეხლა ისე კი არ გამიგოთ, რომ მალტელებმა ჩვენებს უთხრეს - ჩვენ მასონები ვართ და ამიტომ თქვენ ორი გოლი უნდა გაუშვათო. არა, რა თქმა უნდა. ჩვენებს სულ არ ეცოდინებოდათ, ისე ჩაუყრიდნენ საჭმელში ან სასმელში ძლიერ „ანტიმოგებინს" ან სულაც „ლასლასომიცინს". მოკლედ, „უსუსურინის" ჯგუფის რომელიმე პრეპარატს, თორემ, აბა, ისე, მალტა ჩვენებს ფეხბურთს როგორ მოუგებდა?

და საერთოდაც, ეტყობა, მსოფლიო შეთქმულებაა ჩვენს წინააღმდეგ. ალბათ, გვიყრიან და გვიყრიან ღვინოში და ლუდში დაფხვნილ მედიკამენტებს. ხომ დაკვირვებიხართ, ქართული გუნდები რომ თამაშობენ, ფეხბურთელი ფეხბურთელისგან კილომეტრნახევარში დგას და მათ შორის მეტოქეები თავისუფლად გადიან და გამოდიან. როგორ ფიქრობთ, რისი ბრალია ეს? მხოლოდ და მხოლოდ მსოფლიო შეთქმულების, თორებ აბა, ისე მალტა ჩვენებს ფეხბურთს როგორ მოუგებდა?

თუმცა, რას გადავეკიდეთ ამ მალტას. სერბებმა არ შეწვეს ერთი კვირით ადრე ჩვენგან ბელგრადში სერბოკვერცხი? რატომ? იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყანაში რა ხანია ნატურალური არაფერი აღარ არის. ქართველ ქათმებს კვერცხის დადებაც კი აკრძალული აქვთ და შემოაქვთ და შემოაქვთ მალტურები. კვერცხი მალტურიო, ფქვილი მალტურიო, გოჭი მალტურიო, ბარკალი მალტურიო... ჰოდა, იმიტომ არის ჩვენი თავდამსხმელები კარში რომ ველარ უმიზნებენ, თორემ, მალტა ჩვენებს ფეხბურთს როგორ მოუგებდა?

და მეკარეები? დაკვირვებიხართ, როგორ ხტებიან ქართველი მეკარეები? რომ დაურტყამენ, რაღაცნაირად პირიქით გადალუნულები იქვე ვარდებიან. გეგონება ფეხებით ადგილზე იყვნენ დამაგრებულები, კისერში კი უკნიდან ზამბარა ჰქონდეთ მიბმული და მეტოქის დარტყმებზე ვიღაც თავისკენ ქაჩავდეს. ალბათ, სინამდვილეშიც ასეა, თორემ, აბა, მალტა იყო ჩვენი მომგები?

და რას გადავეკიდეთ, მეთქი, ამ მალტას. ყველა გვიგებს, მთელი მსოფლიო. ეს კი პირდაპირ ამტკიცებს, რომ ჩვენს წინააღმდეგ მსოფლიო შეთქმულებაა. აბა, მარტო ევროპა რომ გვიგებდეს, ვიფიქრებდით, რომ ჩვენს წინააღმდეგ მხოლოდ ევროშეთქმულებაა და უფრო მოვისვენებდით. მოკლედ, აშკარად გვჩაგრავენ, თორემ, აბა, მალტა ჩვენებს ფეხბურთს როგორ მოუგებდა?

ერთი სიტყვით, ჩვენი, მთელი მსოფლიოსგან ჩაგრული ერი ასეთი რეალობის წინაშე დგას: კარში ვერ ვარტყამთ, დარტყმულს ვერ ვიღებთ, პასს ვერ ვაწვდით, სწრაფად ვერ გავრბივართ, საშუალო სისწრაფით ვერ გავრბივართ, ნელა ვერ გავრბივართ, კიდევ უფრო ნელაც ვერ გავრბივართ და ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ... აბა, მალტა ჩვენებს ფეხბურთს როგორ მოუგებდა?

ახლა კი იმას მოგახსენებთ, რომ ამდენი ნაგებით შემცბარმა ხალხმა ბევრი იფიქრა თუ ცოტა, დიდებული გამოსავალი მოიფიქრა: ყველაფერი ჩაწყობილია და ჩვენები მსოფლიო ტოტალიზატორებში ყომარობენ, თორემ, აბა, ისე მალტა ფეხბურთს როგორ მოგვიგებდა?

ეს არგუმენტი კი ქვას ხეთქვს, მით უფრო, რომ მე ტოტალიზატორებში, „კუშებსა" და „კუშნახევრებში" ვერ ვერკვევი, მაგრამ ერთი კითხვა მაინც მიჩნდება და თუ ძალიან სისულელეა მაპატიეთ და ისე გაატარეთ, ვითომც არ მიკითხავს: ტოტალიზატორებში სულ ჩვენი ნაგება უნდა ეწყობოდეს? რამე წესია ასეთი? მოწინააღმდეგის წაგებაზე ფული ვერ კეთდება? არა, ხომ გეუბნებით, მე ვერ ვერკვევი და იმიტომ, თორემ ამის კითხვას გავბედავდი? ვინ ოხერი... და საერთოდ, აბა, ისე მალტა ჩვენებს ფერხბურთს როგორ მოუგებდა?

***აი, რას ჩიოდა გუშინ ფერდინანდ (ნანდო) კუთხურსკი (კორნერევიჩი) და ჩივილების ჩამონათვალი***

რედაქციაში გამოატანა
**ილია ბაბუნაშვილს**

5
ელექტრონული ბიბლიოთეკა

გერმანია

ბუნდესლიგა. II ტურის წინ



შესაძლოა, ფელიქს მაგათმა ლევან ყენია ძირითადში გაამწესოს

# KICKER: ყენია ძირითადში!

## გააბრაზებს ვერდერი ბაიერნს?

| დღეს | |
|---|---|
| ბაიერნი-ვერდერი | 17:30 |
| ლევერკუზენი-ჰოფენჰაიმი | 17:30 |
| შტუტგარტი-ფრაიბურგი | 17:30 |
| ჰამბურგი-ბორუსია (დ) | 17:30 |
| აინტრახტი-ნიურნბერგი | 17:30 |
| ჰანოვერი-მაინცი | 17:30 |
| კიოლნი-ვოლფსბურგი | 20:30 |
| **ხვალ** | |
| ბორუსია (მ)-ჰერტა | 17:30 |
| შალკე-ბოხუმი | 19:30 |

მეორე ტურის მთავარი ინტრიგა გერმანული კლასიკა, „ბაიერნისა“ და „ვერდერის“ ჯახია. პირველ ტურში არც ერთს არ მოუგია და შესაბამისად, ორივე გუნდს სურს გამარჯვება, რათა ცუდი სტარტი თავიდან აიცილონ. „შტუტგარტში“ სამხრეთ-დასავლური დერბია, ფრანკფურტში კი სამხრეთული დუელი. „ჰამბურგში“ დორტმუნდის „ბორუსია“ ჩადის და ესეც უდიდესი მნიშვნელობის მატჩია, ლევერკუზენი კი თავის ახალ „ბაი-არენაზე“ „ჰოფენჰაიმს“ მასპინძლობს. წნეხის ქვეშ მყოფი „ჰანოვერი“ „მაინცს“ დაუხვდება, პირველი ტურის შემდეგ გალიდერებული მოქმედი ჩემპიონი „ვოლფსბურგი“ კი „კიოლნში“ ჩავა. ხვალ კი ყურადღების ცენტრში რურის მცირე დერბი იქნება: „შალკე“-“ბოხუმი“.

მიუხედავად იმისა, რომ „ეს ის „ვერდერი“ აღარ არის“, ტურის ცენტრალური მატჩი მაინც რეკორდმაისტერისა და ბრემენული კლუბის დაპირისპირებაა. „ბაიერნმა“ პირველ ტურში ფრე ითამაშა და ახლა მხოლოდ მოგებაზე ფიქრობს, „ვერდერმა“ კი ერთი კვირის წინ შინ „აინტრახტთან“ წააგო და თუ ახლაც დამარცხდება, გამოვა, რომ „მუსიკოსებმა“ ახალი სეზონი ძალიან ცუდად დაიწყეს. მიუნხენელებს კარგად ახსოვთ შარშანდელი სეზონის მატჩი, როცა „ბაიერნმა“ „ალიანს არენაზე“ „ვერდერთან“ 2:5 წააგო. ეს შეხვედრა ჩინებულად ახსოვს **ტიმ ბოროვსკისაც**, რომელმაც იმ თამაშში „ბაიერნის“ რიგებში ისპარეზა. ახლა კი ტიმი ისევ „ვერდერშია“. ბოროვსკი ამბობს, „ბაიერნის“ მიუნხენში დამარცხება ნამდვილად ხელგვეწიფებაო, თუმცა იქვე ამატებს, **ლუის ვან გაალის** „ბაიერნი“ ჩვენზე გაცილებით უკეთესი გუნდიაო. „მუსიკოსებს“ ბრაზილიელი მცველი **ნალდო** ისევ არ ეყოლებათ, მისი შემცვლელი **პრიოდლი** კი დისკვალიფიცირებულია - ასე რომ, **თომას შააფმა** რაღაც უნდა მოიფიქროს. ვან გაალი ტრავმირებულ **მარკ ვან ბომელს** ვეღარ დაიხმარს და იძულებულია, ჰოლანდიელი საყრდენის ნაცვლად, ექვსიანის პოზიციაზე ახალწვეული **ანატოლი ტიმოშჩუკი** ათამაშოს. სამაგიეროდ, სათამაშოდ მზადაა **ფრანკ რიბერი**, მაგრამ ვან გაალი ამბობს, ფრანგს ძირითად შემადგენლობაში არ გავამწესებ, მხოლოდ მეორე ტაიმში ვათამაშებო.

*„0:2 წავაგეთ და პირველი ტურის შემდეგ ბოლო ადგილზე ვართ, მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ ბუნდესლიგა თითქმის თანაბარი ძალის გუნდებითაა დაკომპლექტებული,“* - თავს იმშვიდებს და კრიზისული სტარტის შესახებ არაფრის გაგონება სურს „შტუტგარტის“ თავკაც **მარკუს ბაბელს**. ამ უკანასკნელს „ფრაიბურგთან“ საშინაო მატჩისთვის **ტრეში** უბრუნდება. ბრაისგაულებს კი დაცვაში უჭირთ.

„ლევერკუზენმა“ და „ჰოფენჰაიმმა“ შარშან ძალიან გოლუხვი მატჩები გამართეს და ერთმანეთი 12 გოლით ასიამოვნეს: 5:2, 4:1. *„ვფიქრობ, ჩვენი და „ჰოფენჰაიმის“ თამაშის სტილი იდენტურია და სწორედ ამიტომ, ერთმანეთს წელსაც ბევრ გოლს გავუტანთ. ორივე გუნდი შემტევ ფეხბურთს თამაშობს და დაცვაში შეცდომებს უშვებს,“* - აცხადებს ლევერკუზენელთა მარჯვენა მცველი **გონსალო კასტრო**, რომელმაც ტრავმა მოიშუშა და ძირითად შემადგენლობაში ბრუნდება - ისევე როგორც „ლევერკუზენის“ საყრდენი ნახევარმცველი **სიმონ როლფესი**. „ჰოფენჰაიმიდან“ კი **ტობიას ვაისის** თამაშია კითხვის ნიშნის ქვეშ.

გერმანიის თასიდან გამოვარდნა, მარცხი ბუნდესლიგის პირველ ტურში - „ჰანოვერში“ ძალიან მძიმე ვითარებაა. ამ კვირაში „წითლებს“ „შტუტგარტიდან“ **იან შიმაკი** უნდა გადაებირებინათ, მაგრამ ტრანსფერი ჩაიშალა. სამაგიეროდ, „ჰანოვერმა“ **კონან ია** შეიძინა, რის გამოც ფანები ოდნავ დამშვიდდნენ. დიდი შანსია, რომ ამ ფორვარდმა „მაინცთან“ სასტარტო შემადგენლობაში ითამაშოს. ხუთშაბათის ვარჯიშზე **იან როზენტალმა** მიიღო ტრავმა და დღეს ალბათ ვერ ისპარეზებს. მაინცელებს იმედი აქვთ, რომ მოედანზე იქნება ავსტრიელი **ივანშიტცი**, რომელსაც პირველი ტურის შემდეგ მცირე ტრავმა ჰქონდა.

ბრემენში მოგებული მატჩის შემდეგ ფრანკფურტში ეიფორიაა. „აინტრახტმა“ სეზონი ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვებით დაიწყო და დღეს „ნიურნბერგს“ (0 ქულა) მასპინძლობს. „აინტრახტის“ გოლეადორი **იოანის ამანატიდისი** (დუბლი „ვერდერთან“) ცდილობს, ეიფორიას არ აჰყვეს და აცხადებს, „ნიურნბერგი“ ძალიან ძლიერი გუნდიაო. ფრანკფურტელთა დამრიგებელი **მიხაელ სკიბე** კი ამბობს, ჩემმა გუნდმა მეორე ტურშიც აგრესიული, ვაჟკაცური და შემტევი ფეხბურთი უნდა ითამაშოსო. თასის პირველ რაუნდში და ბუნდესლიგის პირველ ტურში „აინტრახტმა“ ეს ნამდვილად შეძლო და საინტერესოა, მოახერხებს თუ არა „ნიურნბერგთანაც“. ფრანკებს ჰესსენიდან მინიმუმ ქულის წაღება უნდათ, რადგან ორი ტურის შემდეგ უქულოდ ყოფნა ძალიან ცუდ სტარტს ნიშნავს. მიუხედავად იმისა, რომ ერთი კვირის წინ „ნიურნბერგმა“ „შალკესთან“ 1:2 წააგო, მწვრთნელი **მიხაელ ოენინგი** ძირითადი შემადგენლობის შეცვლას არ აპირებს. თავდასხმაში ისევ **აიგლერი** და **ბუკი** ითამაშებენ, **ანგელოს ხარისტეასს** კი კვლავ სათადარიგოთა სკამზე ვიხილავთ.

დორტმუნდის „ბორუსია“ (3 ქულა პირველი ტურის შემდეგ) ჰამბურგში ჩადის და ხვდება გუნდს, რომელმაც ერთი კვირის წინ ფრე ითამაშა. აღსანიშნავია, რომ დორტმუნდელების ბოლო სამი სტუმრობა ჰამბურგში უშედეგო გამოდგა და „ბორუსია“ დღეს ყველაფერს გააკეთებს ამ არასასიამოვნო ტრადიციის დასარღვევად. **იურგენ კლოპს დედე** გამოუჯანმრთელდა, რომელიც ამბობს, თუ მწვრთნელი მათამაშებს, თავს არ დავზოგავო. საკმარისია, „ჰამბურგმა“ მეორე ტურშიც ვერ მოიგოს, რომ მწვრთნელ **ბრუნო ლაბადიას** პრობლემები შეექმნება. **როზენალის** ნაცვლად ძირითადში ალბათ ისევ **ჟერომ ბოატენგს** ვიხილავთ.

ჩემპიონი „ვოლფსბურგი“, რომელიც პირველი ტურის შემდეგ ლიდერია, კიოლნში ჩადის და უნდა ითქვას, რომ ეს გუნდები ერთმანეთს გერმანიის თასის მეორე რაუნდშიც შეხვდებიან. „თხების“ გულშემატკივრები ძალიან გახარებულები არიან იმის გამო, რომ **ლუკას პოდოლსკი** დღეს მოედანზე გასვლას შეძლებს. გამოჯანმრთელდა **მილოვოე ნოვაკოვიჩიც**, მაგრამ მწვრთნელი **ზვონიმირ სოლდო** მას ალბათ სკამზე დატოვებს, რადგან ნოვა საუკეთესო ფორმაში ჯერ არ არის. იგივე ეხება „ვოლფსბურგის“ ახალწვეულ **ობაფემი მარტინსსაც**, რომელსაც ძალიან უნდა, რომ ათამაშონ, მაგრამ **არმინ ფეე**, რა თქმა უნდა, ისევ **ჯეკო-გრაფიტეს** წყვილს ენდობა.

ერთი კვირის წინ მიონხენგლადბახის „ბორუსიამ“ „ბოხუმთან“ პირველ ტაიმში ისე ითამაშა, თითქოს ბუნდესლიგის ფავორიტი იყოს: „გლადბახი“ 3:0-ს იგებდა. მაგრამ **მიხაელ ფრონტცეკის** შეგირდებმა მეორე ტაიმში ჩაისვარეს და „ბოხუმისგან“ 3 გოლი მიიღეს. მიუხედავად ამისა, მიონხენგლადბახში მეორე ტურის მატჩს უდიდესი ეიფორიით ელიან: „ბორუსია“ მინიმალისტ „ჰერტას“ (1:0 „ჰანოვერთან“) მასპინძლობს.

ტური რურის მცირე დერბით დასრულდება: ხვალ საღამოს „შალკე“ „ბოხუმს“ მიიღებს. იმ დროს, როცა პირველ ტურში მოგების მიუხედავად, „შალკეს“ თავკაცი **ფელიქს მაგათი** უკმაყოფილო გახლდათ, „ბოხუმის“ ბანაკში მიონხენგლადბახში მიღწეული ფრის გამო ყველა ბედნიერი იყო. ჩვენთვის ყველაზე სასიხარული ის ფაქტია, რომ „კიკერი“ **ლევან ყენიას** გელზენკირხენული კლუბის ძირითად შემადგენლობაში მოიაზრებს. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ყენიამ პირველ ტურში ძალიან კარგად ითამაშა და ბუნდესლიგაში ჩატარებულ პირველსავე მატჩში საგოლე პასი გააკეთა. როგორც ჩანს, მაგათი ლევანს ძალიან კარგი თვალით უყურებს და თუ ძირითადში არ გაამწესებს, მეორე ტაიმში აუცილებლად შეუშვებს მოედანზე. მაგრამ ვისურვებდით, რომ ყენიამ თავიდანვე ითამაშოს და „აუფ შალკეს“ პუბლიკის წინაშე თავი გამოიჩინოს. თუ მაგათი ყენიას მაინც არ ენდობა, ამ შემთხვევაში ფლეიმეიქერად ან ისევ **რაკიტიჩი** დადგება, ანაც **ჯეფერსონ ფარფანი** დაიხევს უკან, თავდასხმაში კი, **კურანის** გვერდით **ჰალილ ალთინთოფი** გამწესდება. მაგრამ როგორც გითხარით, ყენიას „კიკერის“ თაოსნობით ყველა გერმანული გამოცემა სასტარტო თერთმეტეულში მოიაზრებს.

შალკე

# ჰანცელი, კობიაშვილის ახალი კონკურენტი

## მაგათი: მორჩა და გათავდა, ნოიერი რჩება!

**მინეიროს** ტრანსფერის შემდეგ, რომელიც ალბათ ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს, „შალკემ“ კიდევ ერთი ახალი ფეხბურთელი გადაიბირა. **კრისტიან პანდერის** სერიოზულმა ტრავმამ გელზენკირხენული კლუბის მწვრთნელი და მენეჯერი **ფელიქს მაგათი** იძულებული გახადა, კიდევ ერთი ტრანსფერი განეხორციელებინა. ფელიქსმა არენდით აიყვანა სლოვაკეთის ტრნავის „სპარტაკის“ მარცხენა მცველი **ლუბოშ ჰანცელი**, რომელიც 22 წლისაა და „შალკეში“ სეზონის ბოლომდე ითამაშებს. ამრიგად, **ლევან კობიაშვილს** მარცხენა მცველის პოზიციაზეც გამოუჩნდა კონკურენტი.

ორიოდ დღის წინ გაცნობეთ, რომ „შალკეს“ მეკარე **მანუელ ნოიერით** „მანჩესტერ იუნაიტედი“ დაინტერესდა. მაგათმა ახალგაზრდა მეკარის ტრანსფერს ვეტო დაადო. *„მანჩესტერს“ ჩვენთვის არაფერი შემოუთავაზებია და რომც შემოგვთავაზოს, უარით გავისტუმრებთ. ნოიერი ძალიან გვჭირდება და ის აუცილებლად „შალკეში“ დარჩება,“* - განუცხადა ფელიქსმა „ბილდს“. ინგლისურ პრესაში დაიწერა, რომ „მანჩესტერი“ მზად იყო, ნოიერში 20 მილიონი ევრო გადაეხადა.

ბაიერნი



ფრანკ რიბერი ბაიერნისთვის ძველებურად დაიხარჯება

# რიბერი: ბაიერნისთვის თავს არ დავზოგავ!

84-დღიანი პაუზის შემდეგ, **ფრანკ რიბერი** „ბაიერნის“ განაცხადში ბრუნდება. ფრანგი ნახევარმცველი გამოჯანმრთელდა და დღეს „ვერდერთან“ თამაში შეუძლია. შუა კვირაში მან საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაშიც ისპარეზა და ამრიგად, ბუნდესლიგისთვისაც სრულ მზადყოფნაშია. თუმცა რეკორდმაისტერის მთავარი მწვრთნელი **ლუის ვან გაალი** ამბობს, ძირითადი შემადგენლობისთვის ჯერ მზად არ არის და ალბათ მხოლოდ მეორე ტაიმში ვათამაშებო.

რიბერი პირველად წარდგება „ალიანს არენის“ პუბლიკის წინაშე მას მერე, რაც მის გარშემო სატრანსფერო ქაოსი ატყდა. როგორც იცით, ფრანგ დრიბლიორს მადრიდის „რეალი“ ეპატიჟებოდა და ბევრი ექსპერტის მტკიცებით, სამეფო გუნდს რიბერიზე ჯერაც არ აქვს ხელი ჩაქნეული. გავრცელდა ცნობა იმის შესახებაც, რომ რიბერის მრჩეველი „რეალის“ შეფებს 2010 წლის ზაფხულში ტრანსფერზე შეუთანხმდა. ფაქტი ის არის, რომ რიბერი ამ სეზონს მიუნხენში გაატარებს და რეკორდმაისტერის ქომაგები შიშობდნენ, რომ „რეალში“ არგაშვების გამო რიბერი აღარ იქნებოდა ისე მოტივირებული, როგორც შარშან და შარშანწინ იყო, მაგრამ...

*„სანაკრებო პაუზამ ძალიან მარგო, რადგან რამდენიმე დღით გარემო გამოვიცვალე. ახლა კი ისევ მიუნხენში ვარ და მინდა ყველას ვუთხრა, რომ მთელ სეზონს კლუბს მივუძღვნი. ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ წარმატებებს მივაღწიოთ და თავს არ დავზოგავ,“* - განუცხადა რიბერიმ ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

ამბები

## დონოვანს ღორის გრიპი აქვს

ამერიკელ ფეხბურთელ **ლენდონ დონოვანს** ე.წ. ღორის გრიპი დაუდგინდა. აშშ-ის ნაკრების კაპიტანს ექიმებმა H1N1 ვირუსი აღმოუჩინეს და როგორც ვარაუდობენ, დონოვანს ვირუსი ოთხშაბათს, ამერიკისა და მექსიკის მატჩის დროს შეხვდა. *„თავს სულ უფრო და უფრო შეუძლოდ ვგრძნობდი. მოედანზევე ცუდად გავხდი. ასე არასდროს ვყოფილვარ. მეორე დღეს უკვე აშკარად ცუდად ვიყავი და ექიმებს მივაკითხე. მერე კი გაირკვა, რომ ეს ვირუსი მაქვს,“* - განაცხადა 27 წლის დონოვანმა. მას ლოს ანჯელეს „გალაქსის“ მომდევნო მატჩში მონაწილეობის ნებას ალბათ არ დართავენ, რადგან არსებობს შანსი, რომ ვირუსი სხვასაც გადადოს. იმის გამო, რომ ავადმყოფობა სწრაფად აღმოუჩინეს, დონოვანს არავითარი საფრთხე არ ემუქრება.

## კალენბერგი: დიდი ხნით ლაზარეთში

გერმანიის ჩემპიონი „ვოლფსბურგი“ ახალწვეულ **თომას კალენბერგს** საკმაოდ დიდხანს ვერ გამოიყენებს. დანიელ ნახევარმცველს სერიოზული ტრავმა აქვს - მას ზურგის ტკივილები აწუხებს. „ვოლფსბურგის“ ექიმებს არ შეუძლიათ ზუსტად იმის თქმა, თუ როდის შეძლებს კალენბერგი მოედანზე დაბრუნებას. თომას კალენბერგი „მგლებმა“ „ოსერისგან“ 3.7 მილიონ ევროდ შეიძინეს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ინტერი

# სნეიდერი და გურკუფი ჟოზესთან?

## ეტოო ადაპტაციას წარმატებით გადის

მიუხედავად იმისა, რომ „ინტერი" ვარსკვლავების ნაკლებობას არ უჩივის, გუნდის მთავარი მწვრთნელი **ჟოზე მოურინიო** მაინც ვერ ისვენებს და კიდევ სურს ფეხბურთელების დამატება. გასაძლიერებელი მოედნის შუაგულია და მოლაპარაკებებიც ნახევარმცველებთან მიმდინარეობს.

გუშინ 24oredisport-მა საინტერესო ინფორმაცია გვაუწყა - თურმე, მილანური გრანდის მესვეურებს **უესლი სნეიდერის** შესაძენად დიდი ნაბიჯი გადაუდგამთ წინ. სანამ თავად ფეხბურთელი ეროვნულ ნაკრებთან ერთად იმყოფებოდა, „რეალის" და „ინტერის" ხელმძღვანელებმა ორმხრივი შეხვედრა გამართეს და ჰოლანდიელის შესაძლო ტრანსფერზე იმსჯელეს. რაც მთავარია, ყველაფერზე შეთანხმდნენ. აღნიშნული გამოცემის მტკიცებით, სამეფო კლუბის მესვეურები თანახმანი არიან ფეხბურთელის სანაცვლოდ 19 მილიონი ევრო მიიღონ. აქედან 8.5 მილიონს „ინტერი" ამ ზაფხულს გადაიხდის, დანარჩენ თანხას კი მომავალი წლის ივნისში დაფარავს. მილანელები ასეთ პირობებზე თანახმანი არიან და ახლა, ისღა დარჩენიათ, ჰოლანდიელს მოუმზადონ მიმზიდველი პირადი ხელშეკრულება.

აი, აქ კი შეიძლება გართულდეს ვითარება, რადგან სნეიდერმა არაერთხელ განაცხადა, რომ ესპანეთის დედაქალაქიდან აბარგების სურვილი არ აქვს. უესლი ძალიან უკმაყოფილოა იმით, რომ ჯერჯერობით „რეალში" თავი კარგად ვერ წარმოაჩინა და სურს, მისი შესაძლებლობები სწორედ სამეფო კლუბში დაამტკიცოს. სწორედ ასეთი სიტყვები თქვა ჰოლანდიელმა ბოლოს ესპანურ პრესასთან საუბარში. შესაბამისად, დღეს ძნელია იმის თქმა, მოუნდება თუ არა „ინტერში" გადაბარგება ჯერ კიდევ მადრიდული კლუბის შუახაზელს. ის კი ფაქტია, რომ მილანელები ცდას არ დააკლებენ, რაზეც კონტრაქტში გათვალისწინებული ერთი პუნქტი ნათლად მიუთითებს - იტალიელები ჰოლანდიელს საკმაოდ მაღალ გასამრჯელოს სთავაზობენ, 3.7 მილიონ ევროს წელიწადში. მოკლედ, სიტყვა უესლიზეა, რომელმაც თავისი საბოლოო პოზიცია უნდა დააფიქსიროს.



იოან გურკუფი (მარცხნივ)

სანამ ჰოლანდიელი მილანში გადაბარგებაზე ფეხს ითრევს, **დავიდ სუაზო** ყველაფერს აკეთებს, რომ „ინტერში" დარჩეს, თუნდაც სათადარიგო ფეხბურთელად. ამის შესახებ თავად ჰონდურასელმა განაცხადა პრესისთვის მიცემულ კომენტარში: *„იყო ისეთი დიდი გუნდის წევრი, როგორიც „ინტერია", ჩემთვის უდიდესი პატივია. კარგად მესმის, თუ რამხელა კონკურენციაა ჩვენს გუნდში, მაგრამ ეს არ მაშინებს. თუ ვარჯიშებზე ბოლომდე დავიხარჯები, მჯერა, ძირითად შემადგენლობაში ადგილს დავიმკვიდრებ. ასეც რომ არ იყოს, მზად ვარ, გუნდის წარმატებებში ჩემი წვლილი სათადარიგო ფეხბურთელის რანგში შევიტანო. მთავარია, მომეცეს საშუალება, რომ შესაძლებლობები „ინტერის" მაისურით დავამტკიცო. უახლოეს დღეებში ჟოზე მოურინიოსთან მექნება საუბარი და იმედი მაქვს, პორტუგალიელი ჩემი დარჩენის სურვილს გამოთქვამს".*

იტალიელი ჟურნალისტები სუაზოს „ნერაძურიში" დარჩენის პერსპექტივას ეჭვის თვალით უყურებენ, რადგან გუნდში მართლაც დიდი კონკურენციაა. სამუელ ეტოოს, დიეგო მილიტოს და **მარკო არნაუტოვიჩის** „ინტერში" გადასვლის შემდეგ, ჰონდურასელის შანსები ძალიან შემცირდა.

კიდევ ერთ ინფორმაციას გაგაცნობთ „ინტერის" შესახებ. როგორც ჩანს, მოურინიოს მყარად აქვს გადაწყვეტილი გამთამაშებელი გადაიბიროს. როგორც ჩანს, **დეკუს** ვარიანტი ჩავარდა, რადგან პორტუგალიელ ფეხბურთელს ბოლო დროს, ნავსაყუდლის შეცვლაზე სიტყვაც არ დასცდენია. თანაც, **კარლო ანჩელოტი** მის მიმართ ნდობას ლიად გამოხატავს. არაფერი ისმის **ეზეკილ ლავეცის** შესახებაც, რომელიც ეტყობა, თავად მოურინიომ აითვალწუნა. გუშინ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით კი მილანელები **იოან გურკუფის** მიმართულებით გააქტიურდნენ. ფრანგი უნივერსალი ნახევარმცველია, ფლანგზეც შეუძლია თამაში, ცენტრშიც და წინ წასულსაც, გამთამაშებლის პოზიციაზე. სწორედ მას მიჰყავდა გასულ სეზონში „ბორდოს" თამაში და გუნდი ქვეყნის ჩემპიონობამდეც მიიყვანა. ამ ზაფხულს, ჟირონდელებმა იოანის სანაცვლოდ „მილანს" 15 მილიონი ევრო გადაუხადეს და ფეხბურთელი საბოლოოდ გამოისყიდეს. ახლა კი, არ არის გამორიცხული, „ინტერს" 25 მილიონად მიჰყიდონ. დიახ, **მასიმო მორატი** მზად არის გურკუფში 25 მილიონი ევრო გადაიხადოს. ჯერჯერობით ფრანგული კლუბის მესვეურთა პოზიცია უცნობია, „ინტერში" გადასვლის სურვილი დღემდე არც ფეხბურთელს გამოუთქვამს. ამ საკითხს ნათელი, წესით, იქით კვირაში უნდა მოეფინოს.

ბოლოს, სამუელ ეტოო შემოგინახეთ, რომელიც ახალ გუნდზე თავის შთაბეჭდილებებს გვიზიარებს. კამერუნელი მილანში თავს შესანიშნავად გრძნობს, თუმცა არ გამორიცხავს ოდესმე „ბარსელონაში" დაბრუნებას:

*„ადაპტაციის პროცესი შესანიშნავად მიმდინარეობს. მილანში თავს ძალიან კომფორტულად ვგრძნობ და მიხარია, რომ ბედი „ინტერს" დავუკავშირე. ვარჯიშები საინტერესოდ მეჩვენება და საერთოდაც, ჟოზე მოურინიოსთან მუშაობა ერთი სიამოვნებაა. ვფიქრობ, „ნერაძური" დღეს ისეთი ძლიერია, როგორც არასდროს და ჩვენ ყველაფრის მოგება შეგვიძლია. მართალია, „ლაციოსთან" დასანანი მარცხი ვიწვნიეთ, მაგრამ ამისგან ტრაგედიას არ ვქმნით. ყველაფერი წინ გვაქვს, რაშიც ღრმად ვარ დარწმუნებული. სხვათა შორის, უკვე ბევრმა აღნიშნა, რომ დიეგო მილიტოს მოედანზე კარგად ვუგებ. მეც ასე მგონია და მიკვირს კიდეც, ასე უცებ პარტნიორის გაგება ერთობ უჩვეულო გახლავთ. სეზონი გახურდება და ამ მხრივ, პროგრესი არ დააყოვნებს. მილიტო ძლიერი თავდამსხმელია და მის მხარდამხარ თამაში მსიამოვნებს. როგორ გავიხსენებდი „ბარსელონას"? - ძალიან თბილად, რადგან ამ გუნდში საუკეთესო წლები გავატარე. თანაც, ყველაფერი მოვიგე, რისი მოგებაც შეიძლებოდა. არ გამოვრიცხავ, რომ ოდესმე დავბრუნდე „ასულგრანაში", მაგრამ დღეს ამაზე ლაპარაკი ძალიან ადრეა. „ინტერთან" ხანგრძლივვადიანი ხელშეკრულება მაკავშირებს და მის ამოწურვამდე აქედან არსად წასვლას ვაპირებ".*

რომა

# ლობონტი არის, ბურდისო იქნება

## სპალეტიმ ზენიტი გამორიცხა

როგორც ჩანს, სულ მალე „რომა" „ინტერის" გამოცდილ უკანახაზელ **ნიკოლას ბურდისოს** გაიფორმებს. ამის შესახებ „კორიერე დელო სპორტი" იუწყება და იქვე დასძენს, რომ ამ ეტაპზე, ლაპარაკი ერთწლიან არენდაზეა და არა ხანგრძლივვადიან ხელშეკრულებაზე. სამხრეთამერიკელ მცველს **ჟოზე მოურინიოსთვის** სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრის გარანტიები მოუთხოვია, რაზეც მკაცრი უარი მიუღია. განაწყენებულმა ნიკოლასმა აგენტს ახალი კლუბის მოძებნა დაავალა და შედეგიც სახეზეა - „რომა" მზად არის, ფეხბურთელი ჯერ იჯარის წესით აიყვანოს, შემდეგ კი გამოისყიდოს.

თუ „კორიერეს" ვენდობით, ტრანსფერი უკვე გაჩარხულია, თუმცა ბურდისოს აგენტი ჯერ მაინც არ ჩქარობს და აცხადებს, რომ კონტრაქტის გაფორმებამდე ვერაფერს დაადასტურებს.

*„ნიკოლასს ძალიან უნდა კარიერის" რომაში" გაგრძელება, აქ დასამალი არაფერია, მაგრამ ჯერჯერობით ის კვლავაც „ინტერის" ფეხბურთელია. ფორმალობების მოგვერებაა საჭირო და ვერ ვიტყვი, რომ აქ რაიმე განსაკუთრებულ სირთულეს შეიძლება წავაწყდეთ, მაგრამ უმჯობესია მაინც კონტრაქტის გაფორმებას დაველოდოთ. ისე კი, ბურდისო ძალიან ახლოს არის „რომასთან" და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, კარიერას სწორედ დედაქალაქურ გუნდში გააგრძელებს",-* ამბობს **ფერნანდო იდალგო.**

მოკლედ, ბურდისოს „რომამდე" ერთი ნაბიჯი აშორებს, **ბოგდან ლობონტი** კი უკვე „მგელია". დიახ, რუმინეთის ნაკრების გამოცდილმა კიპერმა „ჯალოროსისთან" 1+1- წლიანი ხელშეკრულება გააფორმა და იტალიაში გადაბარგდა. შეგახსენებთ, რომ 2005-06 წლებში ის უკვე თამაშობდა სერია A-ში, იცავდა რა ფლორენციის „ფიორენტინას" ღირსებას. ბოლო წლებში, ლობონტი ბუქარესტის „დინამოში" ასპარეზობდა და გუნდის ძირითადი შემადგენლობის მეკარე გახლდათ. აპრილში, რუმინეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ შეხვედრაში მძიმე ტრავმა მიიღო და მხოლოდ ახლა გამოჯანმრთელდა. **ლუჩანო სპალეტის** თურმე ყოველთვის მოსწონდა ლობონტი და მისი აყვანა ამადაც გადაწყვიტა. 31 წლის გოლკიპერი **დონის** დუბლიორი იქნება, თუმცა ვინ იცის, იქნებ ძირითად შემადგენლობაშიც შეეცილოს ბრაზილიელ კარის დარაჯს.

ბარემ სპალეტიზეც ვთქვათ, ვისაც რუსული სპორტული პრესა ბოლო რამდენიმე დღეა აქტიურად აკავშირებს სანკტ-პეტერბურგის „ზენიტთან". ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები ამტკიცებდნენ, რომ სპალეტი „ზენიტის" მწვრთნელობის ერთ-ერთი მთავარი კანდიდატია და დიდია შანსი, სულ მალე რუსულ პრემიერლიგაში ვიხილოთ. ამ საკითხზე გუშინ თავად ლუჩანომ ილაპარაკა და გავრცელებულ ხმებს აბსურდული უწოდა:

*„სეზონი უკვე დაიწყო და როგორც ხედავთ, „რომას" მთავარი მწვრთნელი ვარ. შესაბამისად, დღეს სადმე წასვლაზე ლაპარაკი უბრალოდ, სისულელეა. გავიგე, თითქოს რუსებთან შეთანხმებას მივაღწიე, რაც არ შეესაბამება სიმართლეს. ეგ კი არა, „ზენიტის" მესვეურებთან საერთოდ საუბარიც არ მქონია. ასე რომ, ჩემი „რომადან" წასვლა გამორიცხულია".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



ინგლისი

პრემიერლიგა. სტარტის წინ


კარლო ანჩელოტი


რაფა ბენიტესი


არსენ ვენგერი


სერ ალექს ფერგიუსონი

# ოთხი გოლიათი და სხვანი

| დღეს | |
|---|---|
| ჩელსი-ჰალი | 15:45 |
| ასტონ ვილა-ვიგანი | 18:00 |
| ბლექბერნი-მანჩესტერ სიტი | 18:00 |
| ბოლტონი-სანდერლენდი | 18:00 |
| პორტსმუთი-ფულჰემი | 18:00 |
| სტოკი-ბარნლი | 18:00 |
| ვულვზი-ვესტ ჰემი | 18:00 |
| ევერტონი-არსენალი | 20:30 |
| **ხვალ** | |
| მანჩესტერ იუნ-ბირმინგემი | 16:30 |
| ტოტენჰემი-ლივერპული | 19:00 |

## უცნაური იუნაიტედი

მიუხედავად იმისა, რომ გასულ სეზონში მოხვეჭილი ჯილდოების ნაკლებობას ვერ დაიჩივლებს და ამ ჯილდოთაგან ერთ-ერთი, არც მეტი, არც ნაკლები, ზედიზედ მესამედ მოგებული პრემიერლიგის ტიტულია, ზაფხული, რომლის გასრულებამდე ალარაფერი დარჩა, „მანჩესტერ იუნაიტედისთვის" მაინც შფოთისა და თავსატეხთა ამოხსნის გამოდგა. მწვრთნელი, სერ **ალექს ფერგიუსონი** ბრძანებდა, რომ ახალი ჩემპიონატის დაწყების წინ გუნდში ძალები და სიმძიმის ცენტრები ახლებურად ჰქონდა გადასანაწილებელი.

გასულ სეზონში „იუნაიტედმა" პრემიერლიგის ჩემპიონობა, „ქარლინგის თასი" და კლუბთა მსოფლიოს თასი მოიგო, .მაგრამ მაისის ბოლოს ჩემპიონთა ლიგის ფინალში, „ბარსელონასთან" დამარცხებამ უსიამოვნო შეგრძნება დაუტოვა, რასაც ძირითადი შემადგენლობის ორი ფეხბურთელის წასვლაც დაემატა - ერთი, **კრისტიანო რონალდო** წამყვანი ვარსკვლავი გახლდათ, მეორე, **კარლოს ტევესი** კი, არცთუ ჯაბანი თავდამსხმელი.

ერთი სიტყვით, ზაფხულის სატრანსფერო ბაზარზე „იუნაიტედი" უცნაურად გამოჩნდა - ყურადღება მიიპყრო როგორც გამყიდველმა და არა როგორც მყიდველმა, თუმცა, ერთი ხმაურიანი შენაძენი მაინც გააკეთა: **მაიკლ ოუენზე** მოგახსენებთ. მის შესახებ მთელი ზაფხულის განმავლობაში ვწერდით და ამიტომ ბევრს ალარ გავიმეორებთ, თუმცა ორი სიტყვით გეტყვით, რომ ფორვარდს, რომლის ჯანმრთელობაში მთელ ინგლისს ეჭვი ეპარებოდა და აყვანაზე მეორეხარისხოვანი გუნდებიც კი უარს ეუბნებოდნენ, ფერგიუსონმა „იუნაიტედის" ლეგენდარული მეშვიდე ნომრიანი მაისურა უბოძა. მოგეხსენებათ, ფერგიმ „უიგანისგან" ეკვადორელი **ანტონიო ვალენსიაც** შეიძინა, რომელსაც ჯერ კიდევ დასამტკიცებელი აქვს, რომ დიდი გუნდის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს.

როგორ ითამაშებს „მანჩესტერ იუნაიტედი" ახალ სეზონში? სავარაუდოდ, დაცვაში ძალიან კარგად, რადგან უკანა ხაზს, რომელიც **ვეს ბრაუნისგან, რიო ფერდინანდისგან, ნემანია ვიდიჩისა** და **პატრის ევრასგან** შედგება, კაცმა თავისუფლად შეიძლება მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო უწოდოს, აი, შეტევაში კი, ზემოხსენებული ორი თავდამსხმელის წასვლის შემდეგ კითხვები გაჩნდა და მათზე პასუხს **უეინ რუნისგან** ელიან. დიახ, რუნი ფლანგიდან მოედნის შუაში გადავა და აქედანვე ნათლად ჩანს, რომ მთავარ პასუხისმგებლობას იკისრებს... აკისრებინებენ!

დაბოლოს, თუ „მანჩესტერ იუნაიტედი" ამ სეზონშიც პრემიერლიგის ჩემპიონი გახდება, იქნება ისტორიაში პირველი, რომელმაც ეს ზედიზედ ოთხჯერ შეძლო და რაც მთავარია, ტიტულების რაოდენობით რეკორდსმენ „ლივერპულს" გადაუსწრებს - „ლივერპული" თვრამეტგზის ჩემპიონია.

და რა შეიძლება იყოს მერსისაიდელთა მიზანი, თუ არა ინგლისის ჩემპიონის ტიტულის მეცხრამეტედ მოპოვება? როგორ წარმოგიდგენიათ, გუნდი, რომელმაც ბოლო ათწლეულში ჩემპიონთა ლიგა მოიგო, შემდეგ, კიდევ ითამაშა ფინალში და ალარაფერს ვამბობთ, რომ ინგლისის თასებზე გამოდის წარმატებით, შეიძლება მიზნად სხვა რამეს ისახავდეს?

## ლივერპულის კოზირი

თუკი „ლივერპულშიც" დავიწყებთ ცალკე აღებული ვარსკვლავის ძებნას, აი, ისეთის, „მანჩესტერ იუნაიტედში" რუნი რომ არის, რომლისგანაც ახალ სეზონში სიახლეს უნდა ველოდეთ (**ჯერარდსა** და **ტორესთან** მიმართებაში ყველაფერი გასაგებია), ასეთი ალბათ მერსისაიდელთა ახალი შენაძენი **ალბერტო აკვილანი** უნდა იყოს. მისი „რომადან" ინგლისში ჩასვლა **ჩაბი ალონსოს** „რეალში" გადაბარგებამ განაპირობა. თავიდან ლივერპულში ძალიან ებლაუჭებოდნენ ალონსოს, ესპანეთში არ უშვებდნენ, მაგრამ ბოლოს, როდესაც მან მაინც გაიტანა თავისი, დაწერეს, რომ აკვილანი მასზე გაცილებით ძლიერია. სხვა სიტყვებით, იტალიელისგან, რომლისთვისაც კარიერაში ტრავმას ხშირად შეუშლია ხელი, „ენფილდ როუდზე" ახალი ცოცხის თუ ახალი სისხლის ეფექტს ელიან. გუნდის ლიდერთ-ლიდერი კი, რასაკვირველია, სტივენ ჯერარდია, რომელზეც წელან შესაძლოა ცოტა უდიერად გამოგვივიდა ნათქვამი - მასთან დაკავშირებით ყველაფერი გასაგებიაო.

ეჭვი არ არის, ლივერპულელთა ყველაზე ძლიერი რგოლი ახალ სეზონში ნახევარდაცვა იქნება - აკვილანიც სწორედ ნახევარდაცვაში დაემატათ მერსისაიდელებს, ხოლო სეზონისწინა პერიოდში გუნდში საუკეთესო კვლავ და კვლავ ნახევარმცველი **ლუკას ლეივა** გახლდათ. დაცვაში გარკვეული კითხვის ნიშნები არსებობს, მაგრამ მაინც შეიძლება **დანიელ აგერმა, მარტინ შკრტელმა** და **ფაბიო აურელიომ** მთელი სეზონი „გაქაჩონ". თუ ასე მოხდება, მიამატეთ მათ **ჯეიმი კარაგერი** და „პორტსმუთიდან" ახალგადაყვანილი **გლენ ჯონსონი** და შესაძლოა ევროპაში სრულიად კონკურენტუნარიანი უკანა ხაზი მივილოთ.

წინ კი ყველაზე მთავარია, **ფერნანდო ტორესმა** ტრავმა არ მიილოს. ზურგს მას ჯერარდი გაუმაგრებს, მარჯვნიდან **დირკ კუიტი** ამოუდგება, მარცხნიდან კი ასარჩევად იქნება საქმე: **ალბერტ რიერა, რაიან ბაბელი** და **იოსი ბენაიუნი**.

## ჩელსი, როგორც მილანი?

„ჩელსის" რუს მეპატრონეზე, **რომან აბრამოვიჩზე** კი გასულ სეზონში ამბობდნენ, კლუბი ალარ უყვარს და მალე მასზე ხელსაც აილებსო. ამ ჭორების გავრცელებას ხელს მიმდინარე ამბებიც უწყობდა, მაგალითად მწვრთნელის, **ლუიშ ფელიპე სკოლარის** მეტისმეტად იოლად გაპანლურება და მისი შემცვლელის, **გუს ჰიდინკის** მხოლოდ და მხოლოდ დროებითი სტატუსით აყვანა. მაგრამ, აი, დადგა ზაფხული და აბრამოვიჩმა „მილანისგან" დაახლოებით 15 მილიონ ფუნტად გამოცდილი მწვრთნელი-ჩემპიონი **კარლო ანჩელოტი** წამოიყვანა.

რაც შეეხება სატრანსფერო ბაზარს, მართალია მისი კარი ჯერ არ დაუხურავთ, მაგრამ თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რაც აქამდე მოხდა და „ჩელსის" წინა წლების საკუთარ თავს ან ახლანდელ „მანჩესტერ სიტის" შევადარებთ, აშკარად დავინახავთ, რომ აბრამოვიჩი იშტაზე მაინცდამაინც ვერ არის. **იური ჟირკოვს** გაზეთებმა გინდა „რუსი რონალდინიო" შეარქვან და გინდა სხვა რამ, რეალურად ეს ფეხბურთელი დიდი ვარსკვლავების კატეგორიიდან არ არის. მასში 18 მილიონი ფუნტია გადახდილი. ბოლო ხანს ყველაზე მეტს მადრიდის „ატლეტიკოს" არგენტინელის **სერხიო აგუერის** შეძენაზე ლაპარაკობენ. ამბობენ, რომ აბრამოვიჩს **დიეგო მარადონას** სიძის გადასაბირებლად 35 მილიონი ფუნტიც არ ენანება, მაგრამ მოდი და სინამდვილეში რა ხდება, გაიგე.

როგორ ითამაშებს „ჩელსი"? სავარაუდოდ, ისევე, როგორც ანჩელოტისეული „მილანი", ოლონდ ახალ ტაქტიკაზე გადართვას შესაძლოა დრო დასჭირდეს. მიზანი კი, რასაკვირველია, ერთი იქნება: ჩემპიონობა. გუნდის მთავარ ვარსკვლავებად ალბათ მაინც **ჯონ ტერი** და **ფრენკ ლემპარდი** რჩებიან.

## თუ არსენი ტრავმებს გადაურჩა...

„არსენალში" კი ვარსკვლავობას ყველაზე მეტად რუსი **ანდრეი არშავინისგან** ელიან. რატომ? ალბათ იმიტომ, რომ დიდების შუქი ყოველთვის იქ არ ეცემა, სადაც... ვთქვათ, კონკურენტი გუნდის მწვრთნელს, ალექს ფერგიუსონს ჰგონია. იმის თქმა გვინდა, რომ ფერგიუსონის აზრით, არსენალელთა შორის მთავარი **სესკ ფაბრეგასია**, კატალონიელი (რომლის შეძენაც ძალიან უნდოდა „ბარსელონას", მაგრამ ფეხბურთელის მამამ ფრანსისკომ ამ დღეებში ყველას გასაგონად განაცხადა, ჩემი შვილი „არსენალში" რჩებაო), რომელმაც ბოლო სამ სეზონში, 92 შეხვედრაში 43 საგოლე გადაცემა შეასრულა. დაკვირვებას კი 17 წლის **ჯეკ უილშერზე** გირჩევთ.

„არსენალის" სატრანსფერო სირთულეებზე, **კოლო ტურესა** და **ემანუელ ადებაიორის** „მანჩესტერ სიტიში" გადასვლაზე, მწვრთნელის **არსენ ვენგერის** ბოლო საკონტრაქტო წელიწადსა და სხვა საფეხბურთო თუ საფინანსო საკითხებზე ბოლო პერიოდში იმდენი ვწერეთ, რომ ამ ყველაფრის გამეორება ეთიკური ალარ იქნებოდა, ამიტომ მხოლოდ იმაზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომ „არსენალმა" შთამბეჭდავი სეზონისწინა შეკრება გაიარა - ერთადერთი თამაში წააგო, „ვალენსიასთან". ყველაზე თვალში საცემი მაინც დაცვის სისუსტე იყო. აშკარად ჩანდა, რომ ვენგერი ფეხბურთელებს 4-1-4-1-დან 4-3-3-ზე ეფექტურ გადაწყობაში ავარჯიშებდა. სავარაუდოდ, **რობინ ვან პერსი ედუარდოს** ზურგს უკან იმოქმედებს. თავდასხმაში ზემოხსენებული არშავინი, გამოჯანმრთელებულ-ისევ დაშავებული **ტომაშ როსიცკი**, ჯერ-ჯერობით დაშავებული **სამირ ნასრი** და **თეო უოლკოტი** ითამაშებენ. მათგან შორს არც **ნიკლას ბენდტნერი** და **კარლოს ველა** იქნებიან. მოკლედ, მთავარია არსენის რაზმს ტრავმებმა არ დარიოს ხელი.

## დანარჩენებში საუკეთესო...

„ევერტონი" ყოველთვის ისეთი გუნდი იყო... „დანარჩენებში საუკეთესოობაზე" რომ ჰქონდა პრეტენზია და სავარაუდოდ, ასეთადაც დარჩება. ყოველ შემთხვევაში, ამ ზაფხულს, სატრანსფერო ბაზარზე თითი თითზე არ დაუდია და თეორიულადაც ახალს ვერავის ვერაფერს შესთავაზებს.

„ასტონ ვილა" გასულ სეზონში მართალია „ევერტონზე" ერთი ადგილით დაბლა დამკვიდრდა, მაგრამ უფრო საინტერესო გახლდათ იმით, რომ ერთიპირობა კინალამ ოთხეულში შევარდა. თუმცა, მერე, რატომლაც „იშკილებიდან ჩამოვარდა". შეძლებს ვითომ წლეულსაც მავანთა გულის აჩქარებას? სავარაუდოდ, ვერა. ინგლისურ გაზეთებში წერენ, „მტრედებში მოულოდნელად შევარდნილი კატის ეფექტს" ველარ მოახდენსო.

„ფულჰემის" ფინანსური მდგომარეობა ისეთია, რომ დიდი ფულის წყალობით ცაში ვარსკვლავებს დამშეული ველურივით ვერ დაეტაკება. ვინც ჰყავს, იმ ხალხს თუ დახვეწს ნელ-ნელა და იქნებ ასე გადაინაცვლოს ცოტა მაღლა.

„ტოტენჰემ ჰოთსპურმა" კი, ბოლოს და ბოლოს დროა გვაჩვენოს, რომ რალაცას წარმოადგენს. ინგლისში ერთხმად არის მიღებული, რომ ლონდონელებს დიდი პოტენციალი აქვთ, მაგრამ სატრანსფერო პერიოდებში ტრადიციულად ფლავდება და მერე ცხრილის შუაში რალაცას ფაფხურობს. დაცვა სუსტი ჰყავს - უფრო ფიზიკურად, ვიდრე ოსტატობით, - თავდასხმას კი შეუძლია ბარე ორი გაამწაროს. ყველაფერს თავი დაანებეთ, ახლა ოთხშაბათს არ იყო, **ჯერმან დეფომ** „ამსტერდამ არენაზე" ინგლისის ნაკრებს 2:0 ჩამორჩენა 2:2-ად რომ გადაუქცია?

„ვესტ ჰემში" **ჯანფრანკო ძოლას** თავდამსხმელები და ფული აკლია. იტალიელი მწვრთნელი იმედოვნებს, რომ „ბაიერნისგან" **ლუკა ტონის** და „ბარსელონასგან" **ეიდურ გუდიონსონს** იყიდის.

## ვნახოთ, ეს ჰიუზი...

„მანჩესტერ სიტიზე" კი ახალი რალა გითხრათ. არაბი ბიზნესმენების აურაცხელი ფულის წყალობით, ისტლენდელები ყიდულობენ და ყიდულობენ ახალ ფეხბურთელებს. მათ შეიძინეს **კარლოს ტევესი, როკე სანტა კრუსი, კოლო ტურე, ემანუელ ადებაიორი**, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ვერ იყიდეს, მაგალითად, **ჯონ ტერი, სამუელ ეტოო** და **ჯოლეონ ლესკოტი**. რასაკვირველია, შეძენილთ „სიტიში" ადრინდელი და საკმაოდ ძლიერი გუნდიც დახვდათ, მაგრამ კითხვაზე, ითამაშებენ თუ არა ისინი ისევე ეფექტურად, როგორც ვაჭრობდნენ, ვერავინ პასუხობს. ახლა ყველაფერი მწვრთნელზე, **მარკ ჰიუზზეა** დამოკიდებული. მოახერხებს უელსელი ამ ბიჭებისგან მათი თავმოყრის პირველსავე სეზონში ერთსულოვანი გუნდის შექმნას?

„უიგანს" ახალი მწვრთნელი ჰყავს, **რობერტო მარტინესი**, რომელმაც ჩემპიონატში საქმეს თავი ძალიან კარგად გაართვა, მაგრამ შეძლებს თუ არა იმავეს პრემიერლიგაში, შესამოწმებელია. ასევე შესამოწმებლები არიან ის ფეხბურთელები, რომლებიც გუნდმა იყიდა მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ჩემპიონატში ითამაშეს კარგად. უიგანელებს დააკლდათ ანტონიო ვალენსია, რომელიც, როგორც გითხარით „მანჩესტერ იუნაიტედში" გადავიდა.

## ...და სხვები

„სტოკ სიტი," სავარაუდოდ, ლიგაში დარჩენისთვის იბრძოლებს.

„ბოლტონის" საზაფხულო შენაძენებს ეტყობა, რომ ამოცანა მკაფიოა: გუნდი რამენაირად წლეულსაც დარჩეს პრემიერლიგაში.

„პორტსმუთი" საოცარი კლუბია, ყოველ სატრანსფერო სეზონზე კარგავს და კარგავს ფეხბურთელებს, მაგრამ გავარდნისთვის განწირულიაო ახლაც ვერ ვიტყვით.

„ბლექბერნ როვერსი" ფულით თუ შემადგენლობით შეზღუდული კლუბია, მაგრამ მწვრთნელი, **სემ ელერდაისი** ის კაცია, მინიმუმიდან მაქსიმუმის გამოყვანა რომ იცის.

„სანდერლენდის" იმედი მწვრთნელი **სტივ ბრუსია**, კაცი, რომელიც სადაც მიდის, სასწაულებს აკეთებს.

„ჰალ სიტიმ" გასული სეზონის პირველი ნახევარი მოულოდნელად ძლიერად ითამაშა, მეორეში კი სასტიკად ჩაფლავდა. როგორც ჩანს, ახალ სეზონში გუნდის მთავარი ამოცანა მეტი სტაბილურობა იქნება.

პრემიერლიგას ამ სეზონში ემატებიან ჩემპიონატიდან ალზევებული „ვულვერჰემპტონი", „ბირმინგემი" და „ბარნლი".

**ილია ბაბუნაშვილი**

# ინგლისი. პრემიერლიგა 2009/10

## არსენალი (ლონდონი)

დაარსდა: 1886 წ.
სტადიონი: ემირეიტსი, 60 355

### მეკარეები

1. მანუელ ალმუნია (ესპ.) 16.05.1977
21. ლუკაშ ფაბიანსკი (პოლ.) 18.04.1985
24. ვიტო მანონე (იტ.) 02.03.1988

### მცველები

3. ბაქარი სანია (საფ.) 14.02.1983
5. ტომას ვერმალენი (ბელ.) 14.11.1985
6. ფილიპ სენდეროსი (შვეიც.) 14.02.1985
10. ვილიამ გალასი (საფ.) 17.08.1977
17. ალექსანდრ სონგი (კამ.) 09.04.1987
18. მიქაელ სილვესტრი (საფ.) 09.08.1977
20. იოჰან ჯორუ (შვეიც.) 18.01.1987
22. გაელ კლიში (საფ.) 26.07.1985
30. არმან ტრაორე (საფ. 08.10.1989
40. კირან ჯიბსი 26.09.1989

### ნახევარმცველები

2. აბუ დიაბი (საფ.) 11.05.1986
4. სესკ ფაბრეგასი (ესპ.) 04.05.1987
7. ტომაშ როსიცკი (ჩეხ.) 04.10.1980
8. სამირ ნასრი (საფ.) 26.06.1987
15. დენილსონი (ბრაზ.) 16.02.1988
16. არონ რამსეი (უელ.) 26.12.1990
19. ჯეკ უილშერი 01.01.1992
23. ანდრეი არშავინი (რუს.) 29.05.1981
27. ემანუელ ებუე (კოტ.) 04.06.1983

### თავდამსხმელები

9. ედუარდო და სილვა (ხორვ.) 25.02.1983
11. რობინ ვან პერსი (ჰოლ.) 06.08.1983
12. კარლოს ველა (მექს.) 01.03.1989
14. ტეო უოლკოტი 16.03.1989
26. ნიკლას ბენდტნერი (დან.) 16.01.1988

მწვრთნელი: არსენ ვენგერი (საფ.) 22.10.1949

## ასტონ ვილა

დაარსდა: 1874 წ.
სტადიონი: ვილა პარკი, 42 640

### მეკარეები

1. ბრედ ფრიდელი (აშშ) 18.05.1971
22. ბრედლი გუზანი (აშშ) 09.09.1984

### მცველები

2. ლუკ იანგი 19.07.1979
3. ვილფრედ ბოუმა (ჰოლ.) 15.06.1978
15. კურტის დევისი 15.03.1985
21. ნიკი შორი 19.02.1981
24. კარლოს კუელიარი (ესპ.) 23.08.1981
29. სტივენ ოკოლორანი (ირლ.) 29.11.1987
43. ერიკ ლიჩაი (აშშ) 17.11.1988
47. კირან კლარკი 26.09.1989
48. ნათან ბეიკერი 23.04.1991

### ნახევარმცველები

4. სტივ სიდველი 14.12.1982
6. სტიუარტ დაუნინგი 22.07.1984
7. ეშლი იანგი 09.07.1985
8. ჯეიმს მილნერი 04.01.1986
16. ფაბიან დელფი 21.11.1989
17. მუსტაფა სალიფუ (ტოგ.) 01.06.1986
19. სტილიან პეტროვი (ბულ.) 05.07.1979
20. ნაიჯელ რეო-კოკერი 14.05.1984
26. კრეიგ გარდნერი 25.11.1986
27. აიზეა ოსბორნი 05.11.1987
45. მარკ ალბრიტონი 18.11.1989
46. ბერი ბენანი (მოტ.) 01.12.1989
49. კრის ჰერდი (ავსტრალ.) 04.04.1989
50. ჯონათან ჰოგი 06.12.1988
51. შეინ ლოური (ირლ.) 12.06.1989

### თავდამსხმელები

9. მარლონ ჰეერვუდი 25.08.1979
10. იონ კარეუ (ნორ.) 05.09.1979
11. გაბრიელ აგბონლაჰორი 13.10.1986
14. ნათან დელფონესო 02.02.1991
18. ემილ ჰესკი 11.01.1978

მწვრთნელი:მარტინ ონილი(ჩრდ. ირლ) 01.03.1952

## ბირმინგემ სიტი

დაარსდა: 1875 წ.
სტადიონი: სტ. ენდრიუსი, 30 034

### მეკარეები

1. მაიკ ტეილორი (ჩ. ირლ.) 04.09.1971
13. კოლინ დოილი (ირლ.) 12.08.1985
25. ჯო ჰარტი 19.04.1987

### მცველები

2. სტივენ კარი (ირლ.) 29.08.1976
3. დავიდ მერფი 01.03.1984
5. მარტინ ტეილორი 09.11.1979
6. ლაიამ რიჯველი 21.07.1984
14. როჯერ ჯონსონი 28.04.1983
15. სკოტ დანი 14.02.1987
17. ჯოვანი ესპინოსა (ეკვ.) 04.12.1977
20. ფრანკ კუოდრო 27.08.1978
21. სტიუარტ პერნაბი 19.07.1982
- გრეგორი ვინიალი (საფრ.) 19.07.1981

### ნახევარმცველები

4. ლი ბოუერი 03.01.1977
7. სებასტიან ლარსონი (შვ.) 06.06.1985
11. გერი მაკშეფრი 13.08.1982
22. დამიენ ჯონსონი (ჩ. ირლ.) 18.11.1978
26. ლი კარსლი (ირლ) 28.02.1974
30. კეიტ ფეჰეი 15.01.1983

### თავდამსხმელები

8. გარი ოკონორი (შოტ.) 07.05.1983
9. კევინ ფილიპსი 25.07.1973
10. კამერონ ჯერომი 14.08.1986
11. კრისტიან ბენიტესი (ეკვ.) 01.05.1986
16. ჯეიმს მაკფადენი (შოტ.) 14.04.1983
23. მარკუს ბენტი 19.05.1978

მწვრთნელი: ალექს მაკლიში (შოტ.) 21.01.1959

## ბლექბერნ როვერსი

დაარსდა: 1875 წ.
სტადიონი: ევუდ პარკი, 31 154

### მეკარეები

1. პოლ რობინსონი 05.10.1979
32. ჯეისონ ბრაუნი (უელ.) 18.05.1982
33. მრენკ ფილდინგი 04.04.1988

### მცველები

2. ლარს იაკობსენი (დან.) 20.09.1979
3. სტივენ უორნოკი 12.12.1981
4. კრისტოფერ სამბა (კონ.) 28.03.1984
5. გაელ ჟივე (საფრ.) 09.10.1981
6. რაიან ნელსენი (ზელ.) 18.10.1977
13. ზურაბ ხიზანიშვილი (საქ.) 06.10.1981
21. მარტინ ოლსენი (შვე.) 17.05.1988

### ნახევარმცველები

7. ბრეტ ემერტონი (ავსტრალ.) 22.02.1979
8. დევიდ დანი 27.12.1979
11. ვინჩენცო გრელა (ავსტრა) 05.05.1979
12. მორტენ პედერსენი (ნორ.) 08.09.1981
15. სტივენ ნზონზი (საფრ.) 15.12.1988
16. სტივენ რიდი (ირლ.) 10.03.1981
17. კეიტ ენდრიუსი 13.09.1980
20. ელრიო ვან ჰეერდენი (აფრ.) 11.07.1983

### თავდამსხმელები

9. ჯეისონ რობერტსი (გრენ.) 25.01.1978
10. ბენედიქტ მაკარტი (აფრ.) 12.11.1977
14. პოლ გალაჰერი (შოტ.) 09.08.1984
18. ელ-ჰაჯი დიუფი (სენ.) 15.01.1981
19. აარონ დორანი (ირლ.) 13.05.1991
23. დევიდ ჰოილეტი (კან.) 05.06.1990
26. ფრანკო დი სანტო (არგ.) 07.04.1989
36. მარკუს მარშალი 07.10.1989
- მასეო რიხტერსი (ჰოლ.) 22.01.1984

მწვრთნელი: სემ ელერდაისი 19.10.1954

## ბოლტონ უონდერერსი

დაარსდა: 1874
სტადიონი: რიბოკი, 28 101

### მეკარეები

1. ედამ ბოგდანი (უნგ.) 30.12.1981
22. იუსი იაასკელაინენი (ფინ.) 19.04.1975
26. ალი ალ ჰაბსი (ომა.) 30.12.1981

### მცველები

2. ნიკი ჰანთი 03.09.1983
3. ლოიდ სამუელი 29.03.1981
4. პოლ რობინსონი 14.12.1978
5. გერი კეჰილი 19.12.1985
8. ჯოი ობრაიენი (ირლ.) 17.02.1986
15. გრეტარ სტეინსონი (ისლ.) 09.01.1982
24. დენი შიტუ (ნიგ.) 02.09.1980
30. კრის ბოშები 20.07.1988
31. ენდრიუ ობრაიენი (ირლ.) 29.06.1979

### ნახევარმცველები

6. ფაბრის მუამბა 06.04.1988
7. მეტიუ ტეილორი 27.11.1981
11. რიკარდო გარდნერი (იამ.) 25.09.1978
16. მარკ დევისი 18.02.1988
19. გევინ მაკენი 10.01.1978
23. შონ დევისი 20.09.1979
25. ტამირ კოჰენი (ისრ.) 04.03.1984

### თავდამსხმელები

9. იოჰან ელმანდერი (შვე.) 27.05.1981
14. კევინ დევისი 26.03.1977
17. მუსტაფა რიგა (ჰოლ.) 10.10.1981
20. რიკარდუ ვაზ ტე (პორტ.) 01.10.1986
35. ტემიტოპე ობადეი 29.10.1989

მწვრთნელი: გერი მეგსონი 02.05.1959

## ბარნლი

დაარსდა: 1882
სტადიონი: ტარფ მური, 22 546

### მეკარეები

1. დიეგო პენი (პერ.) 22.04.1984
12. ბრაიან იენსენი (დან.) 08.06.1975

### მცველები

2. გრემ ალექსანდერი 10.10.1971
3. კრისტიან კალვენეში (ნორ.) 08.03.1977
4. მაიკლ დაფი (ჩ. ირლ.) 11.01.1979
5. კლარკ კარლაილი 14.10.1979
6. სტივენ კოლდველი (შოტ.) 12.09.1980
14. ტაირონ მირსი 18.02.1983
15. დევიდ ედგარი (კან.) 19.05.1987
17. რიჩარდ ეკერსლი 12.03.1989
23. სტივენ ჯორდანი 06.03.1982
24. ბრაიან ისტონი 05.03.1988
35. კრის ლინჩი 31.01.1991
36. ნიკ კუდიერსკი 15.02.1991
40. ბენ ჰოსკინი 08.10.1990

### ნახევარმცველები

7. კევინ მაკდონალდი (შოტ.) 04.11.1988
8. ჯოი გუდიონსონი (ისლ.) 25.05.1980
11. უეიდ ელიოტი 14.12.1978
16. კრის მაკენი (ირლ.) 21.07.1987
25. ედამ კეი 05.03.1990
26. რემკო ვან დერ შააფი (ჰოლ) 28.02.1979
32. ფერნანდო გერერო (ეკვ.) 30.09.1989
33. კრის იგლსი 19.11.1985
37. კრის ანდერსონი 02.10.1990
38. ალექს რეი-ჰარვი 04.04.1990

### თავდამსხმელები

9. სტივენ ფლეტჩერი (შოტ.) 26.03.1987
10. მარტინ პატერსონი (ჩ. ირლ.) 10.05.1987
19. ჯეი როდრიგესი 29.07.1989
20. რობი ბლეიკი 04.03.1976
22. ბესარტ ბერიშა (ალბ.) 29.07.1985
30. სტივენ ტომპსონი (შოტ.) 14.10.1978
39. ვეს ფლეტჩერი 28.02.1991

მწვრთნელი: ოუენ კოილი (ირლ) 14.07.1966

## ჩელსი

დაარსდა: 1905 წ.
სტადიონი: სტემფორდ ბრიჯი, 42 055

### მეკარეები

1. პეტრ ჩეხი (ჩეხეთი) 20.05.1982
22. როს ტერნბული 04.01.1985
30. რის ტეილორი (უელ.) 07.04.1990
40. ენრიკე ილარიო (პორტ.) 21.10.1975

### მცველები

2. ბრანისლავ ივანოვიჩი (სერ.) 22.02.1984
3. ეშლი კოული 20.12.1980
6. რიკარდო კარვალიო (პორტ.) 18.05.1978
17. ჟოზე ბოსინგვა (პორტ.) 24.08.1982
19. პაულო ფერეირა (პორტ.) 18.01.1979
26. ჯონ ტერი 07.12.1980
33. ალექსი (ბრაზ.) 17.06.1982
35. ჟულიანო ბელეტი (ბრაზ.) 20.06.1976
41. სემ ჰატჩინსონი 03.08.1989

### ნახევარმცველები

5. მაიკლ ესიენი (გან.) 03.12.1982
8. ფრენკ ლემპარდი 20.06.1978
10. ჯო კოული 08.11.1981
12. ჯონ ობი მიკელი (ნიგ.) 22.04.1987
13. მიხაელ ბალაკი (გერმ.) 26.09.1976
15. ფლორენ მალუდა (საფრ.) 13.06.1980
18. იური ჟირკოვი (რუს.) 20.08.1983
20. დეკუ (პორტ.) 27.09.1977
- ფაბიო ფერეირა (პორტ.) 03.05.1989

### თავდამსხმელები

11. დიდიე დროგბა (კოტ.) 11.03.1978
21. სალომონ კალუ (კოტ.) 05.08.1985
39. ნიკოლას ანელკა (საფრ.) 14.03.1979
50. ჯეიკობ მელისი 08.01.1991

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი (იტალია) 10.07.1959

## ევერტონი

დაარსდა: 1878 წ.
სტადიონი: გუდისონ პარკი, 40 216

### მეკარეები

1. კარლო ნეში 13.09.1973
12. იან ტერნერი (შოტ.) 26.01.1984
24. ტიმ ჰოვარდი (აშშ) 06.03.1979
30. ჯონ რადი 24.10.1986

### მცველები

2. ტონი ჰიბერტი 20.02.1981
3. ლეიტონ ბეინესი 11.12.1984
4. იოზეფ იობო (ნიგ.) 06.09.1980
5. ჯოლეონ ლესკოტი 16.08.1982
6. ფილ ჟაგიელკა 17.08.1982
31. სიმუს კოულმენი (ირლ.) 11.10.1988
- შკოდრან მუსტაფი (გერმ.) 17.04.1992

### ნახევარმცველები

10. მიკელ არტეტა (ესპ.) 26.03.1982
17. ტიმ კეჰილი (ავსტრალ.) 06.12.1979
18. ფილ ნევილი 21.01.1977
19. დენ გოსლინგი 02.02.1990
20. სტივენ პიენარი (აფრ.) 17.03.1982
21. ლეონ ოსმანი 17.05.1981
25. მარუან ფელაინი (ბელ.) 22.11.1987
26. ჯეკ როდველი 11.03.1991
38. ჯეიმს უოლესი 19.12.1991
- ანტონ პეტერლინი (აშშ) 04.04.1987

### თავდამსხმელები

8. ლუის საა (საფრ.) 08.08.1978
11. ჟო (ბრაზ.) 20.03.1987
14. ჯეიმს ვოუენი 14.07.1988
22. იაკუბუ აიეგბენი (ნიგ.) 22.11.1982
27. ლუკაშ იუტკიევიჩი (პოლ.) 20.03.1989
28. ვიქტორ ანიჩებე (ნიგ.) 23.04.1988
35. კირან აგარდი 10.10.1989
37. ჯოუზ ბაქსტერი 07.02.1992
- კოდი არნო (აშშ) 13.04.1988

მწვრთნელი: დევიდ მოიესი (შოტლანდია) 25.04.1963

## ფულემი

დაარსდა: 1879
სტადიონი: ქრეივენ კოტეჯი, 24 525

### მეკარეები

1. მარკ შვარცერი (ავსტრალ.) 06.10.1972
12. დევიდ სტოკდეილი 20.09.1985
19. პასკალ ცუბერბიულერი (შვ) 08.01.1971

### მცველები

2. სტივენ კელი (ირლ) 06.09.1983
3. პოლ კონჩესკი 15.05.1981
4. ჯონ პეინტსილი (გან.) 15.06.1981
5. ბრედე ჰანგელანდი (ნორ.) 20.06.1981
6. კრის ბერდი (ჩ. ირლ.) 25.02.1982
18. აარონ ჰიუზი (ჩ. ირლ.) 08.11.1979
22. ფრედრიკ სტოორი (შვე.) 28.02.1984
26. კრის სმოლინგი 22.11.1989
33. ტონი კალიო (ფინ.) 09.08.1978

### ნახევამრცველები

7. სეოლ კი-ჰიეონი (კორ.) 08.01.1979
11. ზოლტან გერა (უნგ.) 22.04.1979
13. დენი მერფი 18.03.1977
14. ანდრანიკ თეიმურიანი (ირ.) 06.03.1983
17. ბიორნ ჰელგე რიისე (ნორ.) 21.06.1983
20. დიკსონ ეტუჰუ (ნიგ.) 08.06.1982
23. კლინტ დემპსი (აშშ) 09.03.1983
24. რობერტ მაილსომი 02.01.1987
29. საიმონ დევისი (უელ.) 23.10.1979
31. მეტიუ სონდერსი 12.09.1989

### თავდამსხმელები

8. ენდი ჯონსონი 10.02.1981
10. ერიკ ნევლენდი (ჩ. ირლ.) 10.11.1977
15. დიომანსი კამარა (სენ.) 08.11.1980
21. ედი ჯონსონი (აშშ) 31.03.1984
25. ბობი ზამორა 16.01.1981

მწვრთნელი: როი ჰოჯსონი 09.08.1947

## ჰალ სიტი

დაარსდა: 1904
სტადიონი: კინგსტონი, 25 417

### მეკარეები

1. ბოაზ მიჰილი (უელ.) 09.11.1982
12. მეტ დიუკი 16.07.1977
26. ტონი უორნერი (ტრი.) 11.05.1974

### მცველები

3. ენდი დოუსონი 20.10.1978
5. ენტონი გარდნერი 19.09.1980
6. მაიკლ ტერნერი 09.11.1983
15. ბერნარ მენდი (საფრ.) 20.08.1981
19. სტივენ მუიოკოლო (საფრ.) 24.01.1987
24. კამილ ზაიატი (გვი.) 07.03.1985
35. ლაიამ კუპერი (შოტ.) 30.08.1991
39. სტივ გარდნერი 12.05.1990

### ნახევარმცველები

2. ნათან დოილი 12.01.1987
4. იან ეშბი 06.09.1976
8. ნიკ ბარმბი 11.02.1974
10. ჯოვანი (ბრაზ.) 11.01.1980
11. ბრაიან ჰიუზი 19.06.1976
16. პეტერ ჰალმოში (უნგ.) 25.09.1979
17. კევინ კილბეინი (ირლ.) 01.02.1977
20. ჯორჯ ბოატენგი (ჰოლ.) 05.09.1975
22. დინ მარნეი 31.01.1984
27. ნიკი ფიზერსტოუნი 22.09.1988
31. უილ ატკინსონი 14.10.1988
33. ჯიმი ბულარდი 23.10.1978
36. ჯიმი დევიტი (ირლ.) 06.07.1990
44. სეი ოლოფინიანა (ნიგ.) 12.06.1980
45. ტომ კერნი 11.05.1990

### თავდამსხმელები

7. კრეიგ ფეგანი 11.12.1982
9. ჟოზე ალტიდორი (აშშ) 06.11.1989
14. რიჩარდ გარსია (ავსტრალ) 04.09.1981
18. ქალებ ფოლანი (ირლ.) 11.12.1982
25. დანიელ კუზინი (გაბ.) 07.02.1977
42. რაიან კენდალი 14.09.1989

მწვრთნელი: ფილ ბრაუნი 30.05.1959

## ლივერპული

დაარსდა: 1892 წ.
სტადიონი: ენფილდი, 45 276

### მეკარეები

1. დიეგო კავალიერი (ბრაზ.) 01.12.1982
25. ჯუზეპე რეინა (ესპ.) 31.08.1982
30. შარლ იტანჯე (საფრ.) 02.11.1982
41. მარტინ ჰანსენი (დან.) 15.06.1990

### მცველები

2. გლენ ჯონსონი 23.08.1984
5. დანიელ აგერი (დან.) 12.12.1984
12. ფაბიო აურელიო (ბრაზ.) 24.09.1979
22. ემილიანო ინსუა (არგ.) 07.01.1989
23. ჯეიმს კარაგერი 28.01.1978
27. ფილიპ დეგენი (შვ.) 15.02.1983
32. სტივენ დარბი 06.10.1988
34. მარტინ კელი 27.10.1990
36. სტივენ ირვინი 29.09.1990
37. მარტინ შკრტელი (სლოვ.) 15.12.1984
38. ანდრეა დოსენა (იტა.) 11.09.1981
40. დანიელ სანჩეს აიალა (ესპ.) 07.11.1990
45. მიკელ დომინგესი (ესპ) 30.05.1989

### ნახევარმცველები

4. ალბერტო აკვილანი (იტა.) 07.07.1984
8. სტივენ ჯერარდი 30.05.1980
11. ალბერტ რიერა (ესპ.) 15.04.1982
15. იოსი ბენაიუნი (ისრ.) 05.05.1980
19. რაიან ბაბელი (ჰოლ.) 19.12.1986
20. ხავიერ მასკერანო (არგ.) 08.06.1984
21. ლუკას ლეივა (ბრაზ.) 09.01.1987
26. ჯეი სპირინგი 25.11.1988
28. დამიენ პლესი (საფრ.) 05.03.1988

### თავდამსხმელები

9. ფერნანდო ტორესი (ესპ.) 20.03.1984
10. ანდრი ვორონინი (უკრ.) 21.07.1979
18. დირკ კუიტი (ჰოლ.) 22.07.1980
24. დავიდ ნგოგი (საფრ.) 01.04.1989
29. კრისტიან ნემეტი (უნგ.) 05.01.1989
31. ნაბილ ელ ზარი (მარ.) 27.08.1986

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი (ესპანეთი) 16.04.1960

## მანჩესტერ სიტი

დაარსდა: 1880 წ.
სტადიონი: სიტი ოფ მანჩესტერი, 47 715

### მეკარეები

1. შეი გივენი (ირლ.) 20.04.1976
12. სტიუარტ ტეილორი 18.11.1980
- გუნარ ნილსენი (ფარ.) 07.10.1986

### მცველები

2. მიკა რიჩარდსი 25.06.1988
3. უეინ ბრიჯი 05.10.1980
4. ნედუმ ონუჰა 12.11.1986
5. პაბლო ზაბალეტა (არგ.) 16.01.1985
15. ხავიერ გარიდო (ესპ.) 15.03.1985
22. რიჩარდ დანი (ირლ.) 21.09.1979
26. ტალ ბენ ჰაიმი (ისრ.) 31.03.1982
28. კოლო ტურე (კოტ.) 19.03.1981

### ნახევარმცველები

6. მაიკლ ჯონსონი 24.02.1988
7. სტივენ აირლენდი (ირლ.) 22.08.1988
8. შონ რაიტ-ფილიპსი 25.10.1981
17. მარტინ პეტროვი (ბულ.) 15.01.1979
18. გარეტ ბერი 23.02.1981
29. კელვინ ეტუჰუ (ნიგ.) 30.05.1988
33. ვინსენ კომპანი (ბელ.) 10.04.1986
34. ნაიჯელ დე იონგი (ჰოლ.) 30.11.1984
40. ვლადიმირ ვეისი (სლოვ.) 30.11.1989

### თავდამსხმელები

10. რობინიო (ბრაზ.) 25.01.1984
14. როკე სანტა კრუსი (პარ.) 16.08.1981
25. ემანუელ ადებაიორი (ტოგ.) 26.02.1984
27. ბენჯანი მვარუვარი (ზიმბ.) 13.08.1978
32. კარლოს ტევესი (არგ.) 05.02.1984
39. კრეიგ ბელამი (უელ.) 13.07.1979

მწვრთნელი: მარკ ჰიუზი (უელსი) 01.11.1963

## მანჩესტერ იუნაიტედი

დაარსდა: 1878 წ.
სტადიონი: ოლდ ტრეფორდი, 76 180

### მეკარეები

1. ედვინ ვან დერ სარი (ჰოლ.) 29.10.1970
12. ბენ ფოსტერი 03.04.1983
29. ტომაშ კუშჩაკი (პოლ.) 20.03.1982
38. რონ-რობერტ ცილერი (გერ.) 12.02.1989
40. ბენ ამოსი 10.04.1990

### მცველები

2. გერი ნევილი 18.02.1975
3. პატრის ევრა (საფ.) 15.05.1981
5. რიო ფერდინანდი 07.11.1978
6. ვეს ბრაუნი 13.10.1979
15. ნემანია ვიდიჩი (სერბ.) 21.10.1981
20. ფაბიო და სილვა (ბრა.) 09.07.1990
21. რაფაელ და სილვა (ბრა.) 09.07.1990
22. ჯონ ოში (ირლ.) 30.04.1981
23. ჯონი ევანსი (ჩ. ირლ.) 02.01.1988
30. რიჩი დე ლაეტი (ბელ.) 28.11.1988
37. კრეიგ კეზკარტი (ჩ. ირლ) 06.02.1989

### ნახევარმცველები

4. ოუენ ჰარგრივზი 20.01.1981
8. ანდერსონი (ბრა.) 13.04.1988
11. რაიან გიგზი (უელ.) 29.11.1973
13. ჯი-სუნ პარკი (კორ.) 25.02.1981
14. ზორან ტოშიჩი (სერ.) 28.04.1987

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. მაიკლ კერიკი 28.07.1981
17. ნანი (პორ.) 17.11.1986
18. პოლ სქოულზი 16.11.1974
24. დარენ ფლეტჩერი (შოტ.) 01.02.1984
25. ანტონიო ვალენსია (ეკვ.) 04.08.1985
28. დარონ გიბსონი (ირლ.) 25.10.1987
31. კორი ევანსი (ჩ. ირლ.) 30.07.1990
35. ტომ ქლევერლი 12.08.1989
36. დევიდ გრეი (შოტ.) 04.05.1988

**თავდამსხმელები**

7. მაიკლ ოუენი 14.12.1979
9. დიმიტარ ბერბატოვი (ბულ.) 30.01.1981
10. უეინ რუნი 24.10.1985
19. დენი უელბეკი 26.11.1990
26. გაბრიელ ობერტანი (საფ.) 26.02.1989
27. ფედერიკო მაკედა (იტა.) 22.08.1991

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი (შოტლანდია) 31.12.1941

## პორტსმუთი

დაარსდა: 1898 წ.
სტადიონი: ფრატონ პარკი, 20 338

**მეკარეები**

1. დევიდ ჯეიმსი 01.08.1970
21. ჯეიმი ეშდაუნი 30.11.1980
29. ანტი ნიემი (ფინ.) 31.05.1972
31. ასმირ ბეგოვიჩი (ბოს.) 20.06.1987

**მცველები**

2. ლინვოი პრიმუსი 14.09.1973
3. იუნეს ქაბული (საფ.) 04.01.1986
5. სტივ ფინენი (ირლ.) 20.04.1976
7. ჰერმან ჰრეიდარსონი (ისლ.) 11.07.1974
15. სილვენ დისტინი (საფრ.) 16.12.1977
23. ანტონი ვან დენ ბორი (ბელ.) 24.10.1987
35. მარკ უილსონი (ირლ.) 17.08.1987
39. ნადირ ბელჰაჯი (ალჟ.) 18.06.1982

**ნახევარმცველები**

4. აარონ მოკოენა (აფრ.) 25.11.1980
6. ჰაიდენ მალინსი 27.03.1979
8. პაპა ბუბა დიოპი (სენ.) 28.01.1978
19. ნიკო კრანჩარი (ხორ.) 13.08.1984
22. რიჩარდ ჰიუზი (შოტ.) 25.06.1979
33. ანგელოს ბასინასი (საბ.) 03.01.1976

**თავდამსხმელები**

9. ფრედერიკ პიქვიონი (საფ.) 08.12.1978
10. დევიდ ნაჯენტი 02.05.1985
17. ჯონ უტაკა (ნიგ.) 08.01.1982
27. ნვანკო კანუ (ნიგ.) 01.08.1976

მწვრთნელი: პოლ ჰარტი 04.05.1953

## სტოკ სიტი

დაარსდა: 1863
სტადიონი: ბრიტანია, 28 376

**მეკარეები**

1. სტივ სიმონსენი 03.04.1979
29. ტომას სორენსენი (დან.) 12.06.1976
38. დანიელ სტ. ლუის ჰამილტონი 07.05.1990

**მცველები**

2. ენდი გრიფინი 17.03.1979
3. დენი ჰიგინბოთემი 29.12.1978
5. ლეონ კორტი 11.09.1979
17. რაიან შოუკროსი 04.10.1987
21. ენდრიუ დევისი 17.12.1984
22. იბრაჰიმა სონკო (სენ.) 22.01.1981
25. აბდულაიე ფაიე (სენ.) 26.02.1978
28. ენდი უილკინსონი 06.08.1984
30. რაიან შოტონი 30.09.1988
31. კარლ დიკინსონი 31.03.1987

**ნახევარმცველები**

6. გლენ უელანი (ირლ.) 13.01.1984
7. ლაიამ ლოურენსი (ირლ.) 14.12.1981
8. ტომ სოარესი 10.07.1986
14. დენი პიუ 19.10.1982
15. სალიფ დიაო (სენ.) 10.02.1977
18. დინ უაითჰედი 12.01.1982
19. ენდი ფაიე (სენ.) 12.03.1977
23. მაიკლ ტონჯი 07.04.1983
24. რორი დელაპი (ირლ.) 06.07.1976
26. მეტიუ ეტერინგტონი 14.08.1981
36. მეტიუ ლანდი
37. ნათანიელ უედერბერნი 30.06.1991

**თავდამსხმელები**

9. ჯეიმს ბიტი 21.11.1990
10. რიკარდო ფულერი (იამ.) 31.10.1979
11. მამადი სიდიბე (მალ.) 18.12.1979
12. დეივ კიტსონი 21.01.1980
16. რიჩარდ ქრესველი 20.09.1977

მწვრთნელი: ტონი პულისი (უელსი) 16.01.1958

## სანდერლენდი

დაარსდა: 1879 წ.
სტადიონი: სტედიუმ ოფ ლაითი, 49 000

**მეკარეები**

1. კრეიგ გორდონი (შოტ.) 31.12.1982
24. ტრევორ კარსონი (ჩ. ირლ.) 05.03.1988
32. მარტონ ფულოპი (უნგ.) 03.05.1983

**მცველები**

2. ფილიპ ბერსლი 28.06.1985
3. ჯორჯ მაკარტნი (ჩ.ირლ.) 29.04.1981
5. ნაირონ ნოსვორზი 11.10.1980
15. დენი კოლინსი (უელ.) 06.08.1980
26. ანტონ ფერდინანდი 18.02.1985
27. რასელ ანდერსონი (შოტ.) 25.10.1978
30. პოლ მაკშეინი (ირლ.) 06.01.1986
35. მაიკლ კეი 12.09.1989
- პაულო და სილვა (პარ.) 02.01.1980

**ნახევარმცველები**

4. ტეემუ ტაინო (ფინ.) 27.11.1979
7. კარლოს ედვარდსი (ტრი.) 24.10.1978
8. სტიდ მალბრანკი (საფ.) 06.01.1980
10. კირან რიჩარდსონი 21.10.1984
14. დევიდ მეილერი (ირლ.) 29.05.1989
18. გრანტ ლედბიტერი 17.01.1986
19. ლორიკ კანა (ალბ.) 27.07.1983
20. ენდი რიდი (ირლ.) 29.07.1982
36. ნათან ლაკომბი 06.11.1989
37. რობი უეირი (ჩ. ირლ.) 09.12.1988
43. კონორ ჰურიჰეინი (ირლ.) 02.02.1991
45. ჯორდან კუკი 20.03.1990
- ლი კატერმოლი 21.03.1988

**თავდამსხმელები**

9. ფრეიზერ კემპბელი 13.09.1987
11. დარენ ბენტი 26.02.1984
14. დერილ მერფი (ირლ.) 15.03.1983
17. კენვაინ ჯონსი (ტრი.) 05.10.1984
23. დევიდ ჰილი (ჩ. ირლ.) 05.08.1979
44. ენტონი სტოუკსი (ირლ.) 25.07.1988
47. როი ოდონოვანი (ირლ.) 10.08.1985

მწვრთნელი: სტივ ბრიუსი 31.12.1960

## ტოტენჰემ ჰოტსპური

დაარსდა: 1882 წ.
სტადიონი: უაით ჰარტ ლეინი, 36 237

**მეკარეები**

1. ეურელიო გომეშო (ბრა.) 15.02.1981
23. კარლო კუდიჩინი (იტა.) 06.09.1973

**მცველები**

2. ალან ჰატონი (შოტ.) 30.11.1984
3. გარეტ ბეილი (უელ.) 16.07.1989
16. კაილ ნოუთონი 11.11.1988
20. მაიკლ დოუსონი 18.11.1983
21. პასკალ შიმბონდა (საფ.) 21.02.1979
22. ვერდან ჩორლუკა (ხორ.) 05.02.1986
26. ლედლი კინგი 10.12.1980
32. ბენუა ასუ-ეკოტო (კამ.) 24.03.1984
39. ჯონატან ვუდგეიტი 22.01.1980
- სებასტიენ ბასონგი (საფ.) 09.07.1986

**ნახევარმცველები**

5. დევიდ ბენტლი 27.08.1984
6. ტომ ჰადლსტოუნი 28.12.1986
7. აარონ ლენონი 16.04.1987
8. ჯერმინ ჯენასი 18.02.1983
12. ვილსონ პალასიოსი (ჰონ.) 29.07.1984
14. ლუკა მოდრიჩი (ხორ.) 09.09.1985
24. ჯეიმი დერილ ოჰარა 25.09.1986
25. დანიელ როუზი 02.07.1990
- კევინ ბოატენგი 06.03.1987

**თავდამსხმელი**

9. რომან პავლიუჩენკო (რუს.) 15.12.1981
10. რობი კინი (ირლ.) 08.07.1980
15. პიტერ კრაუჩი 30.01.1981
17. ჯოვანი დოს სანტოსი (მექ.) 11.05.1989
18. ჯერმეინ დეფო 07.10.1982

მწვრთნელი: ჰარი რედნაპი 02.03.1947

## ვესტ ჰემ იუნაიტედი

დაარსდა: 1895 წ.
სტადიონი: ბოლეინ გრაუნდი, 35 300

**მეკარეები**

1. რობერტ გრინი 18.01.1980
28. პეტერ კურუჩი (უნგ.) 30.05.1988
34. მარეკ შტეხი (ჩეხ) 28.01.1990

**მცველები**

4. დენი გაბიდონი (უელ.) 08.08.1979
15. მეტიუ აპსონი 18.04.1979
18. ჯონათან სპექტორი (აშშ) 01.03.1986
19. ჯეიმს კოლინზი (უელ.) 23.08.1983
23. ჰერიტა ილუნგა (კონ.) 25.02.1982
27. ქალუმ დავენპორტი 01.01.1983
30. ჯეიმს ტომკინსი 29.03.1989
33. ფაბიო დაპრელა (შვეი.) 19.02.1991
44. ბონდზ ნგალა 03.10.1989
45. ჯორდან სპენსი 24.05.1990

**ნახევარმცველები**

8. სკოტ პარკერი 13.10.1980
10. სავიო ნსერეკო (გერ.) 27.07.1989
13. ლუიშ ბოა მორტე (პორ.) 04.08.1977
14. რადოსლავ კოვაჩი (ჩეხ.) 27.11.1979
16. მარკ ნობლი 08.05.1987
17. ლუის ხიმენესი (ჩილ.) 17.06.1986
20. ჟულიენ ფაბერი (საფ.) 01.08.1983
21. ვალონ ბეჰრამი (შვეი.) 19.04.1985
26. ნაიჯელ ქვოში (შოტ.) 20.07.1978
31. ჯეკ კოლისონი (უელ.) 02.10.1988
35. ჯოშ პეინი 25.11.1990
46. ჯუნიორ სტანისლასი 26.11.1989

**თავდამსხმელები**

9. დინ აშტონი 24.11.1983
12. კარლტონ კოული 12.10.1983
24. ფრენკ ნოუბლი 24.09.1991
41. ზავონ ჰაინსი (იამ.) 27.12.1988

მწვრთნელი: ჯანფრანკო ძოლა (იტალია) 05.07.1966

## უიგანი

დაარსდა: 1932 წ.
სტადიონი: DW, 25 135

**მეკარეები**

1. კრის კირკლენდი 02.05.1981
12. მაიკ პოლიტი 29.02.1972
22. რიჩარდ კინგსონი (გან.) 13.06.1978

**მცველები**

3. ერიკ ედმანი (შვე.) 11.11.1978
7. პოლ შარნერი (ავს.) 11.03.1980
17. ემერსონ ბოისი (ბარ.) 24.09.1979
19. ტაიტუს ბრამბლი 21.07.1981
25. მარიო მელხიოტი (ჰოლ.) 04.11.1976
31. მაინორ ფიგეროა (არგ.) 02.05.1983
- ანტონიო ამაია (ესპ.) 31.05.1983

**ნახევარმცველები**

5. ვონ-ჰე ჩო (კორ.) 17.04.1983
6. ჰენდრი ტომასი (ჰონ.) 23.02.1985
8. ბენ უოტსონი 09.07.1985
10. ჯეისონ კუმასი (უელ.) 25.09.1979
11. მაიკლ ბრაუნი 25.01.1977
14. შარლ ნზოგბია (საფ.) 28.05.1986
15. ხორდი გომესი (ესპ.) 24.05.1985
18. დან. დე რიდერი (ჰოლ.) 06.03.1984
21. ტომაშ ციუკა (პოლ.) 27.07.1988
23. ოლივიე კაპო (საფ.) 27.09.1980
24. ჯეიმს მაკარტი (ირლ.) 12.11.1990
26. რაშიდ ბუაუზანი (ჰოლ.) 20.02.1984
28. ტომაშ კუპიში (პოლ.) 02.01.1990
38. ჯონათან რაუტლეჯი 23.11.1989
40. ჯო ჰოლტი 01.02.1990
43. ქალუმ მაკმანამანი 25.04.1991

**თავდამსხმელები**

9. ჯეისონ სკოტლენდი (ტრი) 18.02.1979
16. სკოტ სინკლერი 25.03.1989
20. უგო როდალეგა (კოლ.) 25.07.1985
30. მარლონ კინგი (იამ.) 26.04.1980

მწვრთნელი: რობერტო მარტინესი (ესპანეთი) 13.07.1973

## ვულვერჰემპტონ უონდერერსი

დაარსდა: 1877
სტადიონი: მოლინეუ, 28 576

**მეკარეები**

1. უეინ ჰენესი (უელ.) 24.01.1987
13. მარკუს ჰანემანი (აშშ) 15.06.1972
30. კარლ იკემე (ნიგ.) 08.06.1986
31. მეტ მიურეი 02.05.1981

**მცველები**

2. მაიკლ მანსიენი 08.01.1988
3. ჟორჟ ელოკობი (კამ.) 31.01.1986
5. რიჩარდ სტერმენი 19.08.1987
6. ჯოდი კრედოკი 25.07.1975
11. სტივენ უორდი (ირლ.) 20.08.1985
16. კრისტოფ ბერა (შოტ.) 31.01.1985
23. რონალდ ზუბარი (საფ.) 20.09.1985
24. მარკ ლითლი 20.08.1988
26. მეტ ჰილი 26.03.1981
32. კევინ ფოლი (ირლ.) 01.11.1984
42. სკოტ მელოუნი 25.03.1991

**ნახევარმცველები**

4. დევიდ ედვარდსი (უელ.) 03.02.1986
7. მაიკლ კიტლი 24.01.1986
8. კარლ ჰენრი 26.11.1982
12. ენდრიუ სერმანი 20.08.1986
14. დევიდ ჯოუნსი 04.11.1984
15. გრეგ ჰალფორდი 08.12.1984
17. მეტიუ ჯერვისი 22.05.1986
20. ნენად მილიაში (სერ.) 30.04.1983
21. დანიელ ჯოუნსი 23.12.1986

**თავდამსხმელები**

9. სილვან ებანკს-ბლეიკი 29.03.1986
10. ენდი კეო (ირლ.) 16.05.1986
18. სემ ვოუკსი 21.10.1989
19. კრის იველუმო (შოტ.) 01.08.1978
29. კევინ დოილი (ირლ.) 18.09.1983
41. ეშლი ჰემინგსი 03.03.1991

მწვრთნელი: მიკ მაკარტი (ირლანდია) 07.02.1959

მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

## პრემიერლიგის ყველა ტრანსფერი

### არსენალი

**მოვიდნენ:** ტომას ვერმელენი (აიაქსი)

**წავიდნენ:** ფრან მერიდა პერესი (ლევანტე), ჰავარდ ნორდტვეიტი (ნიურნბერგი), კოლო ტურე (მანჩესტერ სიტი), ემანუელ ადებაიორი (მანჩესტერ სიტი), აბუ ოგოგო (დაქენჰემი), ამაური ბიშოფი, ჯეიმს დანი, რუი ფონტე, პოლ როჯერსი, რენე სტირი, ვინსენტ ვან დენ ბერგი, ენტონი ბლექვუდი (ყველა გაუშვეს)

### ასტონ ვილა

**მოვიდნენ:** კორტნი კამერონი (ნორთჰემპტონი), სტიუარტ დაუნინგი (მიდლსბრო)

**წავიდნენ:** მარტინ ლაურსენი (ფეხბურთს თავი დაანება), გარეთ ბერი (მანჩესტერ სიტი), სტიუარტ ტეილორი (მანჩესტერ სიტი), ზატ ნაითი (ბოლტონი)

### ბირმინგემი

**მოვიდნენ:** კრისტიან ბენიტესი (სანტოს ლაგუნა, მექსიკა), სკოტ დანი (ქოვენთრი), ჯო ჰარტი (მანჩესტერ სიტი), ჯოვანი ესპინოსა (ბარსელონა, ეკვადორი), როჯერ ჯონსონი (კარდიფ სიტი), ლი ბოუიერი (ვესტ ჰემი), ბარი ფერგიუსონი (რეინჯერსი)

**წავიდნენ:** მეჰდი ნაფტი, რადჰი ჯაიდი, არტურ კრისიაკი (ყველა გაუშვეს), სტივენ კელი (ფულჰემი), კრისტიან პირსი (პიტერბრო), სემი აიდილეკი (ქაისერისფორი)

### ბლექბერნი

**მოვიდნენ:** ელრიო ვან ჰეერდენი (ბრიუგე), გაელ ჟივე (მარსელი), ლარს იაკობსენი (ევერტონი)

**წავიდნენ:** აარონ მოკოენა (პორტსმუთი), ანდრე ოოიერი (ეინდჰოვენი), თუგაი (ფეხბურთიდან წავიდა), იოჰან ფოგელი (გაუშვეს), როკე სანტა კრუსი (მანჩესტერ სიტი), მეტ დერბიშირი (ოლიმპიაკოსი), ტონი კეინი (კარლაილი), დინ უინარდი (ეკრინგტონი), ჯოშ ო'კიფი (უოლსოლი), კით თრისი (შეფილდ იუნაიტედი)

### ბოლტონი

**მოვიდნენ:** შონ დევისი (პორტსმუთი), პოლ რობინსონი (ვესტ ჰემი), ზატ ნაითი (ასტონ ვილა), სემ რიკეტსი (ჰალი)

**წავიდნენ:** ბლერიმ ჯემაილი (ტორინო), რობ სიზონსი, ნათან ვულფი, ჯეიმს სინკლერი (ყველა გაუშვეს)

### ბარნლი

**მოვიდნენ:** ტაირონ მირსი (დერბი), სტივენ ფლეტჩერი (ჰიბერნიანი), დევიდ ედგარი (ნიუკასლი), ბრაიან ისტონი (ჰემილტონი), რიჩარდ ეკერსლი (მანჩესტერ იუნაიტედი)

**წავიდნენ:** სტივ ჯონსი, ალან მეჰონი, გაბორ კირალი, ალექს მაკდონალდი (ყველა გაუშვეს)

### ჩელსი

**მოვიდნენ:** როს ტარნბალი (მიდლსბრო), დენიელ სტარიჯი (მანჩესტერ სიტი), იური ჟირკოვი (ცსკა)

**წავიდნენ:** სლობოდან რაიკოვიჩი (ტვენტე), ჯიმი სმიტი (ლეიტონი), ლი სოიერი (საუთენდი), მიროსლავ სტოხი (ტვენტე), რაიან ბერტრანდი (რიდინგი), ფრენკ ნუბლი (ვესტ ჰემი), მორტენ ნილსენი (ალკმაარი), სკოტ სინკლერი (უიგანი), პატრიკ ვან ანჰოლტი (ქოვენთრი), მაიკლ მენსიენი (ვულვზი)

### ევერტონი

**მოვიდნენ:** ანტონ პეტერლინი (ვენტურა ქაუნთი, აშშ), შკოდრან მუსტაფა (ჰამბურგი), ჟო (მანჩესტერ სიტი)

**წავიდნენ:** ლარს იაკობსენი (ბლექბერნი), ჯონ ირვინგი, კორი სინოტი, ნუნუ ვალენტე, ენდი ვან დერ მეიდე (ყველა გაუშვეს)

### ფულჰემი

**მოვიდნენ:** სტივენ კელი (ბირმინგემი), ბიორნ ჰელგე რიისე (ლილესტრიომი)

**წავიდნენ:** მორის ვოლცი, კოლინზ ჯონი (ორივე გაუშვეს), ლიონ ანდრეასენი (ჰანოვერი)

### ჰალი

**მოვიდნენ:** სტივენ მოუიოკოლო (ბულონი), სეი ოლოფინჯანა (სტოკი), ჟოზი ალტიდორი (ვილიარეალი), კამელ გილასი (სელტა), სტივენ ჰანტი (რიდინგი)

**წავიდნენ:** დინ უინდასი, მაიკლ ბრიჯისი, ჯეიმს ბენეტი, რაიან ფრენსი, ჯო ლემპლუში, მეტიუ პლამერი, ტომ ვუდჰედი (ყველა გაუშვეს), უეინ ბრაუნი (ლესტერი), ჯონ უელში (ტრანმერი), სემ რიკეტსი (ბოლტონი)

### ლივერპული

**მოვიდნენ:** გლენ ჯონსონი (პორტსმუთი), აარონ კინგი (რაშდენი), კრის მავინგა (პარი სენ ჟერმენი)

**წავიდნენ:** ჯეკ ჰობსი (ლესტერი), სემი ჰიიპია (ბაიერნი), რონალდ ჰუთი, გოდვინ ანტვი, მიკი როკი, გერი მაკი-სტივენი (ყველა გაუშვეს), ჯერმეინ პენანტი (სარაგოსა), ადამ ჰამილი (ბარნსლი)

### მანჩესტერ სიტი

**მოვიდნენ:** გარეთ ბერი (ასტონ ვილა), როკე სანტა კრუსი (ბლექბერნი), სტიუარტ ტეილორი (ასტონ ვილა), ნილს ზანდერი (შალკე), კარლოს ტევესი (მანჩესტერ იუნაიტედი), ემანუელ ადებაიორი (არსენალი), კოლო ტურე (არსენალი)

**წავიდნენ:** ჯო ჰარტი (ბირმინგემი), დიტმარ ჰამანი, რიჩარდ მარტინი, დენი მილზი, ბენ მორისი, კარტის ობენგი, კრის რემსი (გაუშვეს), დარიუს ვასელი (ანკარაგიუჯუ), დენიელ სტარიჯი (ჩელსი), გელსონ ფერნანდესი (სენტ ეტიენი), ჟო (ევერტონი), ელანო (გალათასარაი), ჩედ ევანსი (შეფილდ იუნაიტედი)

### მანჩესტერ იუნაიტედი

**მოვიდნენ:** ანტონიო ვალენსია (უიგანი), მაიკლ ოუენი (ნიუკასლი), შონ მაკგინტი (ჩარლტონი), გაბრიელ ობერტანი (ბორდო), მამე ბირამ დიუფი (მოლდე)

**წავიდნენ:** კარლოს ტევესი (მანჩესტერ სიტი), კრისტიანო რონალდო (რეალი), როდრიგო პოსებონი (ბრაგა), ფრეიზერ კემპბელი (სანდერლენდი), რიჩარდ ეკერსლი (ბარნლი), მანუჩო (ვალიადოლიდი)

### პორტსმუთი

**მოვიდნენ:** აარონ მოკოენა (ბლექბერნი), სტივ ფინენი (ესპანიოლი), ფრედერიკ პიკიონი (ლიონი), ანტი ნიემი (უგუნდო)

**წავიდნენ:** გლენ ჯონსონი (ლივერპული), ჯიმი ტრაორე (მონაკო), შონ დევისი (ბოლტონი), ჯო კოლინზი, ნოე პამაროტი, ლურენი, გლენ ლითლი, ჯერომ თომასი (ყველა გაუშვეს), პიტერ კრაუჩი (ტოტენჰემი)

### სტოკი

**მოვიდნენ:** დინ უაითჰედი (სანდერლენდი)

**წავიდნენ:** ვენსან პერიკარი, მარკ გროკოტი, ჯიმი ფილიპსი, ტომ თორლი (ყველა გაუშვეს), სეი ოლოფინჯანა (ჰალი)

### სანდერლენდი

**მოვიდნენ:** ფრეიზერ კემპბელი (მანჩესტერ იუნაიტედი), პაოლო და სილვა (ტოლუკა, მექსიკა), ლი კოტერმოლი (უიგანი)

**წავიდნენ:** პიტერ ჰერტლი (ჰართლპული), არნაუ რიერა, დუაიტ იორკი, ნიკ კოლგანი, დევიდ კონოლი, ნაიალ მაკარდლი (ყველა გაუშვეს), დარენ უორდი (ფეხბურთს თავი დაანება), გრეგ ჰელფორდი (ვულვზი), მაიკლ ჩოპრა (კარდიფ სიტი), დინ უაითჰედი (სტოკი)

### ტოტენჰემი

**მოვიდნენ:** კაილ ნაფტონი (შეფილდ იუნაიტედი), კაილ უოქერი (შეფილდ იუნაიტედი), პიტერ კრაუჩი (პორტსმუთი)

**წავიდნენ:** რიკარდო როჩა, საიმონ დოუკინსი, კაილ ფრეიზერ-ალენი, ტაკურა მტანდარი (ყველა გაუშვეს), დევიდ ჰატონი (ჩელტენჰემი), დენი ჰაჩინსი (იოვილი), დიდიე სოკორა (სევილია), კრის განტერი (ნოტინგემი), ჟაკ მაგომა (ბარტონი), იური ბერჩიჩი (ვალიადოლიდი), დევიდ ბატონი (ქრიუ), ადელ ტაარბატი (ქუინზ პარკი), კეინ ჰაფტონი (ლინკოლნი), ჯეკი ლივერმორი (დერბი)

### ვესტ ჰემი

**მოვიდნენ:** პიტერ კურუჩი (უიპეშტი), ლუის ხიმენესი (ინტერი), ჯეკ ლემპი (ჰერლოუ), ფრენკ ნუბლი (ჩელსი)

**წავიდნენ:** ფრედი სირზი (კრისტალ პალასი), დიეგო ტრისტანი, ვალტერ ლოპესი, კეილ რიდი, ტონი სტოკსი, ჯიმი უოქერი (ყველა გაუშვეს), ჯო უიდოუსონი (გრიმსბი), ლი ბოუიერი (ბირმინგემი)

### უიგანი

**მოვიდნენ:** ხორდი გომესი (ესპანიოლი), ჰენდრი თომასი (დეპორტივო ოლიმპია), ჯეისონ სკოტლენდი (სუონსი), ჯეიმს მაკკარტი (ჰემილტონი), სკოტ სინკლერი (ჩელსი)

**წავიდნენ:** ანტონიო ვალენსია (მანჩესტერ იუნაიტედი), ლუის მონტროსი (უიკომბი), ანრი კამარა, ლუის ფილდი, მეტ ჰემპსონი, კრეიგ მეიჰონი, ენდრიუ პირსონი, ანტონი სიბირსკი (ყველა გაუშვეს), ლი კოტერმოლი (სანდერლენდი)

### ვულვზი

**მოვიდნენ:** ნენად მილიჯასი (პარტიზანი, ბელგრადი), მარკუს ჰანემანი (რიდინგი), კევინ დოილი (რიდინგი), ენდრიუ სარმენი (საუთჰემპტონი), გრეგ ჰელფორდი (სანდერლენდი), რონალდ ზუბარი (მარსელი), მაიკლ მენსიენი (ჩელსი)

**წავიდნენ:** მეტ ბეილი, ლუის გობერნი, ალექს მელბურნი (ყველა გაუშვეს)

მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



პრესკონფერენცია ოლიმპიურ კომიტეტში




# ჟურნალისტის საქმიანობაში ჩარევა დაუშვებელია

## სტეფანია ოლიმპიური კომიტეტის მრჩევლად დაინიშნა

გუშინ საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტში მასმედიის წარმომადგენლები საკალათბურთო საკითხთან დაკავშირებით დაგვიბარეს, თუმცა კომიტეტის პრეზიდენტმა **გია ნაცვლიშვილმა** საუბარი ორი არასაკალათბურთო თემით დაიწყო: ერთი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ეხებოდა, მეორე - მოჭიდავესა და ჩვენი გაზეთის ჟურნალისტს შორის მომხდარ ინციდენტს. შეგახსენებთ, რომ ძიუდოისტმა **ზაზა კედელაშვილმა** ჩვენს ჟურნალისტს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. ამ ფაქტს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი ასე გამოეხმაურა:

- ჟურნალისტის საქმიანობაში ჩარევის უფლება არავის აქვს. ეს დაუშვებელია. შეიძლება ზოგს ჩვენი კომიტეტის მუშაობასთან დაკავშირებითაც ჰქონდეს შენიშვნები, მაგრამ არ შეიძლება, ამა თუ იმ ჟურნალისტს აზრის გამოთქმა დაუშალო. ასეთ შემთხვევაში მივიღებთ სტატისტიკურ ფურცლებს და არა სპორტულ გაზეთს. წავიკითხე ის სტატია, რომელმაც მოჭიდავე ალაშფოთა, თუმცა პუბლიკაციაში ზედმეტი არაფერი ყოფილა. პასუხის გაცემის საუკეთესო ვარიანტი ჩემპიონატზე წასვლა და მედლის მოპოვება იქნებოდა... ვიმედოვნებ, რომ სპორტსმენი საკუთარ საქციელს კარგად გაიაზრებს და ბოდიშს მოიხდის. ამ საკითხზე ფედერაციამაც უნდა იმსჯელოს.

■ ■ ■

მეორე თემა, რაზეც ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ისაუბრა რაგბისა და გოლფს შეეხებოდა...

- საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ალმასკომზე იმსჯელეს სპორტის რამდენიმე სახეობის ოლიმპიურ პროგრამაში შეტანასთან დაკავშირებით. გვსურდა, ეს პატივი კარატესა და შვიდკაცა რაგბის რგებოდა, მაგრამ გამოიკვეთა ეს ორი - შვიდკაცა რაგბი და გოლფი. ამ სახეობებს ალბათ მალე შეიტანენ ოლიმპიურ პროგრამაში. შესაბამისად, შვიდკაცა რაგბის სახით დაგვემატება კიდევ ერთი გუნდური სპორტი, რომელშიც წარმატებებზე შეგვეძლება ფიქრი.

■ ■ ■

ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის გვერდით კალათბურთელი **ვლადიმერ სტეფანია** იჯდა. როგორც ბატონმა გია ნაცვლიშვილმა აღნიშნა, ვოვა კომიტეტის მრჩევლად დაინიშნა და საქართველოს ამერიკაში წარმოადგენს.

- ოლიმპიური კომიტეტის ინიციატივით შეიქმნა მრჩეველთა საბჭო, რომელიც უცხოეთში მცხოვრები ქართველებით უნდა დაკომპლექტდეს. ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯი თემურ ქეცბაიას მრჩევლად დანიშვნა იყო. ახლა იგივე ფუნქცია ვლადიმერ სტეფანიას დაეკისრა. იგი წარმატებული სპორტსმენი იყო და ამერიკაში სწავლას ახლაც აგრძელებს. ასე რომ, ვფიქრობთ, საუკეთესო კანდიდატურაა.

ვლადიმერ სტეფანიას კომენტარი ასეთი იყო:

- ამერიკაში საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლის სტატუსი ჩემთვის დიდი პატივია. ვეცდები, ქართულ სპორტს რითაც შემიძლია, იმით გამოვადგე. ახლახან ჩავატარეთ საკალათბურთო კემპი. ჩემი აზრით, კარგი იქნება, მსგავსი ღონისძიებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში ჩატარდეს და მასში მონაწილეობის მისაღებად პოპულარული სახეები უნდა მოვიწვიოთ...

ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა განგვიმარტა ის ფუნქცია, რაც ვლადიმერ სტეფანიას დაეკისრება:

- ოქტომბერში დანიაში 2016 წლის ოლიმპიადის მასპინძელ ქალაქს აირჩევენ. ერთ-ერთი კანდიდატი ჩიკაგოა. ამიტომ ამერიკის ოლიმპიური კომიტეტი დაინტერესებულია ჩვენთან თანამშრომლობით. გვინდა მათი დახმარება სპორტის რამდენიმე სახეობაში, კრივში, მძლეოსნობასა და ცურვაში. მომზადებულია ჩარჩოხელშეკრულების პროექტი... ამ საკითხებზე სტეფანია ამერიკაში ჩასვლის შემდეგ იმუშავებს და ვიმედოვნებ, რომ ორ მხარეს შორის ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

მხატვრული ტანვარჯიში

# ბულგარელები ოფიციალურად გაქართველდნენ

მსოფლიოს ჩემპიონატის წინ საქართველოს ტანმოვარჯიშეთა გუნდს ერთადერთი ტურნირი ელის – მინსკის მსოფლიოს თასი, რომელიც 21 აგვისტოს დაიწყება. ერთეულებში **მზევინარ სამუკაშვილი** იასპარეზებს, გაირკვა გუნდის შემადგენლობაც – **ელენე გავარდაშვილს, თეონა ხელაიასა და მარიამ ჯანტეზს** ბულგარეთიდან ჩამოყვანილი ორი ტანმოვარჯიშე, **მარტინა გროზევა** და **რომინა ბოჟილოვა** დაემატნენ. ოლიმპიური კომიტეტისა და ტანვარჯიშის ფედერაციის ძალისხმევით, მოქალაქეობის მინიჭებასთან დაკავშირებული ყველა პროცედურა უკვე გავლილია და მათი ქართული პასპორტები ორიოდე დღეში მზად იქნება.

*"წესით, ამ ხუთეულს კიდევ ერთი სათადარიგო ტანმოვარჯიშე უნდა გაჰყოლოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, საამისოდ თანხები არ გვეყო"*, - ამბობს მწვრთნელი **თინათინ ნადირაშვილი**. *"მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადებას რაც შეეხება, სამწუხაროდ, ორი კვირის განმავლობაში სავარჯიშო პროცესი შეფერხებული იყო, რადგან რომინა ბოჟილოვამ ხელი იტკინა და მის გარეშე ჯგუფური ელემენტების დამუშავებას აზრი არ ჰქონდა".*

მინსკის ტურნირზე 27 ქვეყნის გუნდი იასპარეზებს. აღსანიშნავია, რომ იაპონიის ქალაქ მიეში სექტემბერში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ეს ბოლო დიდი შეჯიბრებაა და ამიტომაც იქ პლანეტის საუკეთესო ტანმოვარჯიშეები შეიკრიბებიან. ანუ მიეში, ფაქტობრივად, იგივე შემადგენლობა მოიყრის თავს, რაც მსოფლიოს პირველობაზე.

*"მინსკსა და მიეში საუკეთესო ოცეულში რომ შევიდეთ, ამას წარმატებულ შედეგად მივიჩნევ. ამ ეტაპზე მეტზე ფიქრი, უბრალოდ, წარმოუდგენელია. სამაგიეროდ, თუ სათანადო პირობები გვექნება, მომავალი წლის აპრილში, ევროპის ჩემპიონატზე ღირსეულ შედეგს მივაღწევთ"*, - აცხადებს ნადირაშვილი.

**ლევან ჯანეზაშვილი**


თინათინ ნადირაშვილი


მარტინა გროზევა და რომინა ბოჟილოვა

ავტორის ფოტოები

გამოხმაურება წერილზე: „გვინდა თუ არა სპორტული კლასიფიკაცია?"

# გვინდა, ძალიან გვინდა...

„ლელოს" გუშინდელ პუბლიკაციას „გვინდა თუ არა სპორტული კლასიფიკაცია?" უმალვე გამოეხმაურა წარსულში ცნობილი წყალბურთელი, სპორტკომპლექს „ლაგუნავერეს" დირექტორი ვლადიმერ გოიაშვილი.

- საკითხის დასმა დროულია. სპორტსმენებს, განსაკუთრებით ბავშვებს, აუცილებლად სჭირდებათ რაღაც ფორმით წახალისება, რათა თავადაც, მწვრთნელებმაც და მშობლებმაც თვალი მიადევნონ სპორტულ ზრდას - გვითხრა ბატონმა ვლადიმერმა და ნათქვამი თავისი ბავშვობის გახსენებით განამტკიცა. როცა ცურვაში მესამე თანრიგის ნორმატივი შეუსრულებია და სამკერდე ნიშანი გადაუციათ, ერთადერთი პერანგი ნიშნის დასამაგრებლად გაუხვრეტია, რისთვისაც შინ მიუტყეპიათ კიდეც.

- სპორტული კლასიფიკაცია იქნება თუ სხვა რამ, მერწმუნეთ, აუცილებელია. ამაში ყველა ფედერაცია დაგეთანხმებათ. გთხოვთ, არ შეწყვიტოთ საგაზეთო დიალოგი ამ თემაზე - ამბობს ვლადიმერ გოიაშვილი.

ესაუბრა
**თენგიზ თომაშვილი**

**რედაქციისაგან:** ამ თემასთან დაკავშირებით სხვების აზრიც გვაინტერესებს. დაგვიკავშირდით. თუ საერთო სურვილი იქნება, „ლელო" მზადაა, მოაწყოს "მრგვალი მაგიდა" და ითავოს საქმის ბოლომდე მიყვანის კოორდინაცია.

მშვილდოსნობა

# ბოლო შეკრება

მშვილდოსან ქალთა ნაკრები მსოფლიოს პირველობისთვის მზადების ბოლო ეტაპზე გადავიდა - ანგისაში დასკვნითი მოსამზადებელი შეკრება დაიწყო. ნაკრების თავკაც **თამაზ ფუტკარაძეს** მისი მოწყობა ბათუმის გარეთ კი სურდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ამ ვარიანტზე შეჯერდნენ. შეკრებაზე სულ ოთხი სპორტსმენია - **ხათუნა ნარიმანიძე, ასმათ დიასამიძე, ქრისტინე ესებუა** და **ნათია ცინცაძე**. ესებუას გარდა, ყველა იქაურია და ანგისა მათთვის ნაცნობი ადგილია. სასტუმროც იქვეა და მათაც ვარჯიშის მეტი არაფერი დარჩენიათ. იქაურობა ფედერაციის ახალარჩეულმა პრეზიდენტმა **მამუკა ქაცარავამაც** მოინახულა და სავარჯიშო პირობები პირადად დაათვალიერა.

დასახელებული ოთხეულიდან ფუტკარაძემ სამი უნდა ამოარჩიოს, რადგან 1-9 სექტემბერს კორეულ ულსანში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატში ტრიომ უნდა იასპარეზოს. დასკვნითი შეკრება 26 აგვისტოს დამთავრდება, სპორტსმენები კი მეორე დღესვე გაფრინდებიან კორეაში.

**ირაკლი თავაძე**

ძიუდო. იზმირის ტურნირი

# ერევნის რეპეტიცია იზმირში

ახალგაზრდა ძიუდოისტები ინტენსიურად ემზადებიან 11-13 სექტემბერს ერევანში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის. მათთვის ბოლო სასტარტო ტურნირი 22-23 აგვისტოს თურქულ იზმირში გასამართი ახალგაზრდების ევროპის თასია - ერევანში წამსვლელი ნაკრებები სწორედ იქ დაზუსტდება. ვაჟთა ნაკრების თავკაცი **ბორის ფირცხელიანი** იქ ამ გუნდს გამოცდის: **თორნიკე თათარაშვილი, შმაგი ლაგაზაური** (55), **პაატა მერებაშვილი, გიორგი ტაბატაძე** (60), **არკადი ავალიანი, ზვიად კაპანაძე** (66), **ლაშა ზურაბიანი, გიორგი ტატალაშვილი** (73), **ავთანდილ ჭრიკიშვილი, ვახტანგ სარაჯიშვილი** (81), **არჩილ შინჯიკაშვილი** (90), **მიხეილ ნარიმანიძე**, ყოფილი იასონ პურიჭამიაშვილი - ამჟამად **იასონ კარიბოვი** (100), **უშანგი კოკაური** (+100). ამ ფალავნებს სპორტის დეპარტამენტი აფინანსებს, მაგრამ რამდენიმე ძიუდოისტი საკუთარი ხარჯით მიდის: **შმაგი ჩიდრაშვილი** (55), **ზებედა რეხვიაშვილი** (73), **შოთა ცინცაძე, შალვა ნინიძე** (90), **შალვა ბერუაშვილი** (100).

გოგონათა ნაკრების თავკაცმა გია თენაძემ ეს შემადგენლობა დაასახელა: **დარინა აბულაძე** (48), **სოფო როსტომაშვილი** (52), **მერი ჯაჭვლიანი** (57), **შორენა შარაძე** (63), **სალომე წოწკოლაური** (70), **ნინო ოძელაშვილი** (78), **თამარ ლომიძე** (+78). ოღონდ ეგაა, ლომიძეს ტრავმა აწუხებს და თუ ვერ მოირჩინა, ამ წონაში მონაწილე არ გვეყოლება.

იზმირის ტურნირის დამთავრებისთანავე ოძელაშვილი როტერდამში გაფრინდება და უფროსთა მსოფლიოს ჩემპიონატში იჭიდავებს. თენაძემ პლანეტის პირველობაზე საჭიდაოდ სხვისი წაყვანა მიზანშეწონილად არ მიიჩნია. ბუნებრივია, დავეჭვდით, ეს უფროსი თაობის სპორტიდან წასვლას ხომ არ ნიშნავს, რაც თენაძემ კატეგორიულად უარყო. მისი თქმით, ისინი ჩვეულებრივად ვარჯიშობენ და საერთაშორისო ტურნირებშიც ძველებურად იჭიდავებენ. უბრალოდ, ამ ეტაპზე არ იყვნენ ისეთ ფორმაში, ამ რანგის პირველობაზე წარმატებისთვის მიეღწიათ. რაც შეეხება ოძელაშვილს, ამ შემთხვევაში ანგარიში მის ახალგაზრდულ ასაკს გაუწიეს და გამოსაცდელად შანსი მისცეს.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

# შაფათავას ფლანდრიელობა მოუხდა

ბელგიის ქალაქ კოკსიიდეში, ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირ „ფლანდრიელ ქალთა ტროფეიში" (25 ათასი $) ყოჩაღობს 20 წლის **სოფიო შაფათავა** (311). გუშინ ჩვენმა თანამემამულემ ბრიტანელ **ანა სმიტს** (434) მეოთხედფინალში ძალზე დაძაბულ მატჩში აჯობა - 6:2, 6:7 (0), 7:6 (5). ტურნირის ნახევარფინალში სოფიოს მეტოქე მე-2 ნომრად განთესილი უკრაინელი **იულია ვაკულენკოა** (180). ფავორიტი უკრაინელია, მით უფრო, რომ ახლახან მან პერიგოში იოლად აჯობა ჩვენს თანამემამულეს, თუმცა მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ. შაფათავამ ნახევარფინალში გასვლით 24 ქულა მოიპოვა, რაც მას მნიშვნელოვნად წასწევს რეიტინგში.

მოსკოვის საერთაშორისო ტურნირს (15 ათასი $) მეოთხედფინალში დაემშვიდობა 17 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილი** (722). ნიკამ მე-7 ნომრად განთესილ რუს **არტიომ სიტაკთან** (475) წააგო - 3:6, 1:6. მარცხის მიუხედავად, ეს ტურნირი ჩვენებურს აქტივში უნდა ჩავუწეროთ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. ჩვენი მეტოქეები

# იტალიელმა რუსები გაანწყო და განაწყო

მსოფლიოს ჩემპიონატზე წასაყვანი შემადგენლობა ოფიციალურად დაასახელა რუსეთის ნაკრების იტალიელმა მწვრთნელმა **ეძიო გამბამ: არსენ გალსტიანი** (60), **ალიმ გადანოვი** (66), **მანსურ ისაევი** (73), **ივან ნიფონტოვი** (81), **კირილ დენისოვი** (90), **ტაგირ ხაიბულაევი** (100), **ალექსანდრ მიხაილინი** (+100).

აპრილში თბილისში, ევროპის პირველობაზე ნაჭიდავებ შემადგენლობაში გამბამ ერთადერთი ცვლილება გააკეთა - 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში ევროპის ჩემპიონ **ივან პერშინის** ნაცვლად რიო დე ჟანეიროს დიდი მუზარადის მომგები **კირილ დენისოვი** დააყენა.

ბოლო წლებში რუსებს სერიოზული ჩავარდნა ჰქონდათ - 2007 წელს რიო დე ჟანეიროში, მსოფლიოს ჩემპიონატზე თითო-თითო ვერცხლი და ბრინჯაო მოიპოვეს, მაგრამ ეს კიდევ არაფერია იმასთან შედარებით, რაც პეკინის ოლიმპიადაზე დაემართათ - საერთოდ უმედლოდ დარჩნენ. ავადსახსენებელი **ვლადიმირ პუტინის** სამწყსომ სასწრაფოდ გაატარა რეფორმები - **სერგეი ტაბაკოვის** ნაცვლად მწვრთნელად იტალიელი გამბა მოიწვია, რომელმაც ნაკრებს უმალ დაატყო ხელი. ის შვიდი თვის წინ დაინიშნა გუნდის თავკაცად და ამ მოკლე პერიოდში მისმა შეგირდებმა არაერთი მნიშვნელოვანი ტურნირი მოიგეს. რაც მთავარია, მის ხელში ნიჭიერი ახალგაზრდები გამოჩნდნენ და ნაკრებში თაობათა ცვლის პროცესი უმტკივნეულოდ წარიმართა. ჯერჯერობით ყველაზე დიდ წარმატებას გამბამ თბილისში, ევროპის ჩემპიონატზე მიაღწია და სწორედ ახალგაზრდების წყალობით - ოქროს სამი მედალი მოიპოვეს (გალსტიანმა, ნიფონტოვმა და ხაიბულაევმა), რასაც ორი ბრინჯაოც დაურთეს (გადანოვი და მიხაილინი). ჯამში, შვიდი კაცით ხუთი მედალი ცუდი შედეგი არაა. თან ისიც უნდა ითქვას, რომ ამ გუნდის წევრთა უმეტესობა წლეულს ძალიან ძლიერად ჭიდაობს და უმედლოდ თითქმის არც ერთ ტურნირში რჩება. განსაკუთრებით ხაიბულაევი გამოირჩევა, რომელიც წლეულს სამ დიდ შეჯიბრებაში გამოვიდა - თბილისის მსოფლიოს თასზე, ევროპის ჩემპიონატში, გერმანულ ზინდელფინგენის საერთაშორისო ტურნირში და სამივეგან გაიმარჯვა.

**ირაკლი თავაძე**

პლაჟბურთი. მსოფლიო ტური



# გეორ-გია საქა-რთველოს ნაკვალევზე

კრისტიანსანდში მიმდინარე მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე ვაჟთა ქართულმა წყვილმა **გეორ-გიამ**, ისევე, როგორც **საქა-რთველომ** ერთი დღით ადრე, ასპარეზობა მე-13 ადგილზე დაასრულა.

მეორე რაუნდში ჩვენმა ფრენბურთელებმა 24-ე ნომრად განთესილ ლატვიურ დუეტ **პლავნისი-სმედინსის** წინააღმდეგობა ვერ დაძლიეს და სამ სეტში დამარცხდნენ - 21:23, 21:16, 16:18. მატჩის მსვლელობისას არბიტრმა რამდენიმე საეჭვო გადაწყვეტილება მიიღო, რის გამოც **ჟორჟი ტერსეირო**, იგივე გია მას დიდხანს ედავებოდა.

შემდეგი მეტოქე წინანდელზე გაცილებით ძლიერი იყო, თუმცა მე-10 ნომრად განთესილი ჰოლანდიური წყვილის **კიემპერუდ-ჰოიდალენის** დამარცხება გეორ-გიას არ გასჭირვებია - 2:0 (21:13, 21:14)

ტურნირიდან კი ჩვენი ფრენბურთელები მე-2 ნომრად განთესილმა ბრაზილიურმა დუეტმა **პედრო-ბენჟამინმა** გამოთიშა. გეორ-გიამ შეჯიბრების ერთ-ერთ ფავორიტს საკადრისი წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ მაინც დამარცხდა სამ სეტში - 21:19, 19:21, 17:19.

ამრიგად, გეორ-გიამ რეიტინგში 180 ქულა მიითვალა და მზადებას ფინეთის ქალაქ ალანდში გასამართი მორიგი ეტაპისთვის შეუდგება. შეჯიბრება ფინეთში 17 აგვისტოს დაიწყება. აქვე იასპარეზებს საქა-რთველოც.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ადამიანი დროში

# დიდი კაცი



ავტოინსპექტორმა მარცხენა ხელი ასწია და სასტვენს ჩაჰბერა.

მანქანამ სვლა შეანელა და ზედ მილიციელის ფეხებთან გაჩერდა.

- წრეში შემოდი! - მოესმა ბრძანება.

არაფერი დაუშავებია, ვერ მიხვდა, რას ერჩოდნენ.

- მთელი ცხოვრება კალათბურთს დავდევ და ლახტის თამაში არ მეხერხება, - გახუმრება სცადა.

- კალათბურთს კი არა, შენც ახლა დერიუგინი არ მყავდე.

- ჰო, მართლა დერიუგინი ვარ, აეროპორტში მიმეჩქარება, სტუმარს უნდა დავხვდე, - იმედი მიეცა, არ შემაყოვნებენო.

- თავს ნუ გვაცოდებ... კოლიას ვიცნობ, ჩემი მეგობარია... გადმოდი მანქანიდან, რომ გეუბნები.

სხვა გზა არ იყო, უნდა დამორჩილებოდა.

- მე კი გადმოვალ, მაგრამ... არ დააბოლოვა.

კარი გაიღო და ავტოინსპექტორების წინ მთაკაცი წამოიმართა. წითელქუდიანებს დენმა დაურბინა.

- ბიჭო, მართლა დერიუგინი ჩანს, გავუშვათ, - ჩაულაპარაკეს ერთმანეთს.

- მიბრძანდით, ბატონო, თავისუფალი ხართ... - ამოღერღა პირველმა.

უკონფლიქტოდ დაშორდნენ. არადა, კინაღამ წაუხდა წარმოდგენა ადამიანებზე, მთელი ცხოვრება რომ ემადლიერებოდა დიდი სარბიელისკენ გზის გაკაფვისთვის.

- ეზოში ბიჭებს ვენური სკამი გვქონდა ხეზე მიმაგრებული, რომელიც კალათის მოვალეობას ასრულებდა, - იხსენებს სპორტის დამსახურებული ოსტატი **ნიკოლოზ დერიუგინი**. - თანატოლები ზუსტად ტყორცნაში ვეჯიბრებოდით ერთმანეთს. მამაჩემს ერთი მეგობარი ავტოინსპექტორი ჰყავდა, რომელიც „კალიასკიანი" მოტოციკლეტით მოგრიალდებოდა ხოლმე და ზოგჯერ ჩვენს ბურთაობასაც უყურებდა. სწორედ მისი რჩევით მიმიყვანა მამამ კალათბურთის სექციაში ზაურ ჩარკვიანთან. ერთი წლის შემდეგ ჩემი თავი სულიკო თორთლაძეს ჩააბარეს.

მაშინ ნიკოლოზ დერიუგინი შვიდი წლის იყო. თანატოლებისგან სიმაღლით არ გამოირჩეოდა. უბრალოდ, სისხარტე-მოქნილობა ჰქონდა მეტი და მიზანშიც უფრო ზუსტად ისროდა. 1973 წელს საქართველოს მოსწავლეთა პირველობაზე ქუთაისელებმა ოქროს მედლები რომ მოიპოვეს, დიდი წვლილი დერიუგინმა შეიტანა. თბილისელ მწვრთნელებს მოეწონათ რიონისპირელთა ლიდერი და იმავე წელს დედაქალაქში გადმოიყვანეს. მე-10 კლასში იყო, ლევან მოსეშვილმა „დინამოს" დუბლებში რომ აიყვანა. 1975 წელს იუნიორთა საკავშირო ნაკრებში მიიწვიეს და გენადი კაპუსტინთან ერთად ევროპის ჩემპიონი გახდა. მომდევნო წელს მსგავს წარმატებას ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად მიაღწია. არადა, გუნდში ორი წლით უფროსები თამაშობდნენ - ვლადიმირ ტკაჩენკო, სერგეი ტარაკანოვი, ანდრეი ლოპატოვი და სხვები, რომელთა პარტნიორიც იყო და მეტოქეც მთელი ათი წლის განმავლობაში.

- ყველაზე მეტად ჩემს მეხსიერებას მაინც 1977 წელი შემორჩა, - მითხრა დერიუგინმა. - ლევან მოსეშვილმა 14 იანვარს პირველად მანდო ადგილი „დინამოს" ძირითად შემადგენლობაში. სვერდლოვსკის „ურალმაშს" ვეთამაშეთ და 81:63 მოვუგეთ. იმ დღეს 18 ქულა მოვაგროვე. მთავარი გამოცდა მოსკოვში მელოდა არმიელთა გუნდთან, რომელიც შეუდარებლად ძლიერი იყო - 9 ტურის შემდეგ უდანაკარგოდ ლიდერობდა საკავშირო ჩემპიონატს. მოედანზე გასვლის წინ ბიჭებმა გამამხნევეს - ნურაფრის შეგეშინდება, თავისუფლად ითამაშეო. მაშინ „დინამოს" ღირსებას იცავდნენ ოლიმპიური ჩემპიონი მიხეილ ქორქია, გივი ბიჭიაშვილი, ლევან ჩხიკვაძე, იური პულავსკი, იური ძიძიგური, ნოდარ ქორქია, თამაზ ჩიხლაძე, ლევან გულდედავა. მოსეშვილმა გამაფრთხილა, სერგო კოვალენკოს სიმაღლეში ვერ დაჩაგრავ, ამიტომ ფეხებში „ჩაუჯექი", წონასწორობას ვერ დაიცავს და სისწრაფით დაჯაბნიო. ყველა რჩევა გავითვალისწინე და პირველი წუთების შემდეგ მართლაც თავისუფლად ვგრძნობდი თავს მოედანზე. მართალია, ის მატჩი 100:110 წავაგეთ, მაგრამ საბჭოთა კავშირის რეკორდი დავამყარე - 57 ქულა ჩავუგდე არმიელებს...

ამ მატჩის შესახებ მეორე დღეს გაზეთი „სოვეტსკი სპორტი" წერდა, რომ დინამოელთა 18 წლის ცენტრალურმა თავდამსხმელმა დერიუგინმა თავის გუნდს 57 ქულა შესძინა. ასეთი რამ საკავშირო ჩემპიონატებზე ჯერჯერობით არც ერთ კალათბურთელს არ გაუკეთებია. რეკორდსმენთან ორთაბრძოლისას მიშკინმა 22-ე წუთზე მე-4 პერსონალური ჯარიმა მიიღო, 36-ე წუთზე 5 საჯარიმოთი მოედანი დატოვა სერგეი კოვალენკომ, ვერც მესამე მეურვემ - ლოპატოვმა გააწყო მასთან ვერაფერი...

ცსკა-სთან პაექრობის შემდეგ „დინამომ" სტუმრად კიდევ ორი მატჩი გამართა: რიგის არმიელებს დამატებით დროში 106:97 მოუგო, ხოლო საკავშირო ჩემპიონატის ვეცხლის პრიზიორ ლენინგრადის „სპარტაკთან" 79:84 დათმო შეხვედრა. ბალტიისპირელებთან დერიუგინმა 31 ქულას მოუყარა თავი, პეტრეს ქალაქში კი მონაგარი 3 ქულით გაზარდა.

„თბილისში ჩამოსულ „სტროიტელს" სხვა პრობლემებთან ერთად უნდა გადაელახა ერთგვარი ფსიქოლოგიური ზღუდე, რაც ახალგაზრდა თბილისელი თავდამსხმელის ნიკოლოზ დერიუგინის სახელთან იყო დაკავშირებული. 122 ქულა სამ მატჩში - ეს იყო უხილავი ძალა, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა „სტროიტელს"... დერიუგინის მოედანზე ყოფნა ფსიქოლოგიურადაც რომ ბოჭავდა გუნდს და ფიზიკურადაც... მე-8 წუთზე ტკაჩენკომ ოთხი ჯარიმა ისე მიიღო, რომ ქულაც არ ჰქონდა აქტივში. მწვრთნელებმა, ცხადია, იგი ბელოსტენნით შეცვალეს. მერე უკვე ბელოსტენნიც დაადგა თავისი ამხანაგის გზას. ამ ფსიქოლოგიური ფენომენის ტყვეობას ვერაფრით დააღწია თავი ლუშჩენკომაც... სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდა „სტროიტელის" მთავარი ძალა ყოვლად შეუწყნარებელი შედეგით" (ტკაჩენკო - 0, ბელოსტენნი - 10, ლუშჩენკო - 12) - წერდა „ლელო" 1977 წლის 30 იანვარს. ის ორთაბრძოლა თბილისელებმა 77:76 მოიგეს. წარმატებაში, ცხადია, დიდი წვლილი ახალგაზრდა ნიკოლოზ დერიუგინს მიუძღვის. მას საკავშირო თუ საერთაშორისო მატჩებში მერეც არაერთხელ გამოუჩენია თავი. იმავე 1977 წელს ევროპის ჩემპიონი გახდა ახალგაზრდებში, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და უფროსთა საკავშირო ნაკრებშიც მოსინჯა ძალები.

**- ათი წლის განმავლობაში დიდ სარბიელზე გამოდიოდით. ყველაზე მეტად რამ გაგახარათ?**

- ცხადია, 1982 წელს მსოფლიოს ჩემპიონობის მოპოვებამ. საბჭოთა კავშირის ნაკრებში მაშინ ჩემთან ერთად გამოდიოდნენ ტკაჩენკო, ბელოსტენნი, საბონისი, მიშკინი, ლოპატოვი, ტარაკანოვი, იოვაიშა, ერიომინი, ვალტერსი, ენდენი და ხომიჩუსი - კალათბურთის ნამდვილი ვარსკვლავები. ქვეჯგუფის თამაშები მედელინში გაიმართა. ფინალური ორთაბრძოლები კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში იყო დანიშნული, ზღვის დონიდან 2300-2400 მეტრზე, ღრუბლებზე მაღლა, სადაც სუნთქვა ჭირდა. კიდევ კარგი, რომ გადაიფიქრეს და ორგანიზატორებმა ორთაბრძოლები კალიში (1100 მ) გადაიტანეს. ზედიზედ ექვსი შეხვედრის მოგების შემდეგ მეორე ეტაპის ბოლო ორთაბრძოლა ამერიკელებთან დავთმეთ 93:99. ამის მიუხედავად, მაინც გავედით ფინალში, სადაც ისევ ოკეანისგაღმელებს დავუპირისპირდით „ხიმნასიო დელ პუებლოს" 30-ათასიან დარბაზში. შვიდი წუთი დავყავი მოედანზე და ყველაზე გადამწყვეტ მომენტში 7 ქულა შევძინე გუნდს. საბჭოთა ნაკრებმა დაძაბულ ბრძოლაში 95:94 გაიმარჯვა და პირველი ადგილი დაიკავა, ისევე, როგორც წინა წელს პრაღაში ევროპის ჩემპიონატზე.

**- გულიც, ალბათ, ბევრჯერ დაგწყვეტიათ...**

- ცხადია, თუმცა ყველაზე საწყენი ის იყო, რომ 1980 წელს ოლიმპიური ჩემპიონობა ვერ მოვიპოვეთ. არადა, ძლიერი გუნდი გვყავდა. ამერიკელებმა მოსკოვს ბოიკოტი რომ გამოუცხადეს, წინასწარვე თავი გამარჯვებულებად ჩავთვალეთ და დავისაჯეთ კიდევ: ორი მატჩი დავთმეთ - იუგოსლავებთან და იტალიელებთან. სამხრეთ სლავებს უძლიერესი ხუთეული ჰყავდათ - ჩოსიჩი, დელიბაშიჩი, დალიპაგიჩი, ერკოვი და კიჩანოვიჩი, აპენინელთა ღირსებას კი დიდი მენეგინი იცავდა. ყოველივეს მიუხედავად, მაინც უნდა დაგვემარცხებინა ორივე გუნდი. საბოლოოდ მესამე ადგილს დავჯერდით. ასევე „ბრინჯაო" გვხვდა 1983 წლის ევროპის ჩემპიონატზე.

**- განსაკუთრებით ვის წინააღმდეგ გიჭირდათ თამაში?**

- ტანმაღალი კალაბურთელები უმეტესად მოუქნელები იყვნენ და სისხარტით ვჯაბნიდი მათ, აი, არვიდას საბონისთან ორთაბრძოლა კი ნამდვილად მიჭირდა. ამ კალათბურთელს უხვად დააბერტყა უფალმა სიმაღლეც, მოქნილობაც, სისწრაფეცა და ჭკუაც. ამიტომაც იქცა სიცოცხლეშივე ლეგენდად.

**- ტკაჩენკო?**

- მოედანზე სულ დაბღვერილი გამოიყურებოდა - საამისოდ გარეგნობაც ხელს უწყობდა. თუმცა სხვებივით ძალად უხეშობას ერიდებოდა. შეცდომები თუ მოსდიოდა, მხოლოდ მოუქნელობით. სამაგიეროდ, კარგი მეგობრობა იცოდა.

**- ერთი საჩოთირო კითხვაც მინდა დაგისვათ: ვიცი, რომ თბილისის „დინამო" ყოველთვის განიცდიდა წნეხს „ზემოდან", მაგრამ ჩაწყობილი თამაშები თუ იყო?**

- ფულისთვის არასდროს მითამაშია. მოედანზე თუ ვიყავი, ჯარისკაცივით ბოლომდე ვიბრძოდი და ვიხარჯებოდი. სიამოვნებით ვიხსენებ იმ წლებს და მეამაყება, რომ პირთამდე ივსებოდა სპორტის სასახლის ტრიბუნები. არა მგონია, ჩაწყობილი თამაშების საყურებლად ამდენი გულშემატკივარი მოსულიყო.

**- 26 წლისამ დატოვეთ სარბიელი. ნაადრევი ხომ არ იყო?**

- რა თქმა უნდა, მაგრამ მე ხომ 1986 წელს მძიმე ტრავმა მივიღე და იძულებული გავხდი, დიდ სპორტზე უარი მეთქვა. თუმცა გარკვეული დროის შემდეგ კვლავ დავუბრუნდი მოედანს - ნოდარ ქორქიამ ვეტერანი კალათბურთელებისგან გუნდი ჩამოაყალიბა, „თბილისი", რომელიც ეროვნული ჩემპიონატის ფინალში ვითას დაუპირისპირდა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, კვლავ სავსე სპორტის სასახლე რომ ვიხილე. მერე ვითას შემადგენლობაში საქართველოს ჩემპიონიც გავხდი.

**- ახლა რას საქმიანობთ?**

- ერთხანს სდასუს კალათბურთელთა გუნდს ვწვრთნიდი. საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორებიც გავხდით. ამჟამად 6-13 წლის ბიჭებს ვავარჯიშებ. ხან სად დავდივარ, ხან - სად. ცუდად არავინ გამიგოს, მაგრამ ნიკოლოზ დერიუგინმა ქართული კალათბურთის წინაშე ნუთუ იმდენი ვერ დაიმსახურა, რომ ნორჩებისთვის გამოცდილების გასაზიარებლად ერთი პატარა დარბაზი მაინც ჰქონდეს და აქეთ-იქეთ არ იწანწალოს?!

**- მახსოვს, თქვენი ვაჟიც თამაშობდა კალათბურთს...**

- დიახ, მაგრამ აქ უპერსპექტივოდ ჩათვალეს. არვიდას საბონისს შევეხმიანე კაუნასში და მასთან გავგზავნე. კემპზე ამერიკელ სკაუტებს მოეწონათ. ამჟამად დასავლეთ ვირჯინიის შტატის ერთ-ერთ კოლეჯში სწავლობს, თან მეხუთე წელიწადია, სტუდენტური ლიგის B დივიზიონში ასპარეზობს. 23 წლისაა, 202 სანტიმეტრის სიმაღლის.

**- საუბარი უფრო მხიარულ ნოტზე რომ დავამთავროთ, როგორც ქუთაისელი, რამე ახალ ანეკდოტს ხომ ვერ გვეტყვით?**

- ანეკდოტისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ნამდვილ ამბავს მოგიყვებით: ერთ სვან კალათბურთელს ვავარჯიშებ. კარგი ბიჭია. ორი წლის წინათ მამამისმა მითხრა, სვანეთში მიმყავს.. რომ არ გაცდეს, ფარი და ბურთი ვუყიდე. ოღონდ მირჩიეთ, რგოლი რა სიმაღლეზე დავუყენოო. ვუთხარი, ოფიციალურად რა ზომაცაა საჭირო. ამას წინათ მოვიდა და მეუბნება, მიწიდან რგოლამდე სიმაღლე რატომღაც 40 სანტიმეტრით გაიზარდა, ბიჭი ბადეს ველარ სწვდება. რა მოხდა, ვერ გავიგეო. ვკითხე, ფარი სად მიამაგრეთ-მეთქი. ხეზეო, მიპასუხა. მერედა, ორ წელიწადში ხომ გაიზრდებოდა-მეთქი. უი, ამაზე არც მიფიქრიაო...

**ვაჟა დანელია**



# B დივიზიონი

| 15.08.09. თბილისი. სპორტის სასახლე. 19:00 | 19.08.09. თბილისი. სპორტის სასახლე. 19:00 | 22.08.09. თბილისი. სპორტის სასახლე. 19:00 | 26.08.09. თბილისი. სპორტის სასახლე. 19:00 |
|---|---|---|---|
| საქართველო – ლუქსემბურგი | საქართველო – ირლანდია | საქართველო – სლოვაკეთი | საქართველო – შვედეთი |

# სანაკრებო

**მთავარი მწვრთნელი** — **იგორ კოკოშკოვი (სერბეთი)**




დაიბადა: 17.12.1971

**საკლუბო კარიერა**

1992-1994 - „ბკ ბელგრადის" (იუგოსლავია) ახალგაზრდული გუნდის მთავარი მწვრთნელი

1994-1995 - „ბკ ბელგრადის" (იუგოსლავია) მთავარი მწვრთნელის ასისტენტი

1995-1996 - „ბკ ბელგრადის" (იუგოსლავია) მთავარი მწვრთნელი. 1996-1997 – ბელგრადის „პარტიზანის" (იუგოსლავია) ახალგაზრდული გუნდის მთავარი მწვრთნელი.

1999-2000 – მისურის უნივერსიტეტის (აშშ-ის უმაღლესი სტუდენტური დივიზიონი) მთავარი მწვრთნელის ასისტენტი.

2000-2003 - „ლოს ანჯელეს კლიპერსის" (NBA) მთავარი მწვრთნელის ასისტენტი.

2003-2008 - „დეტროიტ პისტონზის" (NBA) მთავარი მწვრთნელის ასისტენტი.

2008 - დღემდე „ფინიქს სანსის" (NBA) მთავარი მწვრთნელის ასისტენტი.

**სანაკრებო კარიერა:**

1997-1999 – იუგოსლავიის ახალგაზრდული ნაკრების მეორე მწვრთნელი.

2004 – სერბეთი-ჩერნოგორიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტი ათენის ოლიმპიურ თამაშებზე.

2005 – სერბეთი-ჩერნოგორიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტი ევროპის ჩემპიონატზე.

2008 წლის აპრილიდან საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი

**გამთამაშებელი** — **გიორგი ცინცაძე**




დაიბადა: 07.02.1986
სიმაღლე: 192 სმ
წონა: 79 კგ
გუნდი: „ენისეი" (რუსეთი)

**გამთამაშებელი** — **ლაშა გამყრელიძე**



დაიბადა: 04.02.1986
სიმაღლე: 185 სმ
წონა: 73 კგ
გუნდი: „მიტელდოიჩერი" (გერმ.)

**უკანახაზელი** — **ანატოლი ბოისა**




დაიბადა: 09.09.1983
სიმაღლე: 194 სმ
წონა: 89 კგ
უგუნდოდ

**უკანახაზელი** — **კოტე ტუღუში**



დაიბადა: 03.06.1984
სიმაღლე: 193 სმ
წონა: 83 კგ
უგუნდოდ

**უკანახაზელი** — **ტაირონ ელისი**



დაიბადა: 05.10.1977
სიმაღლე: 193 სმ
წონა: 84 კგ
გუნდი: „კახასოლი" (ესპანეთი)

**ფორვარდი** — **ნიკოლოზ ცქიტიშვილი**




დაიბადა: 14.04.1983
სიმაღლე: 212 სმ
წონა: 102 კგ
უგუნდოდ

**ფორვარდი** — **ვლადიმერ ბოისა**



დაიბადა: 04.07.1981
სიმაღლე: 209 სმ
წონა: 93 კგ
გუნდი: „ზადარი" (ხორვატია)

**ფორვარდი** — **მანუჩარ მარკოიშვილი**



დაიბადა: 17.11.1986
სიმაღლე: 196 სმ
წონა: 95 კგ
გუნდი: „კანტუ" (იტალია)

**ფორვარდი** — **ვიქტორ სანიკიძე**




დაიბადა: 01.04.1986
სიმაღლე: 203 სმ
წონა: 86 კგ
უგუნდოდ

**ფორვარდი** — **თორნიკე შენგელია**



დაიბადა: 05.10.1991
სიმაღლე: 198 სმ
წონა: 91 კგ
გუნდი: „ვალენსია" (ესპანეთი)

**ფორვარდი** — **ნიკა მეტრეველი**



დაიბადა: 14.01.1991
სიმაღლე: 211 სმ
წონა: 89 კგ
გუნდი: „მონტეპასკი" (იტალია)

**ცენტრი** — **ზაზა ფაჩულია**



დაიბადა: 10.02.1984
სიმაღლე: 210 სმ
წონა: 120 კგ
გუნდი: „ატლანტა ჰოქსი" (NBA)

**ცენტრი** — **გიორგი შერმადინი**



დაიბადა: 02.04.1989
სიმაღლე: 216 სმ
წონა: 109 კგ
გუნდი: „პანათინაიკოსი" (საბერძ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. საქართველოს ნაკრები

# ნაკრები დაიქოქა

დღეს, 19 საათზე სპორტის სასახლეში საქართველო ლუქსემბურგს უმასპინძლებს. გუშინ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იგორ კოკოშკოვმა** ღია ვარჯიში გამართა, რომლის დასრულების შემდეგ მწვრთნელ-მოთამაშეებს გავესაუბრეთ.

ვარჯიში კალათში სროლით გაიხსნა და ასევე დასრულდა. როგორც ჩანს, მწვრთნელს სურს, ავსტრიაში წვრთნის შემდეგ კალათბურთელები სპორტის სასახლის ფარებს "გაუშინაურდნენ". იგორ კოკოშკოვმა დიდი დრო დაუთმო ტაქტიკურ წვრთნასაც...

მოედანზე 12 მოთამაშე ფუსფუსებდა, კიდესთან კი ორი ექიმი **მანუჩარ მარკოიშვილს** დასტრიალებდა. მანუს ავსტრიაში კოჭი ასტკივდა...

- ფეხი თავიდან ძალიან მაწუხებდა, ახლა შედარებით უკეთესი მდგომარეობაა, მაგრამ თამაშს როდის შევძლებ, ჯერ არ ვიცი, - გვითხრა მანუმ.

მწვრთნელმა ინტერვიუში (რომელსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ) მარკოიშვილზე კი ისაუბრა, მაგრამ არ უთქვამს, როდის გაიყვანს მოედანზე. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მანუს შვედეთთან მატჩისთვის უფრთხილდებიან...

გუნდთან ერთად ივარჯიშა **ნიკოლოზ ცქიტიშვილმა**, რომელიც ვიზასთან დაკავშირებული პრობლემების გამო ავსტრიაში ვერ ჩავიდა და ნაკრებს გუშინწინ შეუერთდა. ამჟამად როგორ ფორმაშია, ამაზე თავად მოგვახსენებს:

- ამერიკიდან ჩამოსვლის შემდეგ თბილისში ინდივიდუალურად ვვარჯიშობდი. ფორმაში ნელ-ნელა შევდივარ და ვიმედოვნებ, რომ სასურველ კონდიციებს ნაკრებთან ვარჯიშებით მივაღწევ.

საქართველოს ეროვნული გუნდის ამხანაგურ მატჩებს ვერ ჩამოუსწრო **ზაზა ფაჩულიამ**, თუმცა იგი გუნდს ავსტრიაში შეუერთდა და კაპიტნის მოვალეობის შესრულებას შეუდგა.

- მართალია, საწვრთნელ პროცესში ცოტა დაგვიანებით ჩავერთე, მაგრამ გუნდთან შეთამაშება არ გამჭირვებია. ძლიერი შემადგენლობა გვყავს და მაღალი მიზნებისთვის ბრძოლაც შეგვიძლია. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ელიტაში მოსახვედრად. დამატებით უპირატესობას საკუთარი კედლების ფაქტორი გვაძლევს – ოთხივე მატჩს შინ ვატარებთ. მჯერა, გულშემატკივარი, როგორც ყოველთვის ახლაც გვერდში დაგვიდგება და ვეცდებით, იმედები არ გავუცრუოთ.

საწვრთნელი პროცესის დასრულების შემდეგ პრესისთვის მოიცალა საქართველოს ნაკრების სერბმა თავკაცმა იგორ კოკოშკოვმა...

**- ჯერ მარკოიშვილის შესახებ გკითხავთ...**

- იგი განსაკუთრებული კალათბურთელია, პირველივე დღიდან შეკრებაზეა და მიუხედავად იმისა, რომ ტრავმის გამო ვერ ვარჯიშობს, ნაკრებს ბოლომდე გვერდში უდგას. მანუს გამოჯანმრთელების პროცესი დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, თუმცა როდის შეძლებს თამაშს, ჯერ ვერ გეტყვით. შარშან იგი ტრავმის გამო ვერ დაგვეხმარა და პირველად წლეულს შევხვდი. მაშინვე დავრწმუნდი, რომ რამდენადაც კარგი კალათბურთელია, იმდენად კარგი პიროვნებაა.

**- ნიკოლოზ ცქიტიშვილი ახლახან შემოგიერთდათ...**

- დაგვიანების გამო გაჩნდა გარკვეული ჰანდიკაპი, თუმცა ვიმედოვნებ, რომ ნიკა მას მალევე ამოავსებს და გუნდს სათანადოდ დაეხმარება. ის ხომ წლების განმავლობაში ამ შემადგენლობასთან ერთად თამაშობს და შეთამაშების პრობლემა არ უნდა ჰქონდეს. ცქიტიშვილი ამერიკის საზაფხულო ლიგაზე ვნახე და მისი გარჯით მოხიბლული დავრჩი.

**- ზოგადად გუნდის შეთამაშებით კმაყოფილი ბრძანდებით?**

- მწვრთნელი კმაყოფილი არასოდესაა, თუმცა მინდა ხაზი გავუსვა ბიჭების მონდომებას და ერთიანობას. ისინი ერთურთს კარგად უგებენ და დიდ პატივსაც სცემენ.

**- ჯერ შვედეთთან შარშანდელ წაგებაზე მინდა გკითხოთ და შემდეგ იმ ხერხებზე, რითაც სკანდინაველთა ძლევა შეიძლება...**

- შარშან ლტოლვილები ვიყავით. 40 დღე ევროპაში ვმოგზაურობდით და ძალიან გადავიღალეთ. ამერიკაშიც მიწევს სახლიდან შორს მოგზაურობა, მაგრამ იქ ეს პროცესი მაქსიმუმ 10 დღე გრძელდება... შვედეთთან შარშანდელ მატჩს მენტალურად და ფიზიკურად დაღლილები შევხვდით. სწორედ ამიტომ მოხსნა მეტოქემ ჩვენს ფარზე 25 ბურთი. წლეულს შვედეთთან მატჩს მომზადებულები და შედარებით დასვენებულები შევხვდებით. თანაც, გასული წლის ლტოლვილობის შემდეგ კალათბურთელებს დამატებითი მოტივაცია აქვთ – საკუთარი გულშემატკივრის წინაშე ერთწლიანი შესვენების შემდეგ უწევთ თამაში... წარმატების იმედიც ამიტომ მაქვს. თუმცა მანამდე ლუქსემბურგი, ირლანდია, სლოვაკეთი უნდა დავამარცხოთ.

სპორტის სასახლიდან საქართველოს ნაკრები დილომში გაემართა, სადაც "ჰიუნდაის" ცენტრში საპატიო დახვედრა ელოდა. კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **ლაშა ძიძავამ** გვამცნო, რომ "ჰიუნდაის" ცენტრმა საქართველოს ნაკრების სპონსორობა იკისრა. იქვე ოფიციალური ხელშეკრულება გაფორმდა. მასპინძელი ფირმის წარმომადგენელმა **დავით გიორგობიანმა** "ჰიუნდაის" გადაწყვეტილება გვამცნო: ყოველ მატჩზე საუკეთესო კალათბურთელს დავასახელებთ და პრიზებსაც გადავცემთ, ხოლო ელიტაში გადასვლის შემთხვევაში კალათბურთელებს ფულადი ჯილდო გადაეცემათო.

ვაჟა სიმონიშვილი






ტრანსფერი

# ცინცაძე რუსეთში დაბრუნდა

საქართველოს ნაკრების გამთამაშებელი **გიორგი ცინცაძე** კარიერას რუსეთში გააგრძელებს. იგი კრასნოიარსკის "ენისეიში" ითამაშებს.

გიორგი გასულ სეზონში ესტონეთის ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა და ჩვენთან ინტერვიუში თქვა, რომ შედარებით მაღალ დონეზე აპირებდა თამაშის გაგრძელებას. "მაღალი დონე" კი რუსეთშია. ამ ქვეყნის ჩემპიონატი ბოლო დროს საგრძნობლად მოძლიერდა და არაერთი მაღალი კლასის კალათბურთელიც შეიმატა.

ვნახოთ, როგორ წარმოაჩენს თავს ქართველი გამთამაშებელი მაღალი კლასის უკანახაზელთა შორის.

*- "ენისეისთან" ერთწლიანი კონტრაქტი გავაფორმე. ვიმედოვნებ, ამ სეზონს ნაყოფიერად ჩავატარებ და შემდეგ შევხედავ... წლეულს გუნდში მაღალი დონის არაერთი კალათბურთელი შეიკრიბა და მაღალი მიზნებისთვის ბრძოლასაც აპირებს. სხვებთან ერთად "ენისეიში" ითამაშებს ლატვიის ნაკრების მეფარე კასპერს კამბალა. მწვრთნელი ლიტველია – აინარს ბაგაცკისი", - გვითხრა გიორგი ცინცაძემ.*

ვაჟა სიმონიშვილი




სავარაუდო ტრანსფერი

# სანიკიძე ბოლონიის ვირტუსში გადადის

საქართველოს ნაკრების ვარჯიშის შემდეგ **ვიქტორ სანიკიძეს** მომავალი კლუბის შესახებ ვკითხეთ. ჯერ კონტრაქტამდე საქმე არ მისულაო, გვიპასუხა ვიქტორმა. მის აგენტებთან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ლატვიის "ვეფ რიგა" და იტალიის "ბიელა".

ვარჯიშის დასრულებიდან რამდენიმე საათში იტალიურმა ინტერნეტსააგენტოებმა ახალი ინფორმაცია გაავრცელეს - ვიქტორ სანიკიძე ბოლონიის "ვირტუსის" ღირსებას დაიცავსო. იტალიელები იქვე აღნიშნავდნენ, რომ შეთანხმება მიღწეულია, თუმცა კონტრაქტი ხელმოწერილი არ არისო.

ამ ამბის შეტყობისთანავე ვიქტორის ნომერი ავკრიფეთ და მისი კომენტარით დავინტერესდით.

- ჩემმა აგენტმა ახლა დამირეკა და მითხრა, რომ ბოლონიის "ვირტუსთან" კონტრაქტზე მოლაპარაკება წარმატებით მიმდინარეობს და ხელშეკრულებას ხელი მალე მოეწერება.

რადგან ჯერ გადაწყვეტილი არ არის, ვიქტორს მომავალ კლუბზე ვრცლად აღარ ვესაუბრეთ. ჩვენი მხრიდან დავძენთ, რომ „ვირტუსი" იტალიის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია. იგი წინა სეზონში ევროჩელენჯის მფლობელი გახდა. სხვათა შორის, ამ ტურნირზე იტალიელებმა ცინცაძე-სანიკიძის „ტარტუ როკთან" ორჯერ ითამაშეს. ქართველები ორჯერვე დამაჯერებლად გამოიყურებოდნენ...

დაველოდოთ კონტრაქტზე ხელმოწერას.

ვაჟა სიმონიშვილი



ჩოგბურთი

# შერცხვენილი დები და ლოგიკური მასტერსი



გუშინ მონრეალისა და ცინცინატის ტურნირებზე მეოთხედფინალისტები გამოვლინდნენ. კაცებს შორის მასტერსი იმდენად ლოგიკურად მიმდინარეობს, რომ ამ ეტაპზე რვა საუკეთესო ჩოგბურთელმა მოიპოვა თამაშის უფლება, სამაგიეროდ, ქალების ტურნირზე ბევრი მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა, ამიტომაც მიმოხილვა ცინცინატის კორტებზე განვითარებული ამბებით დავიწყოთ.

მთავარი სენსაცია ის იყო, რომ ორივე **უილიამსი** გამოეთიშა ბრძოლას. უმცროსმა **სერენამ** 44 უნებლიე შეცდომა დაუშვა ავსტრიელ **სიბილ ბამერთან** შეხვედრაში. ალსანიშნავია, რომ ამერიკელი აქამდე ერთხელ შეხვდა ამ ჩოგბურთელს და მაშინაც წაგებულმა დატოვა კორტი.

უილიამსმა წააგო ჩოგბურთელთან, რომელიც წელს მხოლოდ მესამედ გავიდა მეოთხედფინალში. *"ასე ცუდად ცხოვრებაში არ მითამაშია. ეს საშინელი მატჩი იყო"*, - ასეთი კომენტარი გაუკეთა თავის გამოსვლას სერენამ.

**ვენუს უილიამსს** უფრო სერიოზული მეტოქე ჰყავდა - იტალიელი **ფლავია პენეტა**, რომელმაც წინა კვირას ლოს ანჯელესის ტურნირი მოიგო. თავისი დის მსგავსად, ვენუსსაც ძალიან ბევრი - 38 უნებლიე შეცდომა დაუგროვდა. თითქმის თანაბარ თამაშში პენეტამ მეტოქეს იმით აჯობა, რომ გადამწყვეტ მომენტებში თითქმის არ ცდებოდა. ასე იყო პირველი სეტის ტაი-ბრეიკში და მეორე პარტიის ბოლოს, როცა 4:4-ზე 27 წლის იტალიელმა ზედიზედ ორი გეიმი აილო და მატჩი მოიგო. სხვათა შორის, პენეტა ვენუსთან ურთიერთდაპირისპირებაში წინ გავიდა - 4:3.

მაისში გამართული მადრიდის ტურნირის შემდეგ, ეს პირველი შემთხვევაა, როცა ვერც ერთი უილიამსი მეოთხედფინალში ვერ გავიდა. მაშინ სერენამ პირველ წრეში წააგო, ვენუსმა - მეორეში.

მორიგი გამოცდა ჩააბარა **კიმ კლაისტერსმა. მარიონ ბარტოლისა და პატი შნიდერის** დამარცხების შემდეგ, ბელგიელს მერვედფინალში როლან გაროსის ჩემპიონი **სვეტლანა კუზნეცოვა** ელოდა.

ზედიზედ სამი გამარჯვების მიუხედავად, კიმს მაინც ეტყობა არასტაბილურობა, რაც ორწლიანი უთამაშებლობის ბრალია. ყველას ახსოვს ბარტოლისთან მატჩში 4:0 დაწინაურება და შემდეგ ზედიზედ ოთხი გეიმის წაგება. დაახლოებით ასეთივე სცენარით მიდიოდა კუზნეცოვასთან მატჩიც.

პირველ სეტში კლაისტერსი 3:0 და 4:1 დაწინაურდა, მაგრამ რუსს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა, ბოლოს კი ბელგიელმა ზედიზედ ორი გეიმის ალებით სეტი მაინც მოიგო.

მეორე პარტიაც თითქმის პირველის ასლი იყო. ისევ კლაისტერსი გავიდა წინ და კუზნეცოვამ ისევ ზედიზედ სამი გეიმი აილო. 3:4-ზე რუსმა ორი ბრეიკ-პოინტი გადაარჩინა და კვლავ ზედიზედ მოგებული სამი გეიმით სეტებს შორის ანგარიში გაათანაბრა.

მატჩის კულმინაცია გახდა გადამწყვეტი პარტიის მეექვსე გეიმი, როცა ბელგიელმა ბრეიკი გააკეთა და 4:2 დაწინაურდა. ამჯერად ბელგიელმა თავს მოდუნების უფლება არ მისცა და სეტი 6:2 მოიგო.

შეხვედრა ზუსტად ორი საათი გაგრძელდა. კლაისტერსმა დაამტკიცა, რომ ის კუზნეცოვასთვის უხერხულ მეტოქეს წარმოადგენს - ამ მოთამაშეებს შორის ურთიერთშეხვედრათა ანგარიში 7:1 გახდა ბელგიელის სასარგებლოდ.

მეოთხედფინალში კიმი რეიტინგის პირველ ნომერ **დინარა საფინას** შეხვდება.

■ ■ ■

როგორც გითხარით, მონრეალის მასტერსზე მეოთხედფინალური წყვილები რეიტინგის რვა საუკეთესო ჩოგბურთელმა დააკომპლექტა. ეს საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა - ATP-ის ტურნირებზე ასეთი რამ ბოლოს 1973 წელს მოხდა.

თუ მერვედფინალის ანგარიშებს გადავხედავთ, ფავორიტთაგან ყველაზე მეტად **ენდი როდიკს** გაუჭირდა, თუმცა მას ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალისტის **ფერნანდო ვერდასკოს** სახით, ძლიერი მოწინააღმდეგე ჰყავდა.

მიუხედავად იმისა, რომ ესპანელთან ურთიერთშეხვედრებში ენდის დიდი უპირატესობა (9:2) აქვს, ამჯერად ვერდასკომ ტოლი არაფერში დაუდო მეტოქეს. უბრალოდ, როდიკს იმან უშველა, რომ წელს ის ტაი-ბრეიკებს ბრწყინვალედ თამაშობს და 2009 წელს, პროფესიულ ტურში "შემოკლებული" გეიმების მოგების ერთ-ერთი საუკეთესო პროცენტული მაჩვენებელი აქვს (32 მოგება-8 წაგება). სწორედ ორი ტაი-ბრეიკის მოგების წყალობით შეძლო ამერიკელმა მეოთხედფინალში გასვლა.

ამ ეტაპზე ცენტრალური მატჩი სწორედ როდიკის მონაწილეობით გაიმართება. ენდის სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** დაუპირისპირდება, რომელიც ულიმლამო თამაშისთვის წინა მიმოხილვაში გავაკრიტიკეთ, მაგრამ ამჯერად "ჯოკერმა" დამაჯერებელი თამაში აჩვენა რუსი **მიხაილ იუჟნის** წინააღმდეგ, რაც იმედს უსახავს მის გულშემატკივრებს. როდიკთან სერბის ურთიერთდაპირისპირებას რაც შეეხება, აქ ანგარიშია 3:2 ამერიკელის სასარგებლოდ. ეს ჩოგბურთელები წელს ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ორივეჯერ როდიკმა გაიმარჯვა. ეს მოხდა ავსტრალიის ღიაზე და ინდიან უელსის მასტერსზე. ასე რომ, ჯოკოვიჩმა რევანშზე უნდა იფიქროს.

იოლი გასეირნება ჰქონდა **რაფაელ ნადალს** გერმანელ **ფილიპ პეტცშნერთან** შეხვედრაში და ახლა მას მეოთხედფინალში არგენტინელი **ხუან მარტინ დელ პოტრო** ელის, რომელმაც წინა კვირას ვაშინგტონის ტურნირი მოიგო და ზედიზედ შვიდი მოგება დაუგროვდა. თუმცა არგენტინელმა ერთი სეტი წააგო რუმინელ **ვიქტორ ჰანესკუსთან**. გუშინდელ მერვედფინალებში მხოლოდ მას და როდიკს დაემართათ ასეთი გაუგებრობა.

დანარჩენი მატჩების აღწერა არ ღირს, რადგან სხვა ფავორიტებმა უპრობლემოდ გაიკვლიეს გზა რვა საუკეთესოს შორის.

**ATP**

**Rogers Cup**

მონრეალი (კანადა). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 3 000 000 დოლარი

**1/8 ფინალი**

**როჯერ ფედერერი** (შვეიც, 1)-სტანისლას ვავრინკა (შვეიც) 6:3, 7:6; **რაფაელ ნადალი** (ესპ, 2)-ფილიპ პეტცშნერი (გერ) 6:3, 6:2; **ენდი მიურეი** (ბრიტ, 3)-ხუან კარლოს ფერერო (ესპ) 6:1, 6:3; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (სერ, 4)-მიხაილ იუჟნი (რუს) 6:3, 6:4; **ენდი როდიკი** (აშშ, 5)-ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 10) 7:6(2), 4:6, 7:6(5); **ხუან მარტინ დელ პოტრო** (არგ, 6)-ვიქტორ ჰანესკუ (რუმ) 3:6, 6:3, 6:4; **ჟო-ვილფრიდ ცონგა** (საფ, 7)-ჟილ სიმონი (საფ, 9) 6:3, 6:3; **ნიკოლაი დავიდენკო** (რუს, 8)-ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 11) 7:6(2), 7:5.

**1/4 ფინალში ხვდებიან**

ფედერერი (1)-ცონგა (7); მიურეი (3)-დავიდენკო (8); როდიკი (5)-ჯოკოვიჩი (4); დელ პოტრო (6)-ნადალი (2).

**WTA**

**Western & Southern Grp**

ცინცინატი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 2 000 000 დოლარი

**1/8 ფინალი**

**დინარა საფინა** (რუს, 1)-შუაი პენგი (ჩინ) 6:3, 6:4; **სიბილ ბამერი** (ავსტრია)-სერენა უილიამსი (აშშ, 2) 7:5, 6:4; **ფლავია პენეტა** (იტა, 14)-ვენუს უილიამსი (აშშ, 3) 7:6(2), 6:4; **ელენა დემენტიევა** (რუს, 4)-სორანა კირსტეა (რუმ) 6:4, 6:4; **ელენა იანკოვიჩი** (სერ, 5)-ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 9) 7:5, 7:6(4); **კიმ კლაისტერსი** (ბელ)-სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 6) 6:4, 4:6, 6:2; **დანიელა ჰანტუხოვა** (სლოვაკ)-ვერა ზვონარევა (რუს, 7) 7:6(8), 0:6, 7:6(5); **კაროლინ ვოზნიაჩკი** (დან, 8)-მელინდა ჩინკი (უნგ) 3:0 ჩინკის უარი.

**1/4 ფინალში ხვდებიან**

საფინა (1)-კლაისტერსი; პენეტა (14)-ჰანტუხოვა; ვოზნიაჩკი (8)-დემენტიევა (4); იანკოვიჩი (5)-ბამერი.



# ყველაზე პოპულარული FACEBOOK-ში

მსოფლიოს პირველი ჩოგანი, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** Facebook-ის სოციალურ ქსელში ყველაზე პოპულარული სპორტსმენი გახლავთ.

"დიდი სლემის" ტურნირების 15-გზის ჩემპიონმა უკან ჩამოიტოვა ლეგენდარული ამერიკელი მოცურავე **მაიკლ ფელპსი**. Facebook-ში ფედერერის გვერდი 2 691 654-მა ადამიანმა მოინახულა, ფელპსის მაჩვენებელი ოდნავ დაბალია - 2 687 346 ადამიანი.

როჯერის პოპულარობა იმით აიხსნება, რომ ის თავის გვერდზე რეგულარულად წერს ახალ ამბებს საკუთარი ოჯახის შესახებ, ამ დღეებში კი ჩოგბურთელმა თავისი ტყუპი გოგონების პირველი ფოტო გამოიტანა.

# ბრაიანების მუსიკალური დებიუტი



წყვილთა თანრიგში მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელებმა, ტყუპმა ძმებმა **ბობ** და **მაიკ ბრაიანმა** ახალ ჟანრში ძალების მოსინჯვა გადაწყვიტეს. ამერიკელმა ჩოგბურთელებმა მუსიკალური ალბომი ჩაწერეს, რომლის გამოშვებაც 1 სექტემბრისთვის არის დაგეგმილი.

ალბომის სახელწოდებაა Let It Rip და ის მომღერალ **დევიდ ბერონის** დახმარებით არის შექმნილი. *"მუსიკა ყოველთვის იყო ჩვენი ცხოვრების ნაწილი*, - ამბობს ბობ ბრაიანი. - *მე ზავრობასა და სასტუმროს ნომრებში ბევრი დროს გვაქვს გატარებული, სადაც ყოველთვის ვოცნებობდით ალბომის შექმნაზე. და აი, მოვახერხეთ ამის გაკეთება. იმედია, რომ ჩვენი გულშემატკივრები კმაყოფილები დარჩებიან"*.

ალბომში ხუთი სიმღერაა შესული. ბობი ბასგიტარასა და პიანინოზე უკრავდა, მაიკი დასარტყმელ ინსტრუმენტზე, დევიდ ბერონი კი ვოკალისტისა და გიტარისტის როლში მოგვევლინა.

ჩოგბურთი

## სელეში წყვილებში ითამაშებს

ლეგენდარულმა ამერიკელმა ჩოგბურთელმა **მონიკა სელეშმა** მომავალ კვირას, ტორონტოს უმაღლესი კატეგორიის ტურნირის (Rogers Cup) დროს საჩვენებელ მატჩში მონაწილეობა გადაწყვიტა. ყოფილი იუგოსლავიელი წყვილთა შეხვედრაში მოსინჯავს ძალებს.

სელეშს შემთხვევით არ დაუმსახურებია ტურნირის ორგანიზატორებისგან ასეთი ყურადღება. საქმე ისაა, რომ მონიკა ერთადერთი ქალი ჩოგბურთელია ისტორიაში, ვისაც Rogers Cup ზედიზედ ოთხჯერ აქვს მოგებული.

კალათბურთი

## რეალი დელფინოსაც იმატებს

სულ მალე მადრიდის "რეალს" კიდევ ერთი ახალწვეული ეყოლება. რუსეთის "ხიმკი" დატოვა და "სამეფო კლუბში" კარიერის გაგრძელებას აპირებს არგენტინელი მცველი **კარლოს დელფინო**. თუმცა 2004 წლის ოლიმპიადის ჩემპიონით NBA-ის რამდენიმე კლუბიც არის დაინტერესებული.

დელფინოს "რეალში" გადასვლის ინიციატორი მადრიდელთა ახალი დამრიგებელი **ეტორე მესინა** გახლავთ, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციიდან ინტერესს რაც შეეხება, არგენტინელის გადაბირება სურთ "დეტროიტ პისტონზსა" და "ტორონტო რეპტორზს".

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ "რეალმა" ასევე "ხიმკიდან" შეიძინა ფორვარდი **ხორხე გარბახოსა**.

# კალენდარი ცნობილია

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ 2010 წლის დევისის თასის ჩატარების ვადები დაადგინა. მამაკაცებს შორის არაოფიციალური გუნდური ტურნირი 5 მარტს დაიწყება, ფინალის გამართვა კი 5 დეკემბერს არის ნავარაუდები.

მერვედფინალური მატჩები 5-7 მარტს ჩატარდება, მეოთხედფინალები - 9-11 ივლისს, ნახევარფინალები - 17-19 სექტემბერს, ხოლო ფინალი - 3-5 დეკემბერს. გარდა ამისა, ასევე 17-19 სექტემბრისთვის არის დაგეგმილი მსოფლიოს ჯგუფში გადასასვლელი საპლეიოფო მატჩების გამართვა.

2010 წლის დევისის თასის მერვედფინალის წილისყრა ჟენევაში 23 სექტემბერს გაიმართება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



კრივი

# კლიჩკომ და არეოლამ ერთმანეთი გაიცნეს



საბოლოოდ დადასტურდა, რომ უკრაინელი **ვიტალი კლიჩკო** მექსიკური წარმოშობის ამერიკელ **კრის არეოლასთან** ბრძოლაში დაიცავს სუპერმძიმე წონაში WBC-ის საჩემპიონო ქამარს. ბრძოლა 26 სექტემბერს ლოს ანჯელესში, "სტეიპლს ცენტრის" ცნობილ არენაზე გაიმართება. გუშინ ამ მოვლენასთან დაკავშირებით პირველი ერთობლივი პრესკონფერენცია და ფოტოსესია გაიმართა.

*"ეს მთელი ჩემი ცხოვრების შანსია,* - განაცხადა არეოლამ, რომელსაც პროფესიულ რინგზე ჯერ არც ერთი ბრძოლა არ წაუგია. - *ოცნება ასრულდა - ჩემს მშობლიურ ქალაქში მსოფლიოს საუკეთესო მძიმეწონოსანს შევხვდები".*

*"არ მგონია, რომ გამარჯვებულის გამოსავლენად თორმეტივე რაუნდის ჩატარება გახდეს საჭირო. ჩემი მოწინააღმდეგე გაცილებით ახალგაზრდაა, მაგრამ გაიხსენეთ, რა დაემართათ სამუელ პიტერსა და ხუან-კარლოს გომესს, რომლებიც ასევე ძალიან ახალგაზრდები იყვნენ. შევეცდები იგივე გავაკეთო არეოლასთან ბრძოლაშიც. ნებისმიერ შემთხვევაში, მომავალი ბრძოლისთვის მთელი სერიოზულობით მოვემზადები",* - ამბობს უკრაინელი მოკრივე.

ვიტალი კლიჩკოს ოპტიმიზმს იზიარებენ საბუკმეიკერო კანტორებიც. ცნობილმა Bwin-მა ვიტალი აშკარა ფავორიტად გამოაცხადა და მას იმაზე უფრო დაბალი კოეფიციენტი დაუწერა, ვიდრე უფროს კლიჩკოს **სამუელ პიტერთან** და **ხუან-კარლო გომესთან** ბრძოლების წინ ჰქონდა. ამჟამად უკრაინელის გამარჯვებაზე Bwin-მა 1.08 კოეფიციენტი დააწესა, არეოლას მოგებაზე 7.0, ხოლო ფრეზე - 34.0.

პროცენტულად თუ გამოვსახავთ, გამოვა, რომ ვიტალი კლიჩკოს მოგების ალბათობა 85 პროცენტია, ფრე - 2 პროცენტი და კრის არეოლას გამარჯვება - 13 პროცენტი.

ბუკმეიკერებს აგრეთვე მიაჩნიათ, რომ ბრძოლა 12 რაუნდს არ გაგრძელდება და სავარაუდოდ, გამარჯვებული 2-6 რაუნდებში გამოვლინდება.

ფორმულა 1

# ფერარი სამ ბოლიდს ითხოვს

"ფერარის" პრეზიდენტი და იმავდროულად ფორმულა 1-ის გუნდების ასოციაციის (FOTA) ხელმძღვანელი **ლუკა დე მონტეძემოლო** აცხადებს, რომ იქამდე არ მოისვენებს, სანამ ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციისგან (FIA) ახალი წესის შემოღებას არ მიაღწევს. კერძოდ, "სკუდერიას" შეფს სურს, რომ წამყვანმა გუნდებმა რბოლების დროს სამი მანქანის გამოყვანის უფლება მიიღონ.

დი მონტეძემოლოს მტკიცებით, ეს უფრო სწორი და მომავლისთვის გათვლილი გადაწყვეტილება იქნება, ვიდრე სტარტზე დებიუტანტი გუნდების დაშვება, რომლებსაც ასეთი დონის რბოლებზე გამოსვლის არც გამოცდილება და არც სათანადო თანხები არ გააჩნიათ.

"ფერარის" შეფი დარწმუნებულია, რომ დღეისთვის, როცა ბურუსით არის მოცული ფორმულა 1-დან წასული BMW-ის გუნდის ბედი, უფრო მართებული იქნებოდა, თუ ფინანსურად ძლიერ საჯინიბოებს სტარტზე სამი ბოლიდის გამოყვანის უფლებას მისცემდნენ და არსებულ ვაკანსიებს წინასწარ აუტსაიდერობისთვის განწირული გუნდებით არ შეავსებდნენ.

*"მირჩევნია ტრასაზე სამი "მაკლარენი" ან სამი "რენო" ვიხილო, ვიდრე თუნდაც ერთი გაუგებარი წარმოშობის ბოლიდი. ბრძოლას იქამდე გავაგრძელებთ, სანამ გუნდები მომავალ სეზონში, საკუთარი სურვილისამებრ სამი ბოლიდის გამოყვანის უფლებას არ მიიღებენ",* - კატეგორიულად აცხადებს ლუკა დე მონტეძემოლო.

# მონრეალი დააბრუნეს

ფორმულა 1-ის 2010 წლის კალენდარში კანადის გრან-პრი დაბრუნდება. ამის შესახებ ჟურნალისტებს ქალაქ მონრეალის მერმა **ჟერალდ ტრემბლემ** აცნობა. მისი თქმით, ქალაქის მთავრობამ მოაგვარა ეს საკითხი ფორმულა 1-ის მთავარ პრომოუტერ **ბერნი ექლსტოუნთან** და ახლა მხოლოდ წვრილმანი ფორმალობებია დასაზუსტებელი.

ჯერჯერობით უცნობია კანადის გრან-პრის ჩატარების თარიღი, მაგრამ სავარაუდოდ, რბოლა ივნისში გაიმართება.

ასევე უცნობი დარჩა ახალი კონტრაქტის დეტალები, თუმცა, როგორც კანადური პრესა იუწყება, ექლსტოუნმა მონრეალის მთავრობა ხუთწლიან და 75-მილიონიან კონტრაქტზე დაითანხმა.

კანადის გრან-პრის 1967-2008 წლებში მუდმივად ჰქონდა ადგილი მსოფლიოს ჩემპიონატის კალენდარში. 2009 წელს კი ეს ეტაპი მისი ორგანიზატორების გაკოტრების გამო გააუქმეს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

| ამხანაგური მატჩები | |
|---|---|
| ლას პალმასი-სპორტინგი (ხ) | 1:3 |
| მილანი-ინტერი | პენ. 6:7 1:1 |
| ინტერი-იუვენტუსი | 0:1 |
| იუვენტუსი-მილანი | 2:0 |

**გერმანია**

| II ბუნდესლიგა | |
|---|---|
| ფიურტი-ფრანკფურტი | 4:0 |
| პადერბორნი-კარლსრუე | 2:0 |
| დუისბურგი-კოტბუსი | 2:2 |

| III ბუნდესლიგა | |
|---|---|
| ვეენი-ვუპერტალი | 2:3 |

**საფრანგეთი**

| II დივიზიონი | |
|---|---|
| არლი-აიაჩო | 2:1 |
| ბასტია-კაენი | 1:2 |
| შატორუ-სედანი | 1:0 |
| დიჟონი-ტური | 2:2 |
| გინგამი-ანჟერსი | 0:0 |
| ნიმი-ვანი | 1:1 |
| ჰავრი-ბრესტი | 1:0 |
| მეცი-ისტრი | 2:0 |
| ნანტი-კლერმონი | 3:2 |

| იტალიის თასი | |
|---|---|
| სასუოლო-ვერონა | 2:0 |
| პარმა-ნოვარა | 1:2 |
| ლივორნო-ტორინო | 2:0 |

**ჰოლანდია**

| II დივიზიონი | |
|---|---|
| გრააფსხაპი-ეინდჰოვენი II | 3:0 |
| დენ ბოში-ექსელსიორი | 2:3 |
| დორდრეჰტი-აპელდოორნი | 1:2 |
| ომნივორლდი-ვოლენდამი | 2:1 |
| ცვოლე-ემენი | 0:0 |
| ჰელმონდი-კამბური | 2:4 |
| მაასტრიხტი-ჰაარლემი | 0:0 |
| როსენდაალი-იგლზი | 1:3 |
| ტელსტარი-ტოპ ოსი | 1:1 |
| ვეენდამი-ფორტუნა | 5:1 |

| პორტუგალია | |
|---|---|
| ლეიქსოეში-ბელენენსეში | 0:0 |

| ფინეთი | |
|---|---|
| ინტერი-კუოპიო | 2:3 |

**შვეიცარია**

| ჩელენჯლიგა | |
|---|---|
| ლოკარნო-გოსაუ | 2:2 |

| ირლანდიის თასი | |
|---|---|
| ბრეი-ტრელი | 2:0 |
| კრამლინი-უოტერფორდი | 0:0 |
| დანდალკი-ბოჰემიანსი | 0:0 |
| გალვეი-ლონგფორდი | 0:1 |
| სპორტინგი-ეთლონი | 4:1 |
| მონეგანი-სტ. პატსი | 0:0 |

| უელსი | |
|---|---|
| ბალა-ბანგორი | 2:1 |
| ტნს-პრესტატინი | 5:0 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ბრნო-სლოვაცკო | 1:0 |

| II დივიზიონი | |
|---|---|
| დუკლა-კარვინა | 0:1 |

| პოლონეთი | |
|---|---|
| რუხი-არკა | 1:0 |
| შლიონსკი-პოლონია (ბ) | 2:1 |

| ხორვატია | |
|---|---|
| ზაგრები-ლოკომოტივა | 2:4 |

| სლოვენია | |
|---|---|
| დომჟალე-მარიბორი | 1:3 |

| უნგრეთი | |
|---|---|
| დებრეცენი-ჰალადაში | 2:1 |

| რუმინეთი | |
|---|---|
| ტიმოშოარა-რაპიდი | 1:0 |
| ინიერია-პოლიტექნიკა | 2:1 |

| ბულგარეთი | |
|---|---|
| ლოკომოტივი (ს)-სპორტისტი | 3:2 |

## კალათბურთი

**ევრობასკეტი 2009**

| საკვალიფიკაციო | |
|---|---|
| საფრანგეთი-იტალია | 81:61 |
| ბოსნია-პორტუგალია | 73:61 |

## ჩოგბურთი

| ATP. მონრეალი | |
|---|---|
| მიურეი-დავიდენკო | 6:2, 6:4 |
| ფედერერი-ცონგა | 6:7, 6:1, 6:7 |

| WTA. ცინცინატი | |
|---|---|
| დემენტიევა-ვოზნიაჩკი | 6:2, 6:1 |
| საფინა-კლაისტერსი | 6:2, 7:5 |
| პენეტა-ჰანტუხოვა | 6:3, 6:3 |

TV პროგრამა

## 15 აგვისტო. შაბათი

**იმედი**

11:15 სპორტული კალეიდოსკოპი.

**I არხი**

17:00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ზესტაფონი-გაგრა (LIVE).
19:00 კალათბურთი. ევრობასკეტი 2011. შესარჩევი ტურნირი. საქართველო-ლუქსემბურგი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

07:00 საფეხბურთო კლუბი.
07:45 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
09:30 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. მანჩესტერ იუნ-ბარსელონა.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:25 საფეხბურთო კლუბი.
13:10 გერმანიის ჩემპიონატი. ნიურნბერგი-შალკე.
14:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
15:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
15:40 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ჰალი (LIVE).
17:55 ინგლისის ჩემპიონატი. ბლექბერნი-მანჩესტერ სიტი (LIVE).
20:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:25 ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-არსენალი (LIVE).
22:25 საფეხბურთო პროგრამა.
22:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტულუზა-სტ. ეტიენი (LIVE).
00:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:15 გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-დორტმუნდი.
03:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-ვალანსი.
04:50 გერმანიის ჩემპიონატი. კიოლნი-ვოლფსბურგი.

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

06:00 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. სეზონის საუკეთესო მატჩები. 1/8 ფინალი. მონრეალი-ბოსტონი. III მატჩი.
08:00 სპორტული დილა.
08:45 ტაილანდური კრივი.
09:45 სიჩქარის სამყარო. ტელეჟურნალი.
10:15 რაგბილიგა. ევროპის სუპერლიგა. უიგანი-უორინგტონი.
12:00 სპორტული გლობუსი - TRANS WORLD SPORT წარმოგიდგენთ.
12:30 ახალი ამბები.
13:00 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. სეზონის საუკეთესო მატჩები. 1/8 ფინალი. მონრეალი-ბოსტონი. III მატჩი.
15:00 სპორტული დღე.
15:45 კალათბურთი. WNBA-ის მიმოხილვა.
16:15 გოლფი.
16:45 ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატის წინ.
17:15 ახალი ამბები.
17:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ვერდერი (LIVE).
19:25 ახალი ამბები.
19:35 სიჩქარის სამყარო. ტელეჟურნალი.
20:10 ცხენოსნობა. საერთაშორისო ტურნირი. სამჭიდი. კროსი.
20:55 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-ვალანსი (LIVE).
22:25 სპორტული საღამო.
23:25 ცხენოსნობა. საერთაშორისო ტურნირი. სამჭიდი. კროსი.
00:10 პორტუგალიის ჩემპიონატი. ნასიონალი-სპორტინგი.
02:00 კალათბურთი. WNBA-ის მიმოხილვა.
02:30 ახალი ამბები.
03:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. ცინცინატი. აშშ (LIVE).
05:00 გოლფი.
05:30 ბადმინტონი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. ინდოეთი.

**EUROSPORT**

10:35 ტრამპლინიდან ხტომა. ზაფხულის გრან-პრი. კურშეველი. საფრანგეთი.
12:00 მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. I დღე. ბერლინი. გერმანია (LIVE).
16:15 ნიჩბოსნობა (ბაიდარები და კანოე). მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინალები. დარტმუტი. კანადა (LIVE).
17:30 ტრამპლინიდან ხტომა. ზაფხულის გრან-პრი. კურშეველი. საფრანგეთი.
18:30 მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. I დღე. ბერლინი. გერმანია.
20:15 მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. I დღე. ბერლინი. გერმანია (LIVE).
23:15 მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. I დღე. მიმოხილვა.
23:45 ბრძოლა წესების გარეშე.
02:00 მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. I დღე. მიმოხილვა.

## 16 აგვისტო. კვირა

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

06:35 პორტუგალიის ჩემპიონატი. ნასიონალი-სპორტინგი.
08:25 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ჰალი.
10:15 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ვერდერი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:25 ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-არსენალი.
14:25 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-აიაქსი (LIVE).
16:25 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ბირმინგემი (LIVE).
18:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
18:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ლივერპული (LIVE).
20:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. ნიცა-რენი.
22:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ლილი (LIVE).
01:15 გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ბოხუმი.
03:00 ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ლივერპული.
04:50 საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ლილი.

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

08:00 სპორტული დილა.
08:45 ცხენოსნობა. საერთაშორისო ტურნირი. სამჭიდი. კროსი.
09:30 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. სეზონის საუკეთესო მატჩები. 1/8 ფინალი. ფილადელფია-პიტსბურგი. VI მატჩი.
11:15 მძლეოსნობა. გერმანიის ჩემპიონატი.
12:15 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ტომი-ყუბანი (LIVE).
14:30 სპორტული გლობუსი - TRANS WORLD SPORT წარმოგიდგენთ.
15:05 სპორტული დღე.
15:50 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ლოკომოტივი-ცსკა (LIVE).
18:05 ახალი ამბები.
18:35 ცხენოსნობა. საერთაშორისო ტურნირი. სამჭიდი. კონკური.
19:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ბოხუმი (LIVE).
21:25 კალათბურთი. WNBA-ის მიმოხილვა.
22:00 სპორტული საღამო.
22:30 ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატის წინ.
23:05 კალათბურთი. ევროლიგა. სეზონის საუკეთესო მატჩები. 1/4 ფინალი. მონტეპასკი (იტალია)-პანათინაიკოსი (საბერძნეთი). IV მატჩი.
00:55 ახალი ამბები.
01:05 ცხენოსნობა. საერთაშორისო ტურნირი. სამჭიდი. კონკური.
01:50 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. სეზონის საუკეთესო მატჩები. 1/8 ფინალი. რეინჯერსი-ვაშინგტონი. VI მატჩი.
03:50 რაგბილიგა. ევროპის სუპერლიგა. უიგანი-უორინგტონი.
05:30 ბადმინტონი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინალები. ინდოეთი.

**EUROSPORT**

10:30 მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. I დღე. მიმოხილვა.
11:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. ცინცინატი. აშშ.
12:00 მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. II დღე. ბერლინი. გერმანია (LIVE).
16:00 ტრამპლინიდან ხტომა. ზაფხულის გრან-პრი. აინზიდელნი. შვეიცარია (LIVE).
17:45 ველოსპორტი. ჰამბურგის გრან-პრი. გერმანია (LIVE).
18:45 ნიჩბოსნობა (ბაიდარები და კანოე). მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინალები. დარტმუტი. კანადა.
20:00 მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. II დღე. ბერლინი. გერმანია (LIVE).
23:45 მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. II დღე. მიმოხილვა.
00:15 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. ცინცინატი. აშშ (LIVE).
02:00 მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. II დღე. მიმოხილვა.

# სპორტის დედოფალი სცენაზე გამოდის

დღეს ბერლინში 2009 წლის სპორტული სეზონის ერთ-ერთი მთავარი ტურნირი - მძლეოსნობის მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება. გერმანიის დედაქალაქის ოლიმპიურ სტადიონზე პლანეტის თითქმის ყველა საუკეთესო მძლეოსანს ვიხილავთ, რაც ყველა დისციპლინაში საინტერესო ბრძოლის გარანტიას იძლევა, მაგრამ მაინც, მთავარი მოლოდინი მამაკაცების სპრინტერულ გარბენებს უკავშირდება, სადაც ერთმანეთს დაუპირისპირდებიან მსოფლიოს რეკორდსმენი უსაინ ბოლტი და სეზონის ლიდერი ტაისონ გაი.



## ტაისონ გაი (აშშ)

*ასაკი: 27 წლის*

*მიღწევები: მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი (2007)*

## უსაინ ბოლტი (იამაიკა)

*ასაკი: 22 წლის*

*მიღწევები: სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი (2008)*

## ფიზიკური მომზადება

**გაი (9):** ყველაფერი წესრიგში აქვს. უფრო სწრაფად და სტაბილურად ტაისონს არასოდეს ურბენია. სხვა საქმეა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე სულ სხვა კონკურენცია იქნება - **ბოლტისა** და **ასაფა პაუელის** მხარდამხარ ამერიკელს ჯერ არ ურბენია. გაის შანსები მაღალია არა მარტო 100 მეტრზე. არამედ ორჯერ გრძელ დისტანციაზეც - ორივე დისციპლინაში მას სეზონის საუკეთესო დრო აქვს ნაჩვენები - 9.77 და 19.58 წამი.

**ბოლტი (9):** შარშანდელი სიმსუბუქე გაქრა, მაგრამ ბოლტს, ისევე როგორც გაის, ჯერ არც ერთი სტარტი წაუგია. ასე რომ, პანიკის საფუძველი არ არსებობს.

## ფსიქოლოგია

**გაი (8):** ორი წლის წინ ისე ჩანდა, რომ გაი ყველაზე ძლიერი და თვითდაჯერებული მორბენალი იყო, მაგრამ დროება შეიცვალა - ტაისონმა ჩააგდო პეკინის ოლიმპიადა, შემდეგ ინტერვიუში განაცხადა, რომ "ბოლტთან რთულია კონკურენცია", მსოფლიოს 2009 წლის ჩემპიონატის წინ კი პუბლიკას დაჰპირდა, რომ იამაიკელს დაამარცხებდა. რომელ გაის უნდა დავუჯეროთ?

**ბოლტი (10):** საუკეთესოთა შორის საუკეთესო, ყველაზე სწრაფი, ყველაზე მხიარული, ყველაზე მსუბუქი, ყველაზე მშვიდი... მართლაც საინტერესო სანახავი იქნება ბოლტი ყველაზე მნიშვნელოვანი გარბენის წაგების შემდეგ. წელს მან უამრავი ინტერვიუ დაარიგა და ათასგვარ თემაზე ილაპარაკა - იუნიორის ასაკში მარიხუანას მოწევაზე, საყვარელ თამაშ Call of Duty-ზე (მეორე მსოფლიო ომის მოტივებზე შექმნილი კომპიუტერული თამაში) და "სუსტ" და "ქალაჩუნა" **კრისტიანო რონალდოზე.**

## მოტივაცია

**გაი (10):** ოლიმპიადაზე განცდილი კრახი - 100 მეტრზე ფინალის მიღმა დარჩენა და ესტაფეტისას დაკარგული ჯოხი - ამ ყველაფრის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონს პრესტიჟის აღდგენა სჭირდება. მთელი წლევანდელი სეზონია, გაი თავის თავში დარწმუნებული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. იუჯინში ამერიკის ჩემპიონატზე გაიმ სპრინტი ისტორიაში მეოთხე შედეგით მოიგო - 9.75, თუმცა ეს დრო მას არ ჩაუთვალეს, რადგან თანმდევი ქარის სიჩქარე დაშვებულზე მაღალი იყო. მიუხედავად ამისა, სეზონის საუკეთესო დრო (9.77) მაინც ამერიკელს ეკუთვნის. თუმცა ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ბოლტი ჯერ ბოლომდე არ დახარჯულა.

**ბოლტი (9):** პეკინის სამი ოქროს შემდეგ, ბოლტი ბევრს ერთობოდა და ათასგვარ პრემიას იღებდა - "გაძეტა დელო სპორტისგან", სპორტული აკადემია ლაურეუსისგან, ამერიკის სპორტული აკადემიისგან, სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციისგან... 150 მეტრი გაირბინა მანჩესტერის ქუჩებში, ესტუმრა "მანჩესტერ იუნაიტედის" ბაზას... რთული სათქმელია, როგორ მზადყოფნაშია ბოლტი. ბოჰემური ცხოვრება მისი ყოველი ნაბიჯის სინონიმი გახდა. Bolt - ეს უკვე პრესტიჟული ბრენდია და ამას არც უსაინი უარყოფს. იამაიკელის ბუნებრივი ნიჭი იმდენად დიდია, რომ სუსტ ფორმაში მყოფი სპრინტერისგანაც ბევრი რამ არის მოსალოდნელი.

მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ ბერლინში უსაინი საუკეთესო ფორმაში იქნება. ჯერ ერთი მას ავარჯიშებს დისციპლინის მოყვარული მკაცრი მწვრთნელი **გლენ მილზი,** რომელიც თავის შეგირდებს ყოველდღე მეცადინეობას აიძულებს. გარდა ამისა, სპრინტერების კარიერა ძალიან ხანმოკლეა და თუ ბოლტს რეკორდების დაპყრობა და კრისტიანო რონალდოზე მეტი ჰონორარების მიღება სურს, აუცილებლად უნდა მოიგოს და თან მაღალი შედეგით, რათა სპონსორების ყურადღება მიიპყროს. მენეჯერების გუნდი, რომელიც მას თავს ახვევია, ბოლტს მოდუნების საშუალებას არ მისცემს.

## ტრავმები

**გაი (9):** ტაისონი იშვიათად ხვდება მთავარ ტურნირებს სპორტული ფორმის პიკზე. მას ყოველთვის რაღაც აწუხებს. 2007 წელს, ოსაკაში გამართული ჩემპიონატის წინ მუხლში ტკივილს უჩიოდა, ოლიმპიადის წინ - საერთო ფიზიკურ მდგომარეობას, ახლა კი საზარდულის არეში ტრავმას ახსენებს. მართალია, ეს დაზიანება სერიოზული არ არის, მაგრამ ბოლტთან დაპირისპირებაში წვრილმანები არ არსებობს.

**ბოლტი (10):** არაფერი აწუხებს. უსაინი მხნედ არის. თუმცა ყველას ახსოვს აპრილში მომხდარი ავარია და მარცხენა ფეხის ტრავმა (ბოლტმა BMW M3-ზე კონტროლი დაკარგა და ტრასიდან გადავარდა), მაგრამ მას შემდეგ ოთხი თვე გავიდა და არც ოლიმპიური ჩემპიონი დაზარალებულა და არც მისი შედეგები.

**საბოლოო ანგარიში:** გაი-ბოლტი 36:38.

## 2009 წელი. TOP-5 შედეგი

1. ტაისონ გაი - 9.77
2. უსაინ ბოლტი - 9.79
3. უსაინ ბოლტი - 9.86
4. ასაფა პაუელი (იამ) - 9.88
5. დანიელ ბეილი (ანტიგ) - 9.91

## ბოლო შეხვედრა

31 მაისი, 2008 წელი

IAAF-ის გრან-პრი, ნიუ იორკი (აშშ)

1. უსაინ ბოლტი - 9.72 (მსოფლიოს რეკორდი)
2. ტაისონ გაი - 9.85

## ბოლო წაგება

ბოლტი, 22 ივლისი, 2008 წელი, სუპერგრან-პრი, სტოკჰოლმი (შვედეთი)

გაი, 16 ივლისი, 2008 წელი, ოლიმპიადა, პეკინი (ჩინეთი), 1/2 ფინალი

## სიტყვები

**გაი:** *"ჩემი და ბოლტის მეტოქეობა ერთ-ერთი საუკეთესოა სპრინტის ისტორიაში. მე მას ასეთ სახელს დავარქმევდი: "ტაისონ გაი მსოფლიოს შოკში აგდებს". თავს აუტსაიდერად ვგრძნობ, მაგრამ გულის სიღრმეში მჯერა, რომ გამარჯვება შემიძლია" ("როიტერი").*

*"იმას, რასაც ბოლტი სარბენ ბილიკზე აკეთებს, სხვა ვერ შეძლებს. მასზე სწრაფად არავის ურბენია. ზღვარი დაწესებულია - 9.69 წამი და ბოლტს პეკინში ძალების მაქსიმალური დაძაბვით რომ ერბინა, ეს შედეგი უფრო მაღალი იქნებოდა. მე ვავარჯიშებ ჩემს გონებას და სხეულს იმისთვის, რომ მოვხვდე იქ, სადაც ადამიანი ჯერ არ ყოფილა.*

*დარწმუნებული ვარ, რომ ბერლინში ბოლტი შეეცდება მსოფლიოს ორი რეკორდის გაუმჯობესებას. და თუ მე გამარჯვება მინდა, იმდენად სწრაფად უნდა ვირბინო, რამდენადაც შესაძლებელია. არასოდეს იცი, რა რეზერვი აქვს შენს მეტოქეს. თუ ის 9.4 წამზე ნაკლებ დროს აჩვენებს, ხელებს ავწევ - ჩემი გონება ჯერ ასეთ შედეგზე არ არის მომართული". ("გარდიანი").*

**ბოლტი:** "ჩემმა მწვრთნელმა გლენ მილსმა ჯერ კიდევ ოლიმპიადის შემდეგ მითხრა, რომ შემიძლია 100 მეტრი 9.54 წამში გავირბინო. უფლება არ მაქვს მას არ ვენდო: რასაც აქამდე მეუბნებოდა, ყველაფერი ახდა. ის გრძნობს ჩემს პოტენციალს" ("როიტერი").

*"თუ საშუალებას მომცემენ, მინდორზე მინდა გავირბინო და გოლი გავიტანო. ვინ იცის, იქნებ მომავალში "მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელი გავხდე"* (Four-Four-Two).

გია **თვალაბეიშვილი**

## ყველა ფინალი

**15 აგვისტო**

15.00 სპორტული სიარული 20 კმ (ქ)
21.25 10 000 მ (მ)
22.15 ბირთვის კვრა (ქ)

**16 აგვისტო**

14.00 სპორტული სიარული 20 კმ (მ)
22.20 ბირთვის კვრა (მ)
23.35 100 მ (ქ)

**17 აგვისტო**

20.05 უროს ტყორცნა (ქ)
20.45 ჭოკით ხტომა (მ)
22.00 სამხტომი (მ)
22.30 3 000 მ სტიპლჩეიზი (მ)
22.50 10 000 მ (ქ)
23.35 100 მ (მ)

**18 აგვისტო**

20.05 სამხტომი (ქ)
21.25 შუბის ტყორცნა (მ)
21.35 400 მ (მ)
21.50 3000 ს მ სტიპლჩეიზი (ქ)
22.50 400 მ თარჯღრბენი (ქ)

**19 აგვისტო**

22.10 ბადროს ტყორცნა (ქ)
22.25 1 500 ს (ქ)
23.15 100 მ თარჯღრბენი (მ)
23.35 800 მ (მ)

**20 აგვისტო**

21.10 სიმაღლეზე ხტომა (მ)
22.15 400 მ თარჯღრბენი (მ)
22.35 200 მ (ქ)
22.55 110 მ თარჯღრბენი (ქ)

**21 აგვისტო**

11.10 სპორტული სიარული 50 კმ (ქ)
21.15 სიმაღლეზე ხტომა (ქ)
22.20 ბადროს ტყორცნა (მ)
23.00 200 მ (მ)
23.20 400 მ (მ)

**22 აგვისტო**

13.45 მარათონი (ქ)
20.05 სიგრძეზე ხტომა (ქ)
20.15 ჭოკით ხტომა (ქ)
21.30 უროს ტყორცნა (მ)
21.35 5 000 მ (მ)
22.00 4x100 მ (მ)
22.50 4x100 მ (ქ)

**23 აგვისტო**

13.15 მარათონი (მ)
18.15 სიგრძეზე ხტომა (მ)
18.20 შუბის ტყორცნა (ქ)
18.25 5 000 მ (ქ)
19.00 1 500 მ (მ)
19.25 800 მ (ქ)
19.50 4x400 მ (მ)
20.15 4x400 მ (ქ)

*შენიშვნა: მითითებული დრო თბილისისაა*




